

ზაქარია კიკნაძე Zachary Kiknadze		უძველესი ქართული გერბი Oldest Georgian Arms	3
გიორგი ლობჟანიძე George Lobzhanidze		საქართველოს გერბები ჰენრი შატელენის „ისტორიული ატლასის“ მიხედვით Emblems of Georgia according to Henri Abraham Chatelain's "Historical Atlas"	8
დავით გოგუაძე David Goguadze		მოლაპარაკი ქვები Speaking Stones	11
აგნე რაილე-ბარდე Agnè Railaité-Bardé		ლიტვის თანამედროვე ჰერალდიკა Contemporary Heraldry of Lithuania	18
ნატალია ბერუხაშვილი Natalia Beruchashvili		სამეცნ სკიპორის ორი ფრაგმენტის ისტორია The two fragments of the royal scepter	28
ზაქარია კიკნაძე Zachary Kiknadze		სახელმწიფო ჰერალდიკის უძველესი ნიმუშები Most Ancient Examples of Currently Used State Coats of Arms	37
დავით კლდიაშვილი David Kldiashvili		სოციალური სიმბოლოების წარმოშობა The origins of social symbols	43

აროვქტის ავტორი და ხელმძღვანელი მამუკა გონგაძე
 მთავრი რედაქტორი მირინ კიკნაძე
 სარედაქციო კოლეგია: ზაქარია კიკნაძე, თამთა მელელაშვილი, დავით ჩხეიძე
 ტექნიკური უნივერსიტეტის სანდრო რუსეთი
 ყდის დაზაინი ინგრ გაბაშვილი
 გამომცემელი საქართველოს პარლამენტის არსებული პერიოდის სახელმწიფო საბჭო
www.heraldika.ge, E-mail: heroldi@heraldika.ge


საავტორო უფლებები დაცულია. სტატიაში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
 ქურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის წერაროვის გარეშე აკრძალულია
ISSN 2298-0261



<p>გიორგი ლობჟანიძე George Lobzhanidze</p>	 <p>დომენიკო და ფრანცესკო პიზიგანის 1367 წლის აღმართობის აღმაგანოვანის The Portolan of 1367 by Domenico and Francesco Pizzigano</p>	<p>49</p>
<p>ნიკო ჯავახიშვილი Niko Javakhishvili</p>	 <p>საქართველოს სსრ ფულის ნიშნები (1921-1922 წ.) Bonds of the Georgian Soviet Socialist Republic</p>	<p>52</p>
<p>არქივი</p>	 <p>საარქივო მასალები Archive Materials</p>	<p>57</p>
<p>თემო ჯოჯუა Temo Jojua</p>	 <p>იმერეთის სამეფოს დროშა XVII საუკუნის I ნახევარში Flag of the Imereti kingdom in the first half of XVII century</p>	<p>65</p>
<p>მუნიციპალური სიმბოლიკა</p>	 <p>სამართლო-სამართლის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა Symbols of Municipalities</p>	<p>75</p>
<p>მირიან კიკნაძე Mirian Kiknadze</p>	 <p>იაპონური ჰერალდიკის მიმწილვა (ნაცილი მიმრე) Short summary of Japanese Mon system.</p>	<p>80</p>
<p>მამუკა გონგაძე Mamuka Gongadze</p>	 <p>ახალი ქართული ფულის შემცნების ისტორიისათვის To the history of the new Georgian Currency</p>	<p>101</p>
<p>რეზიუმები Summaries</p>	<p>რეზიუმები ინგლისურ ენაზე Summaries in English</p>	<p>113</p>

უმცველესი ქართული გერბი

ჰერალდიკოსთა წრებში დღემდე მიიჩნეოდა, რომ საქართველოს ტერიტორიული ერთეულების აღმნიშვნელი უძველესი გერბები მოსკოვის დიდი მთავრის, ალექსეი მიხაილოვიჩის 1672 წლით დათარიღებულ „ტიტულარნიკშია“ გამოსახული. ამ გერბებით აღნიშნული ტერიტორიული ერთეულების ნაწილს მოსკოვის მთავარი რეალურად განაგებდა, ნაწილზე კი მხოლოდ პრეტენზიას აცხადებდა. სწორედ ამ უკანასკნელთა შორისაა საქართველოს მიწების აღმნიშვნელი გერბები. ასეთ გერბებს ჰერალდიკა „საპრეტენზიო გერბებს“ უწოდებს. XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე მათი გამოსახვა საკმაოდ გავრცელებული იყო. გავიხსენოთ თუნდაც ბრიტანეთის სახელმწიფო გერბში შემავალი საფრანგეთის აღმნიშვნელი შროშანები, რომლებიც გერბიდან მხოლოდ ჯორჯ III-ის მმართველობისას, 1801 წელს ამოიღეს.



1. ივერიის, ქართლისა და საქართველოს გერბები აღმართვილის „ტიტულარნიკშია“, 1672 წელი

ასევე შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ერეკლე II-ის მმართველობის დროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი გერბი.


აქ სამეფო გვირგვინით დასრულებული ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი ერეკლე II-ის მმართველობას რეალურად დაქვემდებარებულ

და იმ ტერიტორიების (სამთავროების) გერბებითაა გარშემორტყმული, რომელთა ფლობაზეც მევე პრეტენზიას აცხადებდა.



2. გრაფი ფრანჩესკო სანტი. ქართლის გერბი რუსეთის გერბიდან, 1727 წელი

ქართული ჰერალდიკის მკვლევართა აზრით, „ტიტულარნიკში“ გამოხატული გველებაპის განმგმირავი წმინდა გიორგი წარწერით – „Карталинских и Грузинских Царей“ – ქართლს, ამ შემთხვევაში კი სრულიად საქართველოს გამოსახავს. ორი ისრით გამსჭვალული „ცეცხლოვანი მთა“, რომელსაც ერთვის წარწერა – „Государь Иверские земли“, ქართლის მიწებს გამოსახავს, ხოლო გერბი ყალყზე შემდგარი ცხენითა და წარწერით – „Всех Северные страны Повелитель“ – კახეთს (მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში კახეთი ჩრდილოეთის მინას იერუსალიმთან აკავშირებს).



3. ქართლის გერბი აავე 1-ის დიზი სახელმიწოდებულის მიერთვის გერბი, 1800 წელი

4. ქართლის გერბი „საქართველოს სამეფოს“ გერბში, რუსეთის იმპერიის დიზი სახელმიწოდებულის გერბიდან, 1882 წელი

დღემდე მკვლევარები მეტწილად თანხმდებოდნენ, რომ ეს სამი გერბი უძველესია ქართულ მიწებთან დაკავშირებულ იმ გერბთა შორის, რომელიც რეალურად გამოიყენებოდა საქართველოში და რომ ისინი არ წარმოადგენს ე.ნ. „მიწერითი ჰერალდიკის“ ანუ უცხოელ ჰერალდიკოსთა ფანტაზიის ნაყოფს.

აქედან გამომდინარე, ეს გერბები გამოიყენებოდა იმ ტერიტორიებზე, რომელთაც გამოსახავდნენ. ამ დასკვნას ამყარებდა ის ჰერალდიკური დანატოვარიც, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენებოდა.

ასე, მაგალითად, 1746 წლით დათარიღებულ ერეკლე II-ის ბეჭედზე გამოსახულია „ტიტულარნიში“ მოთავსებულის მსგავსი ცეცხლოვანი მთა, თუმცა ისრები მთას კი არ გამსჭვალავს, არამედ ისინი გერბის მტკირთველ ლომებს უპყრიათ. ასევე დასტურდება წმინდა გიორგისა და ცხენის კომპოზიციები. ახლა კი მკითხველის უურადლებას მხოლოდ ცეცხლოვან მთაზე გადავიტანთ.



4. ერეკლე II-ის პეტაზი, 1746 წლი



5. ძართლის გერბი, ძართლ-კახეთის აილი სახელმწიფო პეტაზი, 1783 წლი

ზემოთქმული ორი შემთხვევის გარდა, ცეცხლოვანი მთა, გეორგიევსკის ტრაქტატზე დაკიდებულ ქართლ-კახეთის დიდ სახელმწიფო ბეჭედზე გამოსახულ გერბშიც გვხვდება. ერეკლე II-ის ტიტულატურიდან გამომდინარე, აქ, როგორც ვარაუდობენ, წმინდა გიორგი ქართლს აღნიშნავს, ხოლო უცეცხლო მთა – კახეთს. ამ შემთხვევაში ისრები მთას არ გამსჭვალავს,

უბრალოდ, მის ფონზეა გამოსახული. თუმცა, რუსეთში დაცული წყაროების თანახმად, „ცეცხლოვანი მთა“ ქართლის სიმბოლოს წარმოადგენს. სამივე შემთხვევაში გამოსახულია მთა და ისრები (თუმცა კომპოზიციურად და აზრობრივად სხვადასხვა წყობით), ორ შემთხვევაში მთა ცეცხლოვადგებულია. ქართული ჰერალდიკის ასოციაცია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ცდილობდა, საქართველოს „დიდი გერბის“ გამოიყენების ტრადიციის დანერგვას („დიდი გერბი“ უნდა ყოფილყო თხს წანილად გაყოფილი ფარი, სადაც პირველ და მეოთხე მონაკვეთებში წმინდა გიორგი იქნებოდა გამოსახული, მეორე მონაკვეთში, ამ შემთხვევაში იძერია-ქართლის ამსახველი ისრებით გამსჭვალული ცეცხლოვანი მთა, ხოლო მესამე მონაკვეთში კი კოლხეთის აღმნიშვნელი ოქროს სახმისი). ეს პროექტი მაშინდელმა პარლამენტმა დაინუნა და დღემდე საქართველოს „საშუალო გერბი“ (გერბი, რომელშიც ქვეყნის ძირითადი ემბლემატიკა ასახული, დევიზითა და ფარის მტკირთველებით) დიდი გერბის ფუნქციას ასრულებს.

მიიჩნეოდა, რომ საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ამსახველი სხვა უფრო ძველი წარმოშობის ყველა გერბი „მიწერითი ჰერალდიკის“ წიმუშებს წარმოადგენდა, ვინაიდან ამ გერბების საქართველოში გამოიყენება არ დასტურდებოდა.

ერთ-ერთი მსგავი მაგალითია კონრად ფონ გრიუნენბერგის 1483 წლით დათარიღებული „გერბების წიგნი“. გრიუნენბერგი დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ კონსტანციის ბიურგერებისა და რაინდების ცნობილი ოჯახიდან იყო. წაშრობში ევროპის არისტოკრატთა და მაშინდელი დასავლური სამყაროსაფის ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა სამეფოსა თუ ტერიტორიული ერთეულის რეალურად არსებული თუ მიწერითი 2293 გერბია გამოსახული. სადაცისოდ ცნობილია, რომ შემორჩინებული რამდენიმე ფერადი ფოტო მიუნჟენში მდებარე ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარი-დანაა. როგორც ცნობილია, 1414-1418 წლებში ქალაქ კონსტანციში კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო კრება ჩატარდა, რომელსაც არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ზოგი მართლმადიდებელი ქვეყნის, მათ შორის ბიზანტიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მკვლევართა აზრით, გრიუნენბერგი უცხო ქვეყნების გერბების შესახებ ძირითადად იმ მოძველებულ ინფორმაციას ფლობს, რაც კონსტანციის კრების დამსწრეთაგანაა მიღებული. ამ შემთხვევაში კი გერბების წიგნში

მოყვანილი რეალურად გამოყენებული აღ-
მოსავლური გერბების არსებობა XIV საუკუნის
მიწურულითა და XV საუკუნის დასაწყისით შეი-
ძლება დათარიღდეს.



6. პონრად გრიუნენერგის „საგერბე ლიგნის“ ფურცელი
მარტიული მინიატურა გერბით, 1483 წელი

ახლა კი განვიხილოთ ის გერბები, რომ-
ლებიც გრიუნენბერგის წიგნში საქართველოს
ტერიტორიულ ერთეულებს აღნიშნავს. ასეთა
შორისაა აფხაზეთის ორი გერბი, რომელთაც
ერთვის წარწერები: Aptdas და Aptsas.

საგარაუდოდ, ეს გერბები დასავლეთ საქა-
რთველოს აღნიშნავს. აღმოსავლეთ საქართ-
ველოს კი გრიუნენბერგთან შეესაბამება ტერ-
მინები: Georryen და Gedryen.

აფხაზეთისათვის მიწერილი პირველი გერბი
წარწერით – kung von abtdas – წარმოადგენს მე-
ნამულ (მუქ წითელ) ფარს, რომელზეც ოქროს
ლია გვირგვინია გამოსახული. გვირგვინს თავზე
კი ე.წ. „თათრული ქუდი“ ადგას (ზოგ შემთხ-
ვევაში ასეთ ქუდს ალბანურს ან ყივჩაყურსაც
უწოდებენ), რაც აფხაზეთის მონღლებისადმი
ვასალურ დამოკიდებულებას გამოხატავს. ამას
ადასტურებს გერბის აღწერაც, სადაც აღნიშ-
ნულია, რომ აფხაზეთი ხანის ვასალი ქვეყანაა
(წიგნის შექმნის პერიოდში მონღლოლთა ერთიანი

სახელმწიფო უკვე დაშლილი იყო და ამ ვრცელ
ტერიტორიაზე მისი რამდენიმე მემკვიდრე სახ-
ანო იყო წარმოქმნილი. თუმცა XV საუკუნის ეგ-
როპელები ხმირად ჯეროვნად ვერ ასახავდნენ
თანამედროვე რეალურ პოლიტიკურ სიტუაციას
და სისტემატურად იყენებდნენ უკვე საკმაოდ
მოძველებულ ინფორმაციას აღმოსავლეთის
ქვეყნების შესახებ).



7. გრიუნენერგის მიერ აზხახეთისთვის მინიატური
აღმოსავლეთ გერბი, 1483 წელი

აღსანიშნავია ისიც, რომ გრიუნენბერგის
ნაშრომში მონღლოლთა ვასალობის აღმნიშვნელი
წარწერა თან ახლავს საქართველოს და საერ-
თოდ აღმოსავლეთ ეგროპისა და ახლო აღ-
მოსავლეთის თითქმის ყველა გერბს.

აფხაზეთის ამსახველი მეორე გერბი წარწერით – kung von abtdas – წარმოადგენს ოქროს
ფარს, რომელზეც ზემოდან ქვემოთ შევიწროე-
ბული ერთი სევადიანი და ერთი ვერცხლის
შუბის პირის მსგავსი, წაწვეტებული ობიექტე-
ბია გამოსახული.



8. გრიუნენერგის მიერ აზხახეთისთვის მინიატური
აღმოსავლეთ გერბი, 1483 წელი

აღმოსავლეთ საქართველოს პირველი გერბი წარმოადგენს მენამულ (წითელ) ფარს,



9. გრიუნენბერგის მიერ საქართველოსთვის (Gedryen)
მიცემილი პირველი გერბი, 1483 წელი

რომელზეც მავრის ორ ხელს ოქროს გვირგვინი აქვს აღმართული. აღმოსავლეთ საქართველოსთვის განკუთვინლ მეორე ოქროს გერბზე წარწერით – kung von georriyen – კი მენამულ გვირგვინიანი სევადი (შავი) ლომია გამოსახული



10. გრიუნენბერგის მიერ საქართველოსთვის (georriyen)
მიცემილი გორე გერბი, 1483 წელი

(გრიუნენბერგის წიგნის ზოგ ვერსიაში ადამიანის სახის მქონე), რომელიც წიგნის მიუნჟენურ ვერსიაში ვერცხლის ხმალს ამოაგბს მენამული ქარქაშიდან.

გრიუნენბერგისეული ეს ოთხი გერბი განხილული აქვს მკვლევარ ალექსანდრე თვარაძეს წიგნში “საქართველო და კავკასია ევროპულ წყა- როებში” (გვ. 349). ამ ოთხ გერბთან დაკავშირებით ჩვენც ვიზიარებთ მის და სხვა მკვლევართა იმ მოსაზრებას, რომ ზემოხსენებული

გერბები ლეგენდარული, „მიწერითი ჰერალდიკის“ ნიმუშებია და ალბათ საქართველოს ტერიტორიული ერთეულების აღსანიშნავად არასოდეს გამოიყენებოდა.

თუმცა, ქართული მიწების აღსანიშნავად გრიუნენბერგის ნაშრომში ზემოხსენებული ოთხი გერბის გარდა წინა გვერდზე კიდევ ერთი გერბია მოყვანილი, რომელიც აქამდე მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა. ეს გერბი მოთავსებულია ორ გერბს შორის, რომლებიც ჩვე-



11. გრიუნენბერგის წიგნის გვერდი
ლაზარის გერბი, 1483 წელი

ნი აზრით, დღევანდელი უკრაინის მიწებს უნდა აღნიშნავდეს. პირველის წარწერა იკითხება როგორც kung von thaurus undern kaiser kan. აქ საუბარი შეიძლება იყოს ძველი ტავრიდის ანუ ხერსონესის სამეფოს (დღევანდელი ყირიმი) შეახებ. თუმცა, შესაძლებელია, რომ გერბი მცირე აზიაში მდებარე ტავროსის მთების რეგიონს ან კიდევ სპარსეთის თავრიზს აღნიშნავდეს. მომდევნო გერბს, რომლის ლაჟვარდოვან (ლურჯ) ფარზე ადამიანის ხელით მოზიდული ოქროსა და ვერცხლის მშვილდისარია გამოსახული, ახლავს წარწერა kung von russen gehort unden kan. მკვლევართა წანილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია კიევის სამთავროზე. კიევის გერბს მთავარანგელოზი წარმოადგენს, მაგრამ

აღსანიშნავია, რომ 1698 წლით დათარიღებულ კიევის გერბზე არბალეტია გამოსახული.



12. ლაზეთის ხერაი მრიუნენდების მიხედვით
(kung von lasya gehört undern kan), 1483 წელი

ამ მცირე გადახვევის შემდეგ დავუპრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო გერბს. ზემოხსენებულ ორს შორის მოთავსებულ ამ გერბს ახლავს ნარჩერა – kung von lasya gehört undern kan, რაც ასე ითარგმნება: „ხანს დაქვემდებარებული ლაზეთის მეფე“ (ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ქართული მიწების ამსახველი ოთხი დანარჩენი გერბი, ესეც „ხანს დაქვემდებარებულ“ კიდევ ერთ სამეფოს ეკუთვნის). ვერცხლის ვერცხლის ფარზე გამოსახულია ზურმუხტოვანი (მწვანე) ალმოდებული მთა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ალმოდებული მთა ფერადი სახით მხოლოდ გრიუნენბერგის სეულ გერბზე და კიდევ რუსეთის იმპერიის დიდი გერბში (XIX საუკუნე) მოთავსებულ საქართველოს სამეფოს გერბშია გამოსახული. რუსეთის გერბზე, რომელიც საქართველოს სამეფოს სახით მთელ კავკასიას მოიაზრებს, ცეცხლოვანი ზურმუხტოვანი მთა ოქროს ფონზეა გამოსახული და ქართლის სამეფოს ასახავს.



13. ცეცხლოვანი მთა გრიუნენბერგის ნიგნის მორი ეგეომარიზან, 1483 წელი

შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, მთა ცეცხლოვანია თუ უცეცხლო, ის-რებითაა გამსჭვალული თუ არა, იგი საქართველოში, დასავლეთ ევროპასა და რუსეთშიც ქართულ მიწებს, ან უფრო სწორად, მიწის ერთ რომელიმე ნაწილს გამოსახავს (ზოგან ქართლი, ზოგან კახეთი, გრიუნენბერგთან კი ლაზეთი ანუ დასავლეთ საქართველო). ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ ჰერალდიკური მხატვრული სტილი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და გრიუნენბერგის ნაშრომი, კლასიკური ჰერალდიკისთვის დამახასიათებელი გოტიკური სტილის მხატვრობის ნიმუშს წარმოადგენს. მოსკოვური „ტიტულარნიკის“ გერბები კი XVII საუკუნისთვის დამახასიათებელი ბაროკოს სტილის გავლენითა შექმნილი. ამიტომაც ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოსახვის მანერის განსხვავებულობა არასდროს თამაშობს გადამწყვეტ როლს. ჰერალდიკისთვის მთავარი გამოსახულების იდენტიფიკაციაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ არა მხოლოდ შუა საუკუნეებში, არამედ ბევრად უფრო მოგვიანებითაც, უცხოურ წყაროებში, ქართული მიწების კლასიკური, ადრე შუასაუკუნეების და აღმნერლების თანამედროვე ეპოქის დროინდელი სახელწოდებები ერთმანეთშია აღრუული. ამ პერიოდის და გვიანდელ რუკებზეც კი ხშირად ტერმინი ლაზეთი მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს და ტერმინების – კოლხეთის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის პარალელურად, ერთსა და იმავე ტერიტორიას უკავშირდება. ასე, მაგალითად, ტერმინი ლაზეთი მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს ბევრად მოგვიანებითაც კი, ანსელმი მარია ბაზდურის მიერ ამსტერდამში 1742 წელს გამოცემულ რუკაზეც. ასეთივე სიტუაციაა აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებითაც, სადაც წარჩერები – იბერია, ქართლი, კახეთი და საქართველო, ზოგ შემთხვევაში ერთსა და იმავე ტერიტორიაზე განთავსებული.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო გერბი თითქმის ორასი წლით უსწრებს მოსკოვურ „ტიტულარნიკში“ გამოსახულს და ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზების შედეგად თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ სადღეისოდ აღმოჩენილ, საქართველოს ტერიტორიასთან დაკავშირებულ, რეალურად მოქმედ გერბთა შორის უძველესი, სწორედ 1483 წლით დათარიღებულ გრიუნენბერგის „საგერბე წიგნში“ გამოსახული „ცეცხლოვანი მთაა“.

ზაქარია კიკნაძე

Zachary Kiknadze

მხატვარი-ჰერალდიკოსი

საქართველოს გერბები პენტი შატელანის „ისტორიული ატლასის“ მიხედვით

(XVIII საუკუნის პირველი ნახევარი)

პენტი შატელანის ისტორიული ატლასი (*Atlas Historique*)¹ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ენციკლოპედიური ხასიათის ნამრომია. ის მოიცავს იმ პერიოდისთვის ევროპაში დაგროვილ ცოდნას მსოფლიოს გეოგრაფიის, კოსმოგრაფიის, ცალკეული ქვეყნის პოლიტიკური წყობის, კულტურული თავისებურებების, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და პერალდიკის შესახებ. პირველი ტომი გამოიცა ამსტერდამში 1705 წელს, მომდევნო 6 ტომი კი 1706-1720 წლებში. ნამრომი დაწერილია ფრანგულ ენაზე, მოიცავს საკმაოდ მაღალი აკადემიური ხარისხით შესრულებულ გრავიურებს - რუკებსა და ილუსტრაციებს (გერბებს, ქალაქების ხედებს, ეროვნულ ტანისამოსში გამონაბილ ადგილობრივი მოსახლეობის სურათებს და სხვ.).² პენტალდიკური მასალა წარმოდგენილია მე-4 ტომში.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ატლასის ავტორად ხშირად მხოლოდ პენტი აპრაპამ შატელანი (Henri Abraham Chatelain (1684-1743)) სახელდება, ცნობილია, რომ ატლასზე ასევე მუშაობდნენ პენტის მამა - ზაქარი შატელანი (Zacharie Chatelain († 1723)), და ძმა - ზაქარი უმცროსი (Zacharie Junior (1690-1754)). ისტორიულ ატლასში განთავსებული რუკები ძირითადად ეყრდნობა ცნობილი ფრანგი კარტოგრაფის - გიიომ დე ლილის (Guillaume De L'Isle) რუკებს, ტექსტი კი მეტნილად ეკუთვნის ნიკოლა გუდევილს (Nicholas Gueudeville).³ ისტორიული ატლასი პენტისა და ზაქარი უმცროსის მიერ განმეორებით გამოიცა 1732-1739 წლებში. პენტი შატელანი ცხოვრობდა და მოღაწეობდა პარიზში, ლონდონში, ჰააგასა და ამსტერდამში. მისი მოღაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი პოლანდიას უკავშირდება, ამიტომ ხშირად მოიხსენიება, როგორც პოლანდილ კარტოგრაფს. თუმცა, წარმოშობით ის ფრანგი პუგენტი⁴ იყო.

ჩვენთვის საინტერესო პენტალდიკური ტაბულა განთავსებულია ისტორიული ატლასის მე-4 ტომში და არის რიგით 32-ე ტაბულა. სათაური ასე ითარგმნება: მოსკოვიის ცარ-იმპერატორის

მიწების ზოგადი რუკა, სადაც ჩანს, რომ მას ევროპაში და აზიაში ყველაზე დიდი წილი უკავია (Carte générale des états du Czar Empereur de Moscovie, ou l'on voit ce que ce prince posséde en Europe et les états qu'il posséde en Asie avec la plus-part). ტაბულის ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს რუსეთის (მოსკოვიის) იმპერიის და მიმდებარე ქვეყნების რუკას. რუკის გარშემო განთავსებულია გერბები, ძირითადი ქალაქების ნუსხა და მოკლე ცნობები რუკაზე გამოსახული ქვეყნების შესახებ. ამ გერბებს შორის არის საქართველოსთან დაკავშირებული 3 გერბი. ესენია: ქართლი (Cartalinsk), სევერია (Severie) და ივერია (Iweria). (სურ. 1).

ისტორიულ ატლასში წარმოდგენილი ამ გერბების პირველწყარო სავარაუდოდ არის რუსეთის მეფის - ალექსეი მიხაილოვიჩის 1672 წლის ატლასი, ე.წ. ტიტულარნიკი.⁵ თუმცა, სტილისტურად ეს გერბები უფრო მეტ მსგავსებას ავლენენ ავსტრიელი დიპლომატის - კორბის 1698-1699 წლებით დათარილებულ საქართველოს გერბებთან, რომლების ასევე ტიტულარნიკს ეფუძნება.⁶ ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც ისტორიულ ატლასში ვლინდება, არის გერბების ფარის ფორმა. ამ შემთხვევაში ეს არის ევროპული პენტალდიკური ფარი, განსხვავებით კარტუშისა და ოვალური ფარისგან, რაც წინა ორ შემთხვევაში იყო გამოყენებული.

სანამ უშუალოდ გერბებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ეპოქაში საქართველოს არც ერთი მხარე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არ შედიოდა და თავდაპირველად ტიტულარნიკი ქართული გერბების შეტანა ალბათ უფრო რუსეთის ხელმიწის ტიტულატურის პიპერბოლიზაციას ისახავდა მიზნად, ვიდრე რეალური პოლიტიკური ვითარების ასახვას. თუმცა, გარკვეული საფუძველი მაინც არსებობდა, კერძოდ, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობდა ელჩობის ინტენსიური გაცვლა და აღინიშნებოდა ორმხრივი დაინტერესება და მზაობა პოლიტიკური კავშირების დამყარების მიმართ.⁷

1. სრულ სახელმოდება: ისტორიული ატლასი, მუ ისტორიის, ანტიკურ და თანამედროვე გეოგრაფიის განახლებული მიმოხლევა; ნარმოდგენის ახალი რუკებით, სადაც ასახულია მსოფლიოს ახალი ქვეყნების და იმპერიების ნარმოქნის, მათი არსებობის და დაშლის პერიოდები, მათი მთავრობები. ფრანგულად: *Atlas Historique, ou Nouvelle Introduction à l'Histoire, à la Chronologie à l'Geographie Ancienne & Moderne; Représentée dans de Nouvelles Cartes, ou l'on remarque l'Etablissement des Etats & Empires du Monde, leur Durée, leur Chute, & leurs différents Gouvernements.*

2. ილუსტრაციების ავტორი მეტნილად იყო ცნობილ პოლანდიელი მხატვარი რომან დე ჟერე (Romeijn de Hooghe (1645-1708)), გრავიურების ავტორები: J. Goeree, T. Schynvoet, P. Sluyter.

3. ასევე მოიცავს დაპერის (Dapper), შარდენის (Chardin), დე ბრუინის (de Bruyn), ლე ჰეის (Le Hay) და სხვათა მრომებს.

4. Carl Moreland & David Bannister. Antique maps. London, 1983.

5. Н. Н. Сперансов. Земельные гербы России XII - XIX вв. М., 1974.

6. Н. А. Соболева. Старинные гербы российских городов. М., 1985.

7. W.E.D. Allen. Russian embassies to the Georgian kings 1589-1605. Volumes I & II. Cambridge, 1970.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კორპისთან და ისტორიული ატლასის ჰერალდიკურ ტაბულაზე საქართველო ერთგვარად შენიღბულად არის წარმოდგენილი, კერძოდ, არსად ფიგურირებს ევროპელთავის გასაგები სახელწოდება გეორგია. შესაბამისად, ევროპელი მკითხველისთვის სავსებით გაუგებარი რჩება თუ რომელი ქვეყნები იგულისხმება ალნიშნული გერბების ქვეშ. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ამავე ტაბულაზე განთავსებულ რუკაზე საქართველო, სავსებით მართებულად, რუსეთისგან განცალკევებულად არის წარმოდგენილი და თანმხლებ ტექსტში არაფერია ნათქვამი მის დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ.

ქვეყნის მბრძანებელი) გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს.

მიჩნეულია, რომ ჩრდილოეთის ქვეყნად აღმოსავლეთ საქართველოში იცნობდნენ ქართულ მიწებს, ვინაიდან, ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანაში ქრისტიანული სამყაროსთვის საქართველო იერუსალიმისგან უკიდურესად ჩრდილოეთით მდებარე მართლმორწმუნე ქვეყანას წარმოადგენდა.^{9,10}

იგივე ჰერალდიკური გამოსახულება 1882 წლის რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბზე წარმოდგენილია, როგორც ივერიის სიმბოლო (საქართველოს სამეფოს გერბის შემადგენლობაში).



სურ. 1. ისტორიულ ატლასში წარმოდგენილი ქართული გერბები

ქართლის გერბი – წარწერა Cartalinsk, ტიტულარნიკში დაფიქსირებული რუსულენოვანი წარწერის კარალის, გრუზინских ცарები (ქართლის, ქართველ მეფეთა) გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს. კორპისთან დაფიქსირებულია წარწერა Cartalinensium. ჰერალდიკურ ფარზეა მარცხენა მხარეს შებრუნებული მხედრის გამოსახულება, რომელიც შუბით კლავს გველებას. ტიტულარნიკისგან განსხვავებით, აქ (ისევე როგორც კორპისთან), მხედარს (წმინდა გიორგის) შარავანდედი არ ამშვენებს. საქართველოს სიმბოლოდ წმინდა გიორგის გამოსახულება მანამდეც და შემდეგაც არაერთხელ არის წარმოდგენილი, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის გერბების ტაბულაზე,⁸ ურეკლე მეორის, გიორგი მეთორმეტის, დავით გამგებლის და XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის გერბებზე.

სევერიის (ჩრდილოეთის მხარის) გერბი – წარწერა Severie, ტიტულარნიკში დაფიქსირებული რუსულენოვანი წარწერის ვსეა სევერნია სახელით მიმდინარეობა, ატლასი, VIII. თბილისი, 1993.

8. თორნიკე ასათიანი. ქართული გერბთმცოდნება (ჰერალდიკა). თბილისი, 2010.

9. მზია სურგულაძე. პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ფორმულები ქართველ მეფეთა ტიტულატურაში. ქართული წყაროთმცოდნება, VIII. თბილისი, 1993.

10. თორნიკე ასათიანი. ქართული გერბთმცოდნება (ჰერალდიკა). თბილისი, 2010.

11. გიორგი ლობუანიძე. ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ, XVI-XVIII საუკუნეები. თბილისი, 2010.

სევერიის ჰერალდიკურ ფარზე გამოსახულია მარცხენა მხარეს შებრუნებული ყალყზე შემდგარი ცხენი, კუთხებში კი ორი ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ტიტულარნიკისგან განსხვავებით, აქ ვარსკვლავები შვიდქიმიანის ნაცვლად ექვსქიმიანია. ასევე, განსხვავდება ველი, რომელიც აქ მუქია (კორპისთან და XIX საუკუნის გერბზე ველი წითელი ფერისაა).


არსებობს მოსაზრება, რომ სევერიაში კახეთი იგულისხმება. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბაგრატიონის გერბების ტაბულაზე კახეთის გერბზე გამოსახულია ფრთხისანი რაში, რაც ჰერალდიკურად ახლოს არის ცხენის გამოსახულებასთან. ასევე ადსანიმნავია, რომ კახეთი იმ ეპოქის რუკებზე ხშირად წარმოდგენილია, როგორც საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მხარე.¹¹

ივერიის გერბი – წარწერა Iveria, წარმოადგენს ტიტულარნიკში დაფიქსირებული რუსულენოვანი წარწერის გოთარ ივერიის მიწების ხელმწიფე) გამარტივებულ ვარიანტს. მიჩნეულია, რომ აქ იგულისხმება

ქართლის სამეფო და არსებული გამოსახულება ამირანის/პრომეტეს შესახებ ლეგენდას ასახავს. ჰერალდიკურ ფარზე გამოსახულია ორი გადაჯვარედინებული ისრით განმსჭვალული ცეცხლისმფრქვეველი მთა. ტიტულარნივისგან განსხვავებით, აյ მთის გამოსახულება მეტად

ქართველოს ტერიტორიაზე დატანილია ტფილისი (Teflis), ძაგემი (Zagan) (ლოკალიზაცია მეტად არაზუსტია), კახეთი (Caket); მსხვილი შრიფტით დატანილია წარწერა GEORGIE. (სურ. 2).

თანდართულ ტექსტში საქართველოს აღნერილობა არ არის, თუმცა, ცნობები საქართვე-



სურათი 2. ჰერალდიკურ ფაზულაზე ნარმოდგენილი კორპისული რუკის ფრაგმენტი

სტილიზებულია და უფრო კორბისეულ ვარიანტს წააგავს. 1882 წლის რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბზე აღნიშნული ჰერალდიკური გამოსახულება წარმოდგენილია, როგორც ქართლის სიმბოლო (საქართველოს სამეფოს გერბის შემადგენლობაში).

ჰერალდიკურ ტაბულაზე წარმოდგენილ რუკაზე საქართველოს ტერიტორიაც არის ასახული, რომელიც რუსეთის იმპერიისგან გამოყოფილია წერტილოვანი ხაზით. ასევე წერტილოვანი ხაზით არის გაყოფილი დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დატანილია იმერეთი (IMIRETE), სამეგრელო (MINGRELIE), აფხაზები (Abcasses), სამცხე (Samsea), ქუთაისი (Cotatis), სეპასტოპოლისი (Savatopolis), ახალციხე (Akalzike), გონიო (Gonie). აღმოსავლეთ სა-

ლოსა და ქართველების შესახებ, ასევე ქალაქ თბილისის და ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი თბილისელი ქალის ილუსტრაციები წარმოდგენილია ისტორიული ატლასის მე-5 ტომში. აღნიშნული ილუსტრაციების ავტორი ფრანგი მხატვარი კლოდ აბრე (Claude Aubriet (1651-1743)) უნდა იყოს, რომელმაც 1701 წელს ფრანგ ბოტანიკოს ჟოსეფ პიტონ დე ტურნეფორთან (Joseph Pitton de Tournefort)¹² ერთად იმოგზაურა საქართველოში.

გიორგი ლობჟანიძე
George Lobzhanidze

12. ჟოსეფ პიტონ დე ტურნეფორთან. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლივილმა. თბილისი, 1988.

მოლაპარაკე ქვები

საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ხალხმა მდიდარი, მკაფიოდ ეროვნული თავისებურებების მქონე, მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნება შექმნა.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის ხიდის ფუნქციას ასრულებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. აქ, განსხვავებული კულტურის მქონე ცივილიზაციებს შორის, ყოველთვის იყო და არის მრავალმხრივი კავშირები.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, ჯერ კიდევ შემორჩა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც დღემდე ცოცხლობს ძველთაძველი რიტუალების, დღესასწაულებისა თუ საწესო ხელოვნების სახით. სამწუხაოოდ, სამეცნიერო წრეების ყურადღების მიღმა დარჩა საქართველოში არსებული უძველესი კულტურის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა პეტროგლიფები.

პეტროგლიფი (Gk. petros და glyphe - „ქვა“, „კლდე“ და „ამოჭრა“, „ამოკვეთა“) – გამოქვაბულთა კედლებზე, ჭრზე, კლდეებზე თუ ცალკეულ ქვაზე შესრულებული უძველესი გამოსახულებაა. მრავალფეროვანია პეტროგლიფების შესრულების სტილი და ტექნიკა.

მინერალური საღებავებით გამოყვანილი ცხოველებისა და ადამიანების კონტურული ან სილუეტური პოლიქრომული ნახატები; ამოტებვის ან ამოკანვრის მეთოდით შესრულებული გრავიურები და ბარელიეფები.

მობილური ხელოვნების ამ ნიმუშებს ერთმანეთისაგან განასხვავებს თემატიკა და შესრულების ტექნიკა. თემატურად ნახატი შეიძლება იყოს რიტუალური, მემორიალური, ნიშნობრივი და არცთუ ისე იმპიათად, შერული, ანუ ურთიერთგადამკვეთი შინაარსის შემცველი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, კლდის მხატვრობას მაგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, თუმცა ამ მოსაზრების მნიშვნელობა ჩამოყალიბებული განმარტება არ არსებობს.

თანამედროვე ცივილიზაციამ დიდხანს არაფერი იცოდა უძველესი მხატვრობის შესახებ. საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის უდიდეს აღმოჩენათა შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოულოდნელი სწორედ ქვის სანის მხატვრობა იყო. დღეს კი, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პეტროგლიფების გეოგრაფია საგრძნობლად გაიზარდა და დედამიწის თითქმის ყველა კუთხე მოიცვა. თუმცა, ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს ჯერ კიდევ ბევრი

აქვს აღმოსაჩენი და შესასწავლი.

უცხოეთის სამეცნიერო წრეებში პეტროგლიფების კვლევა ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან სფეროდ მიჩნევა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, იქ, სადაც უძველესი იდეოგრამებით დაფარული ქვებია მიკვლეული, ნაციონალური პარკებია შექმნილი და თითოეულ ნიმუშს განსაკუთრებულად იცავენ. ამ თვალსაზრისით, საქართველოში საქმე არცთუ ისე კარგადაა. რასაც ვერ ვიტყვით, თუნდაც, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანზე, სომხეთსა თუ ჩრდილოეთ კავკასიაზე, სადაც მეცნიერები დიდი ხანია გულდასმით იკვლევენ და იცავენ პეტროგლიფებს. არადა, პეტროგლიფები საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. მობილური მხატვრობის მსგავს ნიმუშებს დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ეცეოდა.

საქართველოში პეტროგლიფების შესწავლისა და კვლევის ახალი, საკმაოდ აქტიური ეტაპი დაიწყო 2001 წლიდან, როდესაც ხევსურეთზე დოკუმენტური ფილმის გადაღების დროს ყურადღება მივაქციეთ შატილისა და კისტანის კოშების კედლებზე ამოკვეთილ ნიშნებს. ფილმის ჩვენებისთანავე ჩვენ მიერ აღნუსხული გამოსახულებების კვლევა ცალკეული მეცნიერებისა და ენთუზიასტების ინტერესის საგნად იქცა.

ყოველი მომდევნო ექსპედიციის დროს ვცდილობდით კლდის მხატვრობის ახალი ნიმუშებისთვის მიგვევენო. სწორედ ამ დროს თუშეთში გავიცანით ისტორიკოსი ნუგზარ იდონდე, რომელსაც უდავოდ პირველობა ეკუთვნის საქართველოში პეტროგლიფების მოძიება-შეკრებისა და შესწავლის საქმეში. მან თუშეთის რეგიონში, 1970 წლიდან დღემდე, იქ არსებული თითქმის ყველა პეტროგლიფი აღრიცხა და აღწერა.

წლების განმავლობაში ჩატარებულმა სამუშაოებმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოში აღმოჩენილი პეტროგლიფები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია და მისი გადარჩენა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა

საქართველოში არსებული პეტროგლიფები ერთმანეთისაგან თემატიკითაც განსხვავდება, შესრულების ტექნიკითაც და ქრონოლოგითაც. ისინი საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა გაფანტული და ისტორიის საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს. პალეოლითიდან გვიან შუასაუკუნეებამდე.

ქვემოთ მოვიყვანთ საქართველოში აღმოჩენილი, ჩვენი აზრით ყველაზე საინტერესო, ორი პიქტოგრამის გაშიფრის ვერსიას.



ხევამლის განძთსაცავის პირზოგრამები



ალიოშა ჯაფარიძე ხევამლზე, 1945 წელი

1945 წელს ხევამლის კლდეში გამოკვეთილ ციხექვაბულში, სადაც ქართლის ცხოვრების თანახმად, ქართველ მეფეთა განძთსაცავი მდებარეობდა, ცნობილი მთამსვლელის – ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ავიდა არქეოლოგიური ექსპედიცია 11 კაცის შემადგენლობით. მათ იქ 6 დღე დაჰყვეს და დასკვნეს, რომ განძი დიდი ხნის გატანილი იყო. მათვე ჩაიხატეს ქვედა ბაქანზე გამოკვეთილი ოთახების კედელზე წითელი საღებავით შესრულებული პიქტოგრამები. მაშინ არავის უცდია გაერკვია, თუ რას ნიშნავდა ეს ნახატები.

ხევამლის ციხექვაბული იმდენად მიუდგომელია, რომ მასზე ასვლა მხოლოდ სპეციალური აღჭურვილობითაა შესაძლებელი და ისიც ძალიან დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ამიტომ სულ რამდენიმე ექსპედიციაა იქ ასული. ერთ-ერთი ბოლო ექსპედიცია აქ 2007 წელს არქეოლოგ გურამ გაბიძაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო. სწორედ მისი დამსახურებაა ხევამლის გაცოცხლება და მასთან დაკავშირებული საიდუმლოებების ახლებურად დანახვა. ამ ექსპედიციის შესახებ ფილმზე მუშაობის დროს კვლევებმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ კედელზე არსებული ნახატები კოსმოგონიურ სფეროს უნდა განეკუთვნებოდეს და შეიძლებოდა მასში რამე იყო დაშიფრული. მაინც რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს?



პირზოგრამები ხევამლის ჩვაჩულში



ყველა ფიგურა ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი შესაძლო რაობა. ზედა ფიგურა მერნყულის თანავარსკვლავედია, რომელიც შუმერებიდან მოყოლებული თევზის კუდით გამოიხატებოდა.



მირცხულის თანავარსკვლავეზი



თხის რქის თანავარსკვლავეზი

იოტას მსგავსი ფიგურა თხის რქის ზოდიაქია (იხ. სულხან-საბა, ვ.ნოზაძე. “ვეფხის-ტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება”).



მცილულსანის თანავარსკვლავედი



მზე



კვიცის (კატარა ცხენი) თანავარსკვლავედი



მთვარი (ყამარი)


ამ ოთხ თანავარსკვლავედში მოქცეულია პლანეტების ჯგუფი, რომელთა რაობაც შესაძლებელია დადგინდეს.



მირაური და ვენერა (ისიდა და რისი - ერმი და აფროდიტა)



მარსი (პრესი - პრესა)



18.03.5604 BC

დროის ამ პერიოდში მზის, მარსის, მერკუ-
რისა და ვენერას განლაგება მერჩყულის, თხის
რქის და მშვილდოსნის თანავარსკვლავედში
ხდება, აქვეა პატარა ცხენის თანავარსკვლავე-
დიც. აღსანიშნავია, რომ მთვარე ამ მომენტში
უხილავია, ანუ ცის იმ ნახევარსფეროშია, რო-
მელიც ჰორიზონტს ქვემოთაა. ალბათ სწორედ
ამას მიგვანიშნებს ფიგურა, რომელიც ოთხკუთ-
ხედშია ჩახაზული. შემდგომმა კვლევებმა აჩვე-
ნა, რომ ეს კომბინაცია არ მეორდება არც ერთ
სხვა წელს. ჩვენი გაოცება გამოინვია იმან, რომ
ეს რიცხვი ემთხვევა როგორც შუმერთა წელ-
თალრიცხვის დასაწყისს, ასევე ქართულ ქორო-
ნიკონს, რომელიც დასაბამიდან აქამომდე თა-
ნამედროვე გადათვლით ზუსტად 5604 წელია.



აქ ჩნდება კითხვა: რატომ მაინცდამაინც 5604 წელი? ისტორიიდან ცნობილია, რომ თით-
ქმის ყველა ხალხი თავის წელთალრიცხვას იწ-
ყებს რამე განსაკუთრებული მოვლენიდან. ამ
შემთხვევაშიც ალბათ ასე უნდა ყოფილიყო და
თანაც, ეს ხვამლის კლდესთან უნდა ყოფილიყო
დაკავშირებული. ფილმზე მუშაობის დროს ჩვენ
ხვამლის კლდეს უკვე დაუუკავშირეთ პრომეთეს
მითი (იხ. ფილმი "ხომლი"). მითის მიხედვით,
კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე აფრთხილებს
თავის შვილს, დევკალიონს მოსახლოდნელი კა-
ტასტროფის შესახებ, რომელიც ზევსმა უნდა
მოუკლინოს ადამიანთა მოდგმას და ურჩევს
ააგოს ხომალდი-კიდობანი. ეს ისტორია ხვა-
დასხვა ვარიაციით მსოფლიოს თითქმის ყველა
ხალხის მითებშია მოცემული. საერთოდ, ძველი
ეგვიპტელი ქურუმები ამბობდნენ, რომ დედა-
მიწაზე რამდენიმე წარლვნა იყო. წარლვნის ის-
ტორია ერთ-ერთი მთავარია ბიბლიაშიც და მის
შესახებ მოგვითხრობს ძველი შუმერული ეპოსი
“გილგამეშიანიც”.

მაინც როდის იყო ბოლო წარლვნა? 1998
წელს, ორმა ამერიკელმა მეცნიერმა, კოლუმ-
ბის უნივერსიტეტის გეოლოგებმა, უილიამ
რაიანმა და უოლტერ პიტმანმა გამოაქვეყნეს
მტკიცებულება შავ ზღვაში ბოსფორის სრუტი-
დან წყლის მასიური მოვარდნის შესახებ, რო-

მელიც დაახლოებით ძველი წელთალრიცხვის 5700-5600 წლებში უნდა მომხდარიყო. მანამ-
დე შავიზღვა დიდი მტკიცარი ტბა იყო, რომე-
ლიც ძ.წ. 8000 წელს კავკასიისა და კარპატე-
ბის მთებში კლიმატის გლობალური ცვლილების
გამო ყინულის დნობის შედეგად ჩამოყალიბდა.
შემდეგ კი – 5600 წლისთვის დედამიწაზე კლი-
მატის გლობალურმა ცვლილებამ ოკეანეების
დონის აწევა გამოიწვია. წყლის უზარმაზარმა
მასებმა ბოსფორის კლდოვანი ბარიერი გაარ-
ღვია და შავ ზღვაში ჩაიღვარა. შედეგად, შა-
ვი ზღვის დონე 100 მეტრით აინია და 155 000
კვადრატული კილომეტრი დაფარა და მნიშ-
ვნელოვნად გააფართოვა სანაპირო ზოლი შავი
ზღვის დასავლეთითა და ჩრდილოეთით.



ამასვე ადასტურებს ცნობილი არქეოლოგი
ბალარდი, რომლის წყალქვეშა ექსპედიციამაც
თურქეთის სანაპიროსთან 100 მეტრის სიღრმე-
ზე ადამიანთა საქმიანობის კვალი აღმოაჩინა.
რაიან-პიტმანის თეორიის თარიღი — ძველი
წელთალრიცხვის 5600 წელი, ემთხვევა შუ-
მერებისა და ქართველების წელთალრიცხვების
დასაწყისა – 5604 წელს. ყველაფერი ეს გვაფიქ-
რებინებს, რომ ხვამლის კლდეში გამოკვეთილი
ციხე-ქვაბულის კედელზე არსებული პიქტოგრა-
მა სიმბოლურად გადმოგვცემს უძველესი ქარ-
თული წელთალრიცხვის დასაწყისის თარიღს.
იგი ათვლას იწყებს იმ უდიდესი კატასტროფი-
დან, რომელიც მაშინდელ მსოფლიოში მოხდა.
როგორც ჩანს, გადარჩენილმა მოსახლეობამ
მთებს შეაფარა თავი. ქურუმებმა, რომლებიც
ასტრონომიულ ცოდნას ფლობდნენ, ხვამლის
კლდეზე კატასტროფისა და ახალი ცხოვრების
დაწყების თარიღი დაგვიტოვეს.



გედანის ჯვრის აეთოლიზის ასტრონომიული ასახტები

ეგვიპტური და ქართველური სამყაროს კავშირებზე პირველი ცნობები ეკუთვნის ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდოტეს, რომლისთვისაც კოლხთა და ეგვიპტელთა მსგავსება ეჭვს არ ინვედა. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს უკრაინელი ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენკისი.

ძველეგვიპტურის და პროტოერთველური ენების შედარებითი ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ორი უმთავრესი ეგვიპტური ლმერთი, რომელიც ეგვიპტეში უცხოდ ითვლებოდა, არის ქართველური სამყაროდან შესული. ესენია თოთი და ოსირისი.




თოთი და ოსირისი

თოთი, რომლის უძველესი ფორმაა ჯეხუთი, ითვლებოდა „უცხო ქვეყნის მბრძანებლად“ და მთელი ეგვიპტის ინტელექტუალური ცხოვრების შექმნებულად. ის მართავდა დროს, შექმნა დამწერლობა და ანგარიში. თოთის ასტრონომიული სახეა მთვარე. ძველეგვიპტურად – თოთი, ქართულად – თუთა, თთუ (თვე), მთვარე.

მეორე არაეგვიპტური ლმერთია ოსირისი, ისიდას მეუღლე, რომელმაც ეგვიპტეში მეფობისას ადამიანები გადაჩვია ველურ ცხოვრებას და კაციჭამიობას, ასწავლა ხვნა-თესვა, ვენახის გაშენება, პურის გამოცხობა, ლუდისა და ლვინის დაყენება, ასევე სპილენძისა და ოქროს მოპოვება და დამუშავება. მანვე ასწავლა ადამიანებს მკურნალობა, ქალაქების შენება, დაუნესა ლმერთების თაყვანისცმა.

ოსირისი (ძვ.ეგვ., სირ.) – ივანოვის აზრით, ეს სახელი შეესაბამება ქართულ „ზრდას“. ოსირისის გამოხატულება ცაზე ორიონის თანავარსკვლავედია.

როგორც იური მოსენკისი ვარაუდობს, ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში ეგვიპტეში მოვიდნენ პროტოერთველები და თან მოიტანეს კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლები. როგორც ჩანს, ეს მოხდა ჯერ კიდევ ეგვიპტის ისტორიის სახელმწიფომდელ პერიოდში.




ორიონის თანავარსკვლავედი

აღსანიშნავია, რომ ოსირისის მეუღლის – ისიდას უძველეს გამოსახულებებში თავსაბურავი ძალიან ჰგავს დედალ ხოხობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისიდას კულტიც ეგვიპტეში კოლხეთიდან არის შესული.



ისიდა

ოსირისის ისტორია შინაარსობრივ მსგავსებას ამჟღავნებს ამირანის მითთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამირანის მამას რაჭულ ვერსიაში სირა ჰქვია. სახელი „სირა“ აქამდე გაურკვეველი შინაარსის ცნებას წარმოადგენდა. ჩვენ კი იგი შეგვიძლია დავუკავშიროთ ძველეგვიპტურ სირ-ს, რომელიც ორიონის სახელია. ორიონი ღვთაებრივი მონადირეა, რომელსაც წელზე ხმალი არტყია და უკან ერთგული ძაღლი მიჰყვება. მას ცაზე სირიუსი შეესაბამება.




ორიონის თანავარსკლავები

უდავოა ამირანის და ოსირისის მსგავსება ეგვიპტური და ქართული მითების მიხედვით. ამირანიც მშვილდოსანი მონადირეა, წელზე მასაც ხმალი არტყია და უკან ერთგული გოშია დაჰყუება.

ნამდვილად საინტერესოდ გვეჩვენება ოსირისი-ორიონი-ამირანის სემანტიკური ურთიერთმიმართება. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტ კავშირს შეიძლება ინახავდეს შემდეგი მიმართება: ამარანტის მთიდან გამოედინება რიონი – ამირანი რიონის პირას, ხვამლის მთაზეა მიჯაჭვული. მისი ვარსკვლავური გამოსახულებაა ორიონი. სხვათა შორის ორიონის თანავარკვლავედთან იწყება ერიდანის – “ლოთაებრივი მდინარის” თანავარსკვლავედი.

შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს,



თანავარსკლავები (ხომლი)

მაგრამ ორიონის, თოთისა და ეგვიპტის თემას დამამტკიცებელი არგუმენტი მოეძებნება ხევსურეთში. ჯერ ერთი, ხევსურთა სულეთის ღმერთი საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ღვთაება თოთთან, ხევსურთა მთავარი სალოცავის “გუდანის ჯვარში” კი დევს ქვა, რომელზეც



გუდანის ჯვრის გამოსახულებები

ასეთი რამ არის გამოსახული:

ხელი აქ ღვთაებრივ ნებას აღნიშნავს, ოთხურთხედში დიაგონალურად ჩახატული ჯვარი – პირამიდაზე ზემოდან, შუაში ადამიანის ფიგურა კი ორიონის თანავარსკვლავედია, რომელსაც




გუდანის ჯვრის პეტროგლიფი

სიმბოლიკაში ასე გამოსახავდნენ.

გუდანის პეტროგლიფი გრაფიკულად კიდევ უფრო აკონტრეტებს ორიონის თანავარსკვლავედთან მის მსგავსებას.

მაინც რატომ ანიჭებდნენ ძველ სამყაროში ორიონს ასე დიდ მნიშვნელობას? ასტრონომებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ ორიონის თანავარსკვლავედზე დაკიორვებით შეიძლება დედამიწის პრეცესის გამოთვლა, რომლის სრული ციკლი 25 920 წელია (დედამიწის ღერძი



გულანის პატიონის გულანის თანავარსავლაველის სერატურ გამოსახულებაზე

ნელი სიჩქარით კონუსს შემონერს, დედამიწის მოძრაობის სიბრტყის მიმართ კი ყოველთვის 66,6° გრადუსითაა გადახრილი. ამ მოძრაობას პრეცესია ენოდება, პრეცესია პირველად გამოთვალა ძ.წ. მეორე საუკუნეში ასტრონომიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ძველმა ბერძენმა მეცნიერმა პიპარქემ.

როგორც ირკვევა, პრეცესის შესახებ იცოდნენ შუმერებმაც და ეგვიპტელებმაც, მაგრამ არავინ იცის, საიდან.

ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარლენამდე არსებობდა უძველესი განვითარებული ცივილიზაცია, რომელთა გადარჩენილმა ქურუმებმა ხვამლის მთას შეაფარეს თავი და აქვე საიდუმლოდ ინახავდნენ ცოდნას. წარლენამდელ ცოდნას ემყარებოდა შუმერებისა და ეგვიპტელების უდიდესი ცივილიზაციებიც. აქედან წაიღეს არგონავტებმა ოქროს სანმისი და სათავე დაუდეს ახალბერძნულ ცივილიზაციის. აქ გაზარდა ზევსი კავკასია და აქვეა მიჯაჭვული პრომეთე, რომელმაც ადამიანებს მოუტანა ცოდნის ღვთაებრივი ცეცხლი.

ღმერთან ბრძოლის გამო ამირანი კავკასიის მთებში, გამოქვაბულშია მიჯაჭვული. მის ღვთაებს მუდმივად ძიძგნის არნივი, ხოლო ერთგული ძალი ჯაჭვს ღოკავს და ცდილობს გალიოს იგი. მაგრამ ყოველწლიურად,

ვნების ხუთშაბათს, ღმერთის მიერ მიჩნილი მჭედლები ანახლებენ ჯაჭვს. ძველი გადმოცემით, შვიდ წელიწადში ერთხელ გამოქვაბული იხსნება და ამირანის დანახვა შეიძლება.

P.S. ნებისმიერი პეტროგლიფის ჩვენეული გაშიფრვა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთ-ერთი ვერსიაა, რაც ძველ სამყაროზე ჩვენს ცოდნას ემყარება. სამწუხაროდ, საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა სხვადასხვა აბიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ხშირად უკვალოდ ქრებოდა. ბევრმა რამემ ჩვენამდე მხოლოდ ზღაპრებისა და მითების სახით მოაღწია.

ბოლო წლებში შეიცვალა მეცნიერების მიდგომა მითებისადმი და ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ წარსულზე ჩვენი ცოდნის ახლებურად შევსება დაიწყო. ზუსტად ასევეა პეტროგლიფებთან დაკავშირებითაც. ის უკვე აღარ მიჩნევა როგორც მხოლოდ პრიმიტიული ნახატები და მასზე მუშაობაც ახალ ეტაპზე გადავიდა. იმედია, ჩვენთანაც იგივე მოხდება, მითურებებს, რომ მასალის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით.

დავით გოგუაძე
David Goguadze

ლიტვის თანამედროვე ჰერალდიკა

ლიტვის თანამედროვე ჰერალდიკა ძვირფა-
სი ისტორიული და კულტურული საგანძურია,
რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა 1990
წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდე-
ბლობა მოიპოვა.

ლიტერის თანამედროვე ჰერალდიკის მთავარი ამოცანაა ჰერალდიკის ძველი ლიტერური და ევროპული ტრადიციების პატივისცემა და შენარჩუნება, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, სიმარტივისა და ორიგინალურობის დაცვა.

ლიტტვის ჰერალდიკის კომისიის თავმჯდო-
მარე, დოქტორი ედუნდას რიმშა იხსენებს, თუ
როგორ მოიქცა გერმანელი ჰერალდიკის მხ-
ატვარი არნოლდ რაბბოვი, როდესაც სურდათ
სამოქალაქო გერბში სამი და მეტი სიმბოლოს
გამოყენებით ეწვენებინათ ქალაქის თითქმის
სრული ისტორია... ჰერალდიკის სპეციალისტმა
დამკვეთს უჩვენა გერბის ორი ნიმუში. პირველ-
ზე გამოსახული იყო მხოლოდ ერთი სიმბოლო,
ხოლო მეორეზე, – რამდენიმე და ჰყითხა დამს-
წრე საზოგადოებას, რომელი გერბი იყო უფრო
ლამაზი. დამსწრეთ მეორეზე მიუთითეს. მაშინ
ჰერალდიკოსმა ითხოვა, დაესახელებინათ გერ-
ბებზე გამოსახული სიმბოლოები. მათ ვერ გაიხ-
სენეს, რა სიმბოლები იყო გამოსახული მეორე
გერბზე, მაგრამ დაასახელეს პირველი გერბის
ერთადერთი სიმბოლო. გაბრიელე იასიუნი-
ენემ, რომელმაც შეისწავლა ჩრდილოეთ ლიტ-
ვის სამოქალაქო ჰერალდიკა, როგორც კულ-
ტურული მეხსიერების ნაწილი, ჩაატარა კვლევა
იმავე რეგიონში მცხოვრებ 660 მოქალაქეს შო-
რის და დაადგინა, რომ ადამიანებს უკეთესად
ახსოვთ გერბები, რომლებიც ადვილად გას-
აგები და დასამახსოვრებელია. გაბრიელე ხაზს
უსგამს არსებულ ძლიერ კავშირს კულტურულ
მეხსიერებასა და მარტივ ჰერალდიკას შორის.¹
ლიტვურ სამოქალაქო/მუნიციპალურ გერბებზე
ჩეულებრივ გამოსახულია მხოლოდ ერთი ან
ორი სიმბოლო. გამონაკლისი ხდება მხოლოდ
რამდენიმე შემთხვევაში, როცა მნიშვნელო-
ვანია კონკრეტული, ძველი, ლიტვის დიდი
სამთავროს ან საჭოთა ჰერიოდის გერბების
ისტორიული მახასიათებლების შენარჩუნება.

თუმცა, ზემოაღნიშნული კვლევა აჩვენებს, რომ ისტორიული გერბები საკმაოდ რთულად დასამახსოვრებელი და გაუგებარია ხალხისთვის.² ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ხანდაზმულობა. საკმაოდ რთულია გაიგო, თუ რატომ შეარჩიეს რომელიმე სიმბოლო ქალაქის ნარმოსადგენად სამი ან ხუთი ასული წლის წინ. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ჰერალდიკისა საკითხების არასაკმარისად გაშუქება მასმედიაში. ეროვნული და სახელმწიფო სიმბოლიკა კვლავაც რჩება დისკუსიების საგნად, თუმცა ბოლო დროს ინტერნეტსივრცეში³ გამოჩნდა რამდენიმე სტატია პერალდიკის თემაზე.

პირველი ოფიციალური ჰერალდიკური სამსახური ლიტვაში - ჰერალდიკის რესპუბლიკური კომისია - დაარსდა ლიტვის კულტურის სამინისტროსთან 1966 წელს. ეს შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე სამოქალაქო ჰერალდიკის დაბადების თარიღად. რამდენიმე წლის განმავლობაში, 1968-1970 წლებში, კომისიამ დაამტკიცა 46 ქალაქის გერბი. რამდენიმე გერბს აქვს ძელი ისტორიული ნიშნები და ფერები, რამდენიმე სრულიად ახალია. ლიტვაში გერბების გამოყენება 1970 წელს გაუქმა საბჭოთა ხელისუფლებამ. ჰერალდიკის რესპუბლიკური კომისია აღადგინეს 1987 წელს გორბაჩივის „ჰერესტროიგის“ პირობებში. 1970 წლამდე შექმნილი გერბების ხელახალი განხილვის დროს გადაწყდა ნაწილის ჩასწორება და ნაწილის თავიდან შექმნა. ამჟამად, ლიტვური ჰერალდიკის კომისიის უფლებამოსილება მოიცავს ჰერალდიკის ყველა ასპექტს. შესძამისად, ჰერალდიკის კომისია არის სახელმწიფო უწყება და ანგარიშვალდებულია ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნინაშე. ლიტვური ჰერალდიკის კომისიამ დაამტკიცა 370 ქალაქის, სოფლისა და ადმინისტრაციული ერთეულის აღდგენილი და ახალშექმნილი გერბების, იმავე რაოდენობის დროშებისა და ბეჭდების პროექტი/ესკიზი. ნინამდებარე სტატიაში განხილება ძელი სამოქალაქო გერბების აღდგენისა და ახლის შექმნის პრინციპები, ყველაზე პოპულარული სიმბოლიკა, გერბების, დროშებისა და ბეჭდების დამტკიცებისა და გამოყენების წესი. კალეგი

1. Gabriele Jasiūnienė, Kultūrinė atmintis Šiaulių regiono (Šiaulių apskrities) miestelių heraldikoje, *Acta humanitarica universitatis Saulensis*, nr. 19, Šiauliai, 2014. ISSN 1822-7309. Manuscript submitted to the press.

2. Ibid.

3. Jūratė Mičiulienė, *Heraldika*: nuo būtinybės iki snobizmo, 2008. Access to the Internet: <http://lzinios.lt/lzinios/Istorija/heraldika-nuo-butinybes-iki-snobizmo/116769> ; Arūnas Černiauskas, *Užsalių herbu pasirinktas karingasis bebras*, 2012. Access to the Internet: http://www.delfi.lt/news/daily/lithuania/uzsaliu-herbu-pasirinktas-karingasis-bebras.d?d_id=54746091; Arūnas Marcinkevičius, *Heraldkos akivarai: kodėl turime juostuotą, o ne istorinę vėliavą?*, 2012. Access to the Internet: http://www.delfi.lt/news/daily/lithuania/heraldikos-akivarai-kodel-turime-juostuota-o-ne-istorine-veliava.d?d_id=5995001#ixzz3GuG2qRh8 ; Nerijus Drochneris, *Augalai herbouse: nuo azuolo gilių iki apynių*, 2012. Access to the Internet: http://grynaus.delfi.lt/gyvenimas/augalai-herbouse-nuo-azuolo-giliu-ki-apyniu.d?d_id=57149089 . Daiva Červyckienė, *Lietuva herbo nomi sudėti* Ištaigų katalogas, knygnešių žemėje „Eventusius ir paukštinius“, 2013. Access to the Internet:

iki-apyniu.d?id=5149089 ; Daiva Cervokienė, *L vieną herbą nori sudėti Vytauto kepure, knygnesių žymės, šventuosius ir paukščius*, 2013. Access to the Internet: <http://www.delfi.lt/news/daily/lithuania/i-viena-herba-nori-sudeti-vytauto-kepure-knygnesiu-zymes-sventuosius-ir-paukscius.d?id=60410489#ixzz3GuJp4sCF> ; Venantius Butkus, *Miestų herbose – žvejybos simboliai*, 2014. Access to the Internet: http://klaipeda.diena.lt/naujienos/klaipeda/miesto-pulsas/miestu-herbuose-zvejybos-simboliuji-654001#VEN3mGd_uQl


სა და დემონსტრირების ძირითადი წყაროებია: ლიტვის ჰერალდიკის კომისიის არქივი და ედმუნდას რიმშას წიგნი „ლიტვური ჰერალდიკა“ (ცილნიუსი, 2008 წ.).

არსებული კანონმდებლობის თანახმად, ლიტვის ჰერალდიკის კომისია ახალშექმნილ ან აღდგენილ გერბებს დასამტკიცებლად წარუდგენს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს. საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად კომისია წარადგენს გერბის ორ ნიმუშს – ფერადსა და გრაფიკულს, ქალაქის მმართველობის წერილობით თანხმობას და ქალაქის ისტორიისა და ჰერალდიკის მოკლე (დაახლოებით ორფურცლიან) აღწერილობას. მხატვარი ასევე ამზადებს დროშისა და ბეჭდის ესკიზებს, რომელთაც კომისია ამტკიცებს. ნიმუშები მხოლოდ ხელით უნდა იყოს შესრულებული. ჰერალდიკური სიმბოლოების გამოყენების წესებს განსაზღვრავს ქალაქის მმართველობა; თუმცა სხვადასხვა ორგანიზაციის ლოგოტიპებისა და გრაფიკული ნიშნების პროექტები/ესკიზები, რომლებმიც სამოქალაქო ჰერალდიკის სიმბოლიკა გამოყენებული, შეთანხმებული უნდა იყოს ლიტვის ჰერალდიკის კომისიასთან (მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ამ ორგანიზაციებს კონკრეტული გერბის გამოყენების უფლება).

ლიტვის სახელმწიფოს აღდგენასთან ერთად, 1994 წელს მიღებულმა კანონმა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულებისა და მათი საზღვრების შესახებ, ლიტვა 10 მაზრად დაყო. სამაზრო ჰერალდიკური სიმბოლიკის შექმნა 1999 წელს დაიწყო და თითოეულ მაზრას მიენიჭა საკუთარი გერბი. სამაზრო გერბების გამორჩევის მიზნით გადაწყდა თითოეული მაზრის გერბის ფარზე დაემატებინათ ლაუკარდოვანი არშია და 10 ორმაგი ოქროსფერი ჯვარი. რიცხვი მიუთითებს მაზრების რაოდენობას, ხოლო ორმაგი ჯვარი იმას, რომ მაზრა ექვემდებარება სახელმწიფო ადმინისტრირებას. ქვემოთ მოცემულია კლაიპედის მაზრის გერბი. კლაიპედა ისტორიულ წყაროებში პირველად ჩნდება 1252 წელს, როგორც მემელბურგი. იმ დროს ტერიტორია დაპყრობილი იყო ლივონიის ორდენის მიერ. 1328 წელს ლივონიის ორდენმა კლაიპედა დაუთმო უფრო ძლიერ, პრუსიის ტე-

ვტონთა ორდენს. კლაიპედის დაბრუნება ლიტვამ შეძლო მხოლოდ 1923 წელს. კლაიპედის გუბერნატორის ბეჭდი გამოიყენეს კლაიპედის ოლქის გერბის სიმბოლოდ. გერბზე გამოსახულია წითელ ველზე წყალზე მდგარი დაბალი ოქროსფერი ციხის გალავანი, სამი ოქროსფერი კოშკით (ცენტრალურ კოშკზე ჯვრით). თუმცა, გუბერნატორის ბეჭდი მოდის გერმანული კულტურიდან. გადაწყდა, კლაიპედის ოლქის გერბისთვის გამოიყენებინათ უძველესი ბეჭდის იკონოგრაფიკა, როგორც ადგილობრივ თავისებურებათა საუკეთესო გამოხატულება. ამჟამად ლიტვის ადმინისტრაციული დაყოფა მაზრებად გაუქმდებულია.

ლიტვაში არის რამდენიმე მდიდრულად მორთული გერბი. იხილეთ ვილნიუსისა და კაუნასის დიდი გერბები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება საზეიმო ლონისძიებებისას. მცირე გერბებისგან ისინი განსხვავდებიან დევიზითა



და ფარის მტკირთველებით. ვილნიუსის დიდი გერბი (მარცხნივ) დამტკიცდა 1991 წელს, ხოლო კაუნასის დიდი გერბი (მარჯვნივ), თითქმის ოცა წლის შემდეგ, ანუ 2009 წელს.

მარიამპოლეს გერბი არის კარგი მაგალითი იმისა, თუ რამდენად თავისებური პროცესია ძველი გერბების აღდგენა.

1792 წელს მარიამპოლემ მიიღო თავისუფალი ქალაქის სტატუსი და გერბი წმინდა გიორგის გამოსახულებით, რომელიც მიიჩნეოდა ლიტვის ერთ-ერთ მფარველ წმინდანად. იმავე წელს გერბი გაუქმდა. საბჭოთა პერიოდში მარიამპოლეს კაპსუკასი დაერქვა და ქალაქმა ახალი ემბლემა მიიღო, ცხრაველიანი ფარის გამოსახულებით. იგი განასახიერებს მეცნიერებასა და



განათლებას. საბჭოთა პერიოდში რელიგიური სიმბოლიკა აკრძალული იყო. ყველა ხსენებული სიმბოლო აღადგინეს უკვე დამოუკიდებელ ლიტერაში.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ყველაზე წარმატებულ გერბებს, რომლებიც ახლიდან შეიქმნა საბჭოთა პერიოდში.



დრუსკინინკაი გახლავთ ლიტვის ერთ-ერთი მთავარი საკურორტო ადგილი და რადგან ქალაქი მდებარეობს მდინარე ნემუნასის გასწვრივ გაშლილი ნიწვოვანი ტყეების შუაგულში (აյ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XX საუკუნის ლიტვის ყველაზე ცნობილი მხატვარი და კომპოზიტორი მიკალიოუს კონსტანტინას ჩურლიონისი), დრუსკინინკაის გერბზე განთავსებულია დაგვირგვინებული ფიჭვი (გამოსახულება აღებულია ჩურლიონისის ერთ-ერთი ნამუშევრიდან). დრუსკინინკაის გერბი, რომელიც ხელახლა შეიქმნა 1969 წლის ნახატის საფუძველზე, დამტკიცდა 1994 წელს.

ქალაქ კაიშიადორისის სწრაფი ზრდა იწყება XIX საუკუნის მეორე ნახევარში სატრანსპორტო და სარკინიგზი მიმოსვლის განვითარებასთან



ერთად. 1968 წელს შექმნილ ქალაქის გერბზე გამოსახულია სტილიზებული ცხენები, ქარში მოფრინალე ფაფრებით და განასახიერებენ ქალაქში სანინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ მატარებლებს, რომლებიც უკან ტოვებენ კვამლის „კუდებს“.

საინტერესოა ქალაქ ზარასაის გერბი. ზარა-

საი მდებარეობს წყლისა და ტყის პირას, ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ადგილზე ლიტვაში და ამიტომ ახალ გერბზე გამოსახულია ირმისა და თევზის ნაწილების შეერთებით მიღებული ფანტასტიკური არსება და ბიზანტინი (ოქროს მედალიონი/მონეტა), რომელიც გამოსახავს მზეს. გერბის შავი ფერის ქვედა ნაწილში მოთავსებული ვერცხლის ტალღოვანი ხმალი



განასახიერებს ისტორიულ ბრძოლებს და ყოვლისშემძლე მოსამართლის/ღმერთის სამართლიანობას.


ფანტასტიკური/მითური ელემენტები გახლავთ ლიტვური ჰერალდიკის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივი: გამარჯვების ალეგორია, სიუხვის რქა, ურჩხული (დემონი), დრაკონი, ჰიპოცენტავრი (კენტავრი), იუსტიცია, მერკური, პეგასი, მარტორქა და მისთ. ფანტასტიკური არსების გამოყენებისას, თანამედროვე ლიტვურ ჰერალდიკაში ძალიან გავრცელებულია ორი ცხოველის ან ცხოველისა და მცენარის შერწყმა.

წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს. პირველი გერბი ეკუთვნის ქალაქ ვიეშვილეს. ცხენისა და თევზის შერწყმით მიღებული წითელი არსება, რომელიც განთავსებულია ვერცხლის ფარზე, ქალაქის სტრატეგიული ადგილმდებარების მანიშნებელია, რადგან ქალაქი ყოველთვის მნიშვნელოვან სახმელეთო



და სამდინარო გზებთან იყო დაკავშირებული. მეორე გახლავთ გრენდავეს გერბი (გვერდით წარმოდგენილია გრენდავეს დროშა). გერბზე გამოსახულია ფანტასტიკური არსება, ნახევრად მგელი და ნახევრად თევზი. გრენდავე მდებარეობს ნაკრძალში, სამი მდინარისა და თორმეტი ტბის მახლობლად. ამ თორმეტიდან ყველაზე შთამბეჭდავია ვილკოცნისის ტბა. სახელი უკავშირდება მგელსა და რომანტიკულ ლეგენდას, რომელიც მოვითხოვთ, თუ რა ვერაგულად და ბოროტად უნდოდა ვილკოცნისა მდინარე ვერკნეს (რომელიც მას უყვარდა) ძალით შეკავება. მაგრამ ვერკნესა და ნემუნასს (ყველაზე გრძელ ლიტვის მდინარეს) იმდენად უყვარდათ ერთმანეთი, რომ ვერკნემ მოახერხა თავის დაღწევა. მესამე გერბი ეკუთვნის სალდუტიშქისას, რომელიც მდებარეობს ლიტვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ტყესთან. შესაბამისად, გერბზე გამოსახულია ვერცხლის ირმის თავი, რომელსაც რქების ნაცვლად ადგას ორი ვერცხლის ფიფქის ტოტი ოქროს გირჩებით (გერბის გვერდით წარმოდგენილია სალდუტიშქისას დროშა). ფანტასტიკური არსება განასახიერებს ტყის სიმდიდრესა და ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობას.

ლიტველები სამოქალაქო პერალდიკაში სხვა სახის ფანტასტიკურ ელემენტებსაც იყენებენ.



2000 წლიდან მოყოლებული, გრიგორესი, მდინარე ვოკეს ორივე ნაპირზე გაშლილი ტყეებით გარშემორტყმული ქალაქის ტიპის დასახლება, ქალაქ ვილნიუსის მეზობლად მდებარე რაიონის ცენტრია. აღნიშნული სახელი უწოდა გრიგას ჟურეცასმა, რომელმაც 1923 წელს ვოკეს მიმდებარე ტერიტორიაზე ქალალდის ფაბრიკა ააშენა. ამ დასახლების გერბი ეფუძნებოდა ისტორიულ წყლის ნიშანს, რომელიც განასახიერებს ამ რაიონში მრავალი წლის განმავლობაში არსებულ ქალალდის წარმოებას. მარჯვენა ნახატი გამოსახავს თრაკაის რაიონში 1496 წლიდან არსებულ ერთ-ერთ წყლის ნიშანს, რომელზედაც დატანილია გარეული ხარის თავი, ჯვარი და გველი.

პერალდიკური მოტივების სხვა დიდ ჯგუფს



წარმოადგენს ცხოველები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ, თუ რა ტიპის ცხოველებია გამოყენებული ლიტვის გერბების შექმნისას. ესენია: ძუძუმწოვრები, ფრინველები, რეპტილიები, თევზები, მწერები და კიბოსნაირები. თუ სახელი წითელი შრიფტითაა მოცემული, იგულისხმება, რომ ცხოველი ლიტვის წითელ წიგნშია შეტანილი, როგორც იშვიათი სახეობა. არსებობს ორი გერბის ნიმუში, რომლებზეც გამოყენებულია ორი იშვიათი სახეობის გამოსახულება (ოფოფი და ჭაობის კუ). პირველია კუატიშქისას ე.წ. „მოლაპარაკე“ გერბი, ოფოფის გამოსახულებით (ოფოფი ლიტვურად არის კუკუტის-ი, საიდანაცაა ქალაქის დასახელება – Kuktiškės). ხალხური ეტიმოლოგიის თანახმადაც, ქალაქის სახელი მომდინარეობს სწორედ ამ იშვიათი ფრინველის დასახელებიდან. ამგვარად, იგი „მოლაპარაკე“ გერბია, რომლის მსგავსი ბევრია ლიტვურ პერალდიკაში. მაგალითისთვის ავიდოთ ვეპრიაის გერბი. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ვეპრია თავის სახელს იღებს ბალტიური სიტყვიდან ვეპრის, რაც ნიშნავს გარეულ ღორს, ტახს. თანამედროვე ლიტვური ენიდან ეს სიტყვა ამოლებულია, მაგრამ ლატვიაში დღემდე გამოიყენება. შემდეგი გერბი ეკუთვნის ქალაქ სეირიუჟაის. ჭაობის კუ გახლავთ უნიკალური და უიშვიათესი სახეობა, რომელიც ბინადრობს სეირიუჟაის ტერიტორიაზე. ამით არის განპირობებული ქალაქის გერ-

ძუძუმწოვრები	ფრინველები	რეპტილიები	თევზები	მწერები	კიბოსნაირები
დათვი თახვი ტახი კამერი ხარი ხბო ირემი (რქები) ცხენირემი მელა თხა კურდლელი ცხენი ლომი ფოცხვერი შველი დომბა მგელი	შავქოჩორა ღა- მის ყანჩა შავი შაშვი ყარყატი მამალი წერო გუგული იხვი არწივი შევარდენი ჩიტბატონა როჭო ოფოფი ალკუნი ღაღლა ტოროლა ბუ ხოხობი მტრედი ჭილყვავი თოლია ქედანი გედი კაკაპი	ანკარა ჭაობის კუ გველი	ცობრი ორაგული კალმახი ევროპული ჭა- ბალა	ფუტკარი (ფი- ჭა)	კიბორჩხალა

ბის გამოსახულებად მისი გამოყენება. გარდა ამისა, კუ დღეგრძელობის სიმბოლოა.

ცხრილი მეტყველებს ძუძუმწოვრებისა და ფრინველების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მიზეზით.

ერთი მხრივ, ძუძუმწოვრები და ფრინველები ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობასთან მჭიდროდ იყვნენ და არიან დაკავშირებულნი. გარდა ამისა, ამ ცხოველთა უმეტესობა ხშირადაა ნახსენები ლიტვურ ფოლკლორში. მეორე მხრივ, ისინი პოლისემიური სიმბოლოებია, რომლებიც ასახავენ ადამიანის ბუნების სხვადასხვა თვისებას. მაგალითად, პიროვნულ სიმდიდრეს, ქრისტიანობას, საქმიანობის დარგებს, კუთხურ თვისებებს და ა.შ.

ქალაქ ველუისის გერბზე გამოსახულია თან-



ამედროვე ლიტვური ჰერალდიკისთვის საქმაოდ იშვიათი – კიბორჩხალა. იგი განასახიერებს სუფთა მდინარეებს ცოცხალი კიბორჩხალებით, ხოლო ვაშლი აღნიშნავს ველუისის წარმატებული მებალეობის ტრადიციებს.


შემდეგი ორი მნიშვნელოვანი ჰერალდიკური მოტივების ჯგუფია მცენარეები და რელიგიური ელემენტები. ჰერალდიკაში გამოიყენება ყვავილების ნაირსახეობა (ზოგიერთი მათგანი ლიტვის წითელ წიგნშია შეტანილი), სხვადასხვა ხე, ხილი და სხვა სახის მცენარეები, როგორიცაა სიმინდი, დაფნა, ვაზი და ა.შ. გამოიყენებულია აგრეთვე თერთმეტი წმინდანის, ზეციური თვალის, ჯვრისა და სხვა მრავალი რელიგიური სიმბოლოს გამოსახულება. კალტანენაის გერბზე დატანილია ძალიან იშვიათი ყვავილი – წყლის ლობელია (ზამბახი), რომელიც მხოლოდ ამ რეგიონშია გავრცელებული. შემდეგ ილუსტრაციაზე ნაჩვენებია ორი ქალაქის – კაზი-იშკესისა და ალექსანდრიას გებბი, სადაც რელიგიური ელემენტებია გამოიყენებული. როგორც წესი, რელიგიური ელენემტი ასახავს ხალხის ღვთისმოსახობას, რელიგიურ დღესასწაულს, ტრადიციას, ტაძრების დასახელებას, მრევლისა და სამღვდელოების საქმიანობას. პრაქტიკული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები, რომ ადამიანები, რომელთაც სურთ თავისი, განსაკუთრებით მცირე ქალაქისთვის



ხალლი გერბის შექმნა, ხშირად ცდილობები ამ ქალაქის ტაძარი გამოსახონ როგორც ჰერალდიკური სიმბოლო. ზოგიერთი ტაძარი წარმოდგენილია ლიტვურ ჰერალდიკაში, მაგრამ იგი არის მნიშვნელოვანი ურბანული და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, ლიტვის ჰერალდიკის კომისია ცდილობს შესთავაზოს სხვა სიმბოლოები ან მთარველი წმინდანი, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ქალაქის ტაძარს, რაც კეთდება ჰერალდიკური მრავალფეროვნებისა და ორიგინალურობისთვის. გაბრიელე იასიუნიენეს საკონფერენციო მოხსენების თანახმად, რომელშიც ჩრდილოეთ ლიტვის ჰერალდიკაში გამოყენებული ქრისტიანული სიმბოლოები იყო განხილული, მოსახლეობის ნაწილს სურდა ქალაქების უკვე არსებულ გერბებზე სხვა ქრისტიანული სიმბოლიკის გამოყენება, რაც მიუთითებს ქრისტიანული სიმბოლიზმის მნიშვნელობაზე თუნდაც საერო საზოგადოებისთვის.¹

შემდეგი სამი ჯგუფის მოტივები გახლავთ
არქიტექტურა, იარაღი და მანქანები. არქიტე-
ქტურაზე საუბრისას, უნდა აღვინიშნოთ, რომ
ლიტვის ჰერალდიკაში წარმოდგენილია არა მხ-
ოლოდ დიდი შენობები, როგორიცაა ტაძარი ან
ციხესიმაგრე, არამედ მცირე არქიტექტურული
ნაგებობებიც. მაგალითად, გზისპირა სვეტი
წმინდანის ქანდაკებით. ლიტვის თანამედროვე
ჰერალდიკაში გამოყენებულია იარაღის მრა-

სალი სახეობა – მცირე ისრებით დაწყებული და დიდი ქვემებებით დამთავრებული. რაც შეეხება მანქანებს, გამოიყენება სახმელეთო და წყლის სატრანსპორტო საშუალებები. როგორც ადრე ვახსენეთ, კლაიპედა გერმანული კულტურის ზეგავლენას განიცდიდა და, შესაბამისად, კლაიპედის ჰერალდიკაც განსხვავდება დანარჩენი ლიტვის ჰერალდიკისგან. მიიჩნევა, რომ ქალაქის ბეჭედზე და, მოგვანებით, ქალაქის გერბზე გამოსახული ძლევამოსილი აგურის ციხესიმაგრე, ორი პატარა ხის კოშკით და გემის კორპუსი აღებულია კლაიპედის XIII საუკუნის მეორე ნახევრის თავდაცვითი სისტემიდან (და შეიძლება ყოფილიყო აგრეთვე საბრძოლო გემის გამოსახულება ხის ფორტიფიკაციებით). კლაიპედის გერბს მოჰყვება ახალდამტკიცებული მედინინკაის გერბი (2014). მედინინკა ცნობილია თავისი ნანილობრივად შენარჩუნებული XIV საუკუნის ციხით და არის ლიტვის ერთერთი მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობის ცენტრი, რომელიც იცავდა დედაქალაქ ვილნიუსს თავდასხმებისგან ჯვაროსანთა და თათარმონლობთა მხრიდან. ცხადია, რომ ქალაქის გერბზე მედინინკაის ციხის გამოსახულება საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. ადგილობრივ მოსახლეობას ქალაქის ჰერალდიკაში წმინდა კაზიმირის ატრიბუტიკის გამოყენებაც უნდოდა. ეს სურვილი გაითვალისწეს ქალაქის დროშის შექმნისას, რომელზეც გამოსახულია მისი ატრიბუტი – ჰერცოგის გვირგვინი, რადგანაც წმინდა კაზიმირი ლიტვის მმართველი შტოს წარმომადგენელი იყო. ზემოთ წარმომადგენილია კიდევ ორი საყურადღებო გერბი. ქალაქ ბიუოტაის გერბზე გამოსახულია ბაუბლისი – ლიტვის პირველი რეგიონალური მუზეუმი. ბაუბლისი გახდავთ მწერალ დიონიზის პოშას მიერ შექმნილი სახლი, რომელიც მან 1812 წელს თავად



1. Marius Ščavinskas, *Apie kultūrines slinktis nuo Prūsijos iki Žemaitijos: mokslinė konferencija „Krikščioniškos raidos kontekstai: inkultūracinių ir akultūracinių proesų poveikiai vakarinės LDK dalies bei Prūsijos krikščioniškam gyvenimui“*. Review of the conference. Access to the Internet: file:///C:/Users/Agn%C4%97/Desktop/333-1154-1-PB.pdf

ამოკვეთა ათასწლიანი მუხის ხისაგან. აქ ინახება სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთი, ისტორიული და ეთნოგრაფიული ექსპონატები, ცნობილი ადამიანების პორტრეტები და ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს 200-ზე მეტ წიგნს. ქალაქ დოვილას გერბზე გამოსახულია „კრიკსტას“ (krikstas) – ლიტვაში ხის სასაფლაო მონუმენტის ერთ-ერთი უძველესი ფორმა. ეს გახლავთ ლიტვის ლიტვის მატერიალური კულტურის ასევე ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, რომელიც თარიღდება XV საუკუნით და აქვს გეომეტრიული, მცენარეული ან ზოომორფული ფორმა.

იარაღის მოტივები გამოყენებულია ბატაკი-




აისა და კროსნას ჰერალდიკაში. შავი დათვის გამოსახულება ნასესხებია ჩრდილო-დასავლური ლიტვის სამოგიტის რეგიონის გერბიდან, ხოლო წითელი (სისხლიანი) ხელკეტი გახლავთ სამოგიტის რეგიონის ტრადიციული იარაღი. ქალაქი კროსა მდებარეობს ცნობილ ნაკრძალ უუვინტასის მიდამოებში. წერო, რომელიც უუვინტასის ნაკრძალში ბუდობს, ლიტვის წითელ წიგნშია შეტანილი, ხოლო აფთი ქალაქის მფარველი წმინდანის, წმინდა მათეს ატრიბუტია. ლეგენდის თანახმად, წმინდა მათეს თავი აფთით მოკვეთეს. კროსნას გერბი არის სულიერი მფარველობის, ბუნების სმიდიდრისა და კროსნას მოსახლეობის ოკუპანტებთან ბრძოლის სიმბოლო.

შვენტოის გერბი ყოფილი საზღვაო პორტის სიმბოლოა, ხოლო წევარენაის გერბს ერთი ადგილობრივი ლეგენდა უკავშირდება. ლეგენდა მოგვითხრობს ურკით მოგზაური ორი ქალის შესახებ, რომებსაც გზა აეპარა, ჭაობში აღ-

მოჩდნენ და საშველად ხმამაღლა გაიძახოდნენ საკუთარ სახელებს – „ნევა“ და „რენა“. ადგილობრივმა მოსახლეობამ ქალები სიკვდილს გადაარჩინა მხოლოდ მას მერე, რაც ნევამ და რენამ გადარჩენის ადგილას ეკლესის აშენების პირობა დადეს. მათი სახელები საფუძვლად დაედო ქალაქის დასახელებას, ხოლო ლეგენდა იქცა გერბის მთავარ მოტივად.


შემდეგი გავრცელებული ჰერალდიკური მოტივების ჯგუფი გახლავთ საკრავები. მაგალითად, სტვირი და უძველესი ლიტვური ხალხური სიმბიანი საკრავი „კანკლესი“ (kanklės); აგრეთვე შეგვიძლია დავასახელოთ ცისმცხოვრებთა და სხვადასხვა პროფესიის ადამი-



ანთა გამოსახულებები.

ლაბანორასის გერბზე გამოსახულია გარეული ღორი, რომელიც უკრავს ლაბანორასის სტვირზე (ლიტვის ყველაზე გამორჩეულ სტვირებს სწორედ ამ რეგიონში აწარმოებდნენ). რაუდენა მდებარეობს მდინარე რაუდას ორივე მხარეს. „რაუდა“ წიშნავს „ელეგიას“, ანუ ლირიკული პოეზიის უანრს. ოდესლაც ხალხური ელეგიების შესრულება ხდებოდა kanklės-ის აკომპანემენტით და სწორედ ამიტომ ქალაქის გერბზე ეს საკრავია გამოსახული.

ქალაქ პანდელისის (Pandėlys) დასახელება, სავარაუდოდ, წარმოიშვა ამ ქალაქში ორშაბათობით ბაზრობის მონცობის ტრადიციიდან (poniedzialek – პოლონურად). ქალაქის გერბის თავში მოთავსებული ლურჯი ნახევარმშვარე განასახიერებს ორშაბათს, ხოლო ექვსი წითელი შვიდქიმიანი ვარსკვლავი – კვირის დანარჩენი დღეებია. სიმბოლოების ამგვარი განლაგება



გამოწვეულია ძველი ლათინური კალენდრის ტრადიციებით, სადაც კვირის ათველა იწყებოდა კვირადღით, ხოლო ორშაბათი იყო კვირის მეორე დღე.

მომდევნო ორ ილუსტრაციაზე ნაჩვენებია ვაბალნინკასის და ნაუჟოუი იუტას აღგენი-



ლი გერბები. ვაბალნინკასის გერბზე ვხედავთ მამაკაცს სელის აწონის პროცესში, ხოლო ახალშექმნილ ნაუჟოუი იუტას გერბზე – მინათმერს. 1792 წელს ვაბილინსკასმა მოიპოვა თავისუფალი ქალაქის სტატუსი. ამ გერბების თემატიკა ადგილობრივ მოქალაქეთა ძირითად საქმიანობას უკავშირდება და მათი ხელახლა დამტკიცება მოხდა 1997 და 2006 წლებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლიტვის ჰერალდიკის დანარჩენი ელემენტები, როგორიცაა წიგნები, სამეურნეო იარაღები, ზარები, ნალი, საბეჭდი დაზგა, ჰერალდიკური საპატიო ფიგურები და მრავალი სხვა.

პაშვიტინის გერბი განასახიერებს მიწათმოქმედებისა და ლუდის ხარშვის ტრადიციებს, ხოლო ბარზდის გერბი – ლიტვის მეცნიერებისა და განათლების სფეროში რეგიონის მიერ შეტანილ წელით. ქალაქ უუოდუპეს სახელი დაკავშირებულია მდინარე უუოდუპესთან, რაც „შავ მდინარეს“ ნიშნავს. მდინარეს ასე დაერქვა მისი ბევრ ადგილას შავი ფსკერის გამო. სწორედ ამიტომ, ქალაქის ახალ გერბზე შავი, ტალღოვანი სარტყელია გამოსახული.

ვაკაის გერბისთვის შესაძლო მოტივების შერჩევისას გადაწყდა, რომ გერბზე უნდა ასახულიყო ქალაქის სახელის წარმოშობის ის-



ტორია. იგი გამომდინარეობს ქალაქის მეტსახელის (Vaškas — ცვილის) მრავლობითი რიცხვის ფორმიდან (Vaškai), რაც მჭიდროდ უკავშირდება ლიტვაში ერთ-ერთ უძველეს და უაღრესად პატივისაცემ საქმიანობას – მეფეტკრეობას. გერბის ორნამენტული ოქროს ველისთვის ფიჭის სტრუქტურა გამოყენებული, გადაბრუნებული შევრონი (V-სეპრი სირმა) ქალაქის სახელის პირველ ასოს წარმოდგენს, ხოლო შევრონის წითელი ფერი –


თავისუფლებისთვის ბრძოლის დროს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დალვრილ სისხლს.

ამბობენ, რომ ოდესალაც ქალაქ მეშკუიჩიას (Meškuičiai) ადგილას იყო უზარმაზარი ტყე, სადაც ბევრი გარეული ცხოველი (მათ შორის დათვი (meskos) ბინადრობდა, რის გამოც ქალაქს შესაბამისი სახელი დაარქვეს. ქალაქიდან

სამხრეთით, უქვე კილომეტრში მდებარე ციხე-ყორლანი იურგაიტისი (დომანტაი) საყველთაოდ ცნობილია, როგორც ჯვრების მთა. სავარაუდოდ, ხის ჯვრები მთაზე პირველად გაჩნდა 1831 წლის აჯანყების შემდეგ, 1850 წლამდე; საბჭოთა პერიოდის დროს მრავალჯერ

სხვა სიმბოლოები

ნაჯახი ბალტიის პროგრამი ზარი მონეტა ბლაგვი ნაჯახი წიგნი ბუკი მანდალი ზანდუკი	გვირგვინი დროშა ცეცხლი ფარცხი ნალი დოქი გასაღები ნათურა შუქურა	სელის ნართი ულვაში ურიკა გუთანი სახნისი საპოსტო ჰორნი საბეჭდი დაზგა ცელი	სამჭედლო ქვა კუპრის კასრი სამკაპი წიფელი თეთრეულის საჯადრავი წყლის წისქვილი ფლუგერი
--	--	---	--





მოხდა მათი მოხსნა-ალდეგენა. დღეს ყორდაზე ათასობით ჯვარია აღმართული; იოან პავლე II-ის 1993 წლის ვიზიტის შემდეგ ადგილმა სახელი კიდევ უფრო გაითქვა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ამგვარად გადაწყდა დათვის ფიგურის გამოსახვა წითელი ჯვრებით მორთულ ველზე.

შემდეგი გერბი გახლავთ მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება საპატიო ჰერალდიკური ფიგურის კომბინირება ორნამენტულ ფიგურებსა და სხვა სიმბოლოებთან. ქალაქი როკაი მდებარეობს მდინარე უიესიას ლანდშაფტურ

ნაკრძალთან ახლოს და ცნობილია აგურის ნარმოების უძველესი ტრადიციით. აგურის პირველი ცნობილი ქარხანა ბერნარდინულ მონასტრერთან 1603 წელს არსებობდა. იგი ისტორიულ დოკუმენტებში პირველად მოხსენიებულია უკვე 1589 წელს. მოგვიანებით კიდევ აგურის ორი ქარხანა აშენდა. აგურის ნარმოება ძალზე მომგებიანი იყო, განსაკუთრებით ომებს შორის პერიოდში. ამჟამად როკაის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია აგურის ქარხანაში. ვერცხლის ფარზე გამოსახული სუროს ორი რტო (მცენარე შეტანილია ლიტვის წითელ წიგნში) გახლავთ როკაის ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნების სიმბოლო, ხოლო ორი ორნამენტული წითელი აგურის ბოძი განასახიერებს რეგიონში არსებულ უძველეს აგურის ნარმოების ტრადიციას.

მდინარეებისა და წყლის მოტივების ჯგუფი არ არის ფართო. ერთი შეხედვით, შეიძლება გამოჩნდეს, რომ ყველა გერბზე მდინარე სი-

მარტივის პრინციპით არის გამოსახული. ვერცხლის ფარი ხშირად გამოიყენება, როცა მხატვას სურს მიუთითოს ქალაქის გეოგრაფიულ სიახლოებები ზღვასთან, ტბებთან ან დიდ მდინარეებთან. წყლის მცირე ობიექტები გამოისახება მინიატურული ჰერალდიკური ფიგურებით – ვერცხლის ტალღოვანი ქამრებით ან ზოლებით. ორი ასეთი მაგალითია კულვას ვერცხლის გედით დაგვირგვნებული გერბი (ეს გერბი სულ ახალია და დამტკიცების პროცესში) და სინტაუტას გერბი, რომელიც მიუთითებს ქალაქის




გეოგრაფიულ მდებარეობას სამი მდინარის შესართავთან. შავი ფერის გამოყენება მდინარის გამოსახულებისთვის გამონაკლისია ჟიოდუპეს გერბის შემთხვევაში. წყაროები (ლიტვურად versmės) აგრეთვე გამოსახულია გერბებზე, მაგალითად, კრინჩინასის შემთხვევაში. კრინჩინასი ცნობილია სამკურნალო თვისებებით მდიდარი წყაროებით. გერბი დამტკიცდა 2012 წელს.

დასკვერები:

- ლიტვის სამოქალაქო გერბების სიმბოლიზმა შეიძლება აჩვენოს: გეოგრაფიული ადგილის დასახელება, ტრადიციები, მრავალკულტურიანობა, საომარი/თავდაცვითი განწყობილება, ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობის სახეები, ბუნების სამდიდრე, რელიგიური ელემენტები, არქიტექტურა, მეცნიერება, განათლება, იშვიათი ცხოველებისა თუ მცენარეების გამოსახულებები.

2. ସାଧକଟା ଶୈରିନ୍ଦିଲ୍‌ଗାନ ଗାନ୍‌ଶ୍ଵାଗେବୀତ, ଲିପିବୀଳ ତାନାମ୍ବରୀତ୍ୟେ ଶୈରାଲ୍‌ଫିକାଶି ଯାର୍ତ୍ତିନାଦା ଗାମୋଯେନ୍‌ବୁଲି ମନ୍‌ଦାକାରାକ୍‌ ଏବଂ ସାପାତିନି ଶୈରାଲ୍‌ଫିକିଯୁରି ଯିଗୁର୍ବେବୀ. ଉନ୍ଦା ଅଲିନିଥିନ୍‌କୁ, ରମ ଥିନ୍‌ଗଜେର ବାଲକୁ ଏବଂ ଶ୍ରୀରମ ସାପାତିନି ଶୈରାଲ୍‌ଫିକିଯୁରି ଯିଗୁର୍ବେବୀ ଗାମୋଯେନ୍‌ବା ଗେରିବ୍‌ବୀ ମାତ୍ର ଲ୍ଲାକଣିଥିଲିବୀ ଗାମି.

3. ଅର୍କେବନ୍‌ଦିଲ୍‌ ଆଠେ ମେତ୍ର ଶ୍ଵାଗେବୀ ଏଲ୍‌ ଏମ୍‌ବ୍ରିନ୍‌କଟା ଜ୍ଞାନ୍‌ଯୋଗୀ, ରମଲ୍‌ଲ୍‌ବେବୀ ଗାମୋଯେନ୍‌ବା ଲିପିବୀଳ କ୍ଷାଲାକ୍‌ଷିଦିଲ୍‌ ଗେରିବ୍‌ବୀ ହାନ୍‌କୁ, ରମ ଯ୍ୟାଲାଚ୍‌ବେ ଶୈରାଲ୍‌ଫିକି ଯାନ୍‌ଗୁର୍ବେବୀ (21%), ମତ୍ରନାର୍କେବୀ (17%), ଶ୍ରୀରମ ଏଲ୍‌ମେନ୍‌ଟ୍‌ର୍କେବୀ (15%) ଏବଂ ରେଲିଗ୍‌ଓର୍ବେବୀ ଅତ୍ରିବ୍‌ର୍କୁଗୀ ଏଲ୍‌ମେନ୍‌ଟ୍‌ର୍କେବୀ (10%). ନାକ୍‌ଲ୍‌କୁ ଏବଂ କିତ୍ତିକ୍‌ର୍କୁଗୀ (8%) ଏବଂ ବାରାନ୍‌ଦିଲ୍‌ (7%).



ଅଗେ ରାଜ୍ୟାବଳୀ-ଶାରଣ
Agne Railaite-Barde

ଗାମୋଯେନ୍‌ବୁଲି ବେଳେବୀ ମେବାତିବାରିତା ଲାଇ:

1. ଅଗ୍ନିଜ୍ଞ ତ୍ରାରାବିଲିନ୍ଦା: ଫର୍ମ୍‌ସିନିନ୍‌କୁବୀ;
2. ଅଲ୍‌ଶୈରିତାଶ ଗୁର୍ବେଶାଶ: ଲାବାନ୍‌ନରାଶା;
3. ଏର୍ବିନ୍‌ଦାଶ କାଶିଦାଲିନ୍‌ଦାଶ: ଅଲ୍‌ସିଦିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌ଦାଶ, ଫର୍ମ୍‌ସିନ୍‌ଦାଶ, କାଶିଦାଲିନ୍‌ଦାଶ, କାଶିଦାଲିନ୍‌କୁବୀ, କାଶିଦାଲିନ୍‌କୁବୀ, କାଶିଦାଲିନ୍‌କୁବୀ;
4. ଏଗିଲ୍‌ ଶ୍ରୀରମ: ଶ୍ରୀରମିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ;
5. ଶ୍ରୀରମାଶ ଗାଲ୍‌ଗୁଶ: ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ, ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ;
6. କାଶିତିକିନ୍‌ଦାଶ ଶ୍ରୀରମିନ୍‌କୁବୀ;
7. କାଶିତିକିନ୍‌ଦାଶ ମିତ୍ରକୁବୀର୍ବୁଶ: କାଶିତିକିନ୍‌ଦାଶ ମିତ୍ରକୁବୀର୍ବୁଶ;
8. ଲାମିଦା ରାମନିନ୍‌କୁବୀ: ନାଶିନ୍‌କୁବୀ ରୁତ୍‌କୁବୀ, ରାମିଦା ରୁତ୍‌କୁବୀ, ଶ୍ରୀରମିନ୍‌କୁବୀ, ଶ୍ରୀରମିନ୍‌କୁବୀ;
9. ଶୈରିନ୍‌କୁବୀ ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ;
10. ରାମିନ୍‌ଦାଶ ମିତ୍ରକୁବୀର୍ବୁଶ: ରାମିନ୍‌ଦାଶ ମିତ୍ରକୁବୀର୍ବୁଶ;
11. ରମାନ୍‌ଦାଶ ରମିନ୍‌କୁବୀର୍ବୁଶ: ରମାନ୍‌ଦାଶ ରମିନ୍‌କୁବୀର୍ବୁଶ;
12. ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀ ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀର୍ବୁଶ: ଶାର୍ଦିନ୍‌କୁବୀର୍ବୁଶ;
13. ଶ୍ରୀରମିନ୍‌କୁବୀ ଶ୍ରୀରମିନ୍‌କୁବୀର୍ବୁଶ:

ବିଭିନ୍ନ ରାଜ୍ୟାବଳୀରେ ଶାରଣ:

1. Arūnas Černiauskas, *Užusalių herbu pasirinktas karingasis bebras*, 2012. Access to the Internet: <http://www.delfi.lt/news/daily/lithuania/uzusaliu-herbu-pasirinktas-karingasis-bebras.d?id=54746091>;

2. Arūnas Marcinkevičius, *Heraldikos akivarai: kodėl turime juostuotą, o ne istorinę vėliavą?*, 2012. Access to the Internet: <http://www.delfi.lt/news/daily/lithuania/heraldikos-akivarai-kodel-turime-juostuota-o-ne-istorine-veliava.d?id=59950017#ixzz3GuG2qRhs>;

3. Daiva Červokienė, *I vieną herbą nori sudėti Vytauto kepure, knygnešių žymes, šventuosius ir paukščius*, 2013. Access to the Internet: <http://www.delfi.lt/news/daily/lithuania/i-viena-herba-nori-sudeti-vytauto-kepure-knygnesiu-zymes-sventuosius-ir-paukscius.d?id=60410489#ixzz3GuJp4sCF>;

4. Gabrielė Jasiūnienė, Kultūrinė atmintis Šiaulių regiono (Šiaulių apskrities) miestelių heraldikoje, *Acta humanitarica universitatis Saulensis*, nr. 19, Šiauliai, 2014. ISSN 1822-7309. Manuscript submitted to the press;

5. Jūratė Mičiulienė, *Heraldika: nuo būtinybės iki snobizmo*, 2008. Access to the Internet: <http://lzinios.lt/lzinios/Istorija/heraldika-nuo-butinybes-iki-snobizmo/116769>;

6. Marius Ščavinskas, *Apie kultūrines slinktis nuo Prūsijos iki Žemaitijos: mokslinė konferencija „Krikščioniškos raidos kontekstai: inkultūracinių ir akultūracinių proesų poveikiai vakarinės LDK dailies bei Prūsijos krikščioniškam gyvenimui“*. Review of the conference. Access to the Internet: file:///C:/Users/Agn%C4%97/Desktop/333-1154-1-PB.pdf ;

7. Material from the archive of Lithuanian Heraldry Commission;

8. Nerijus Drochneris, *Augalai herbouose: nuo ažuolo gilių iki apynių*, 2012. Access to the Internet: <http://grynas.delfi.lt/gyvenimas/augalai-herbuose-nuo-azuolo-giliu-iki-apyniu.d?id=57149089>;


9. *The Lithuanian Heraldry / compiled by Edmundas Rimša, – Vilnius, 2008*;

10. Venantas Butkus, *Miestų herbouose – žvejybos simboliai*, 2014. Access to the Internet: http://klaipeda.dienai.lt/naujienos/klaipeda/miesto-pulsas/miestu-herbuose-zvejybos-simboliai-654001#.VEN3mGd_uQl.



სამეფო სკიპტრის ორი ფრაგმენტის ისტორია

შალვა ამირანაშვილის სახელობს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურში გამოფენილია მინანქრის ორი ექსპონატი, რომლებიც მიჩნეულია „სამდვდელომთავრო კვერთის“ ფრაგმენტებად. ესენია სკიპტრის ტარის მრავალნახნაგოვანი თავი და მისი ნაწილი (სურ. 1,2). XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისის სხვა ქართულ სიძველეთა მსგავსად, მათი ბეჭიც ძალზე საინტერესოა.



1. სკიპტრის თავი



2. სკიპტრის ტარი

ამ ფრაგმენტებმა ადგილსამყოფელი არა-ერთხელ შეიცვალა: თავდაპირველად ინახებოდა სვეტიცხოვლის სიძველეთსაცავში (მცხეთა), საჭურვლის პალატაში (მოსკოვი), საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმსა (ტფილისი) და სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში (თბილისი). ბოლოს, მათ მუდმივად დაივანეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის (თბილისი) საგანძურში.

როგორც ითქვა, მინანქრის ორი ფრაგმენტი, უნინარესად, მცხეთის საკათედრო ტაძრის სიძველეთსაცავში ინახებოდა. ეს ტაძარი XV ს-დან იქცა ქართლის მეფეთა აღსაყდრების ადგილად. ამ ნივთთა პირველი აღნერა (№376/178. 1788 წ.)

შეტანილი საქართველოს საეკლესიო მუზეუმის რეესტრში. ისინი იქ მოხსენიებულია სამეფო სკიპტრად: „ქ ხელსაჭერი ჯოხი, ა: ეკალმუხისა. თავი მუხისა მინანქარი წინასწარმეტყველების სახეები სხედს, რვა დაბალი ზურმუხტი უსხედს და ჯოხის ბოლოს ვერცხლი ავლია. დაფასებულია კ“. (A. Натроев. Мцхет и его союз Свети-Цховели. Историко-археологическое описание. Тифлис, 1900, стр. 432). თუმცა, სვეტიცხოვლის სიძველეთსაცავის 1856 წლის აღნერილობათა მიხედვით ეს ნივთები უკვე მიჩნეულია მინანქრის გამოსახულებიანი მღვდელომთავრის კვერთის ზედა ნაწილად. მოსკოვის საჭურვლის პალატის ძველ აღნერილობებში ისინი შეტანილია როგორც „საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი მეფის ოქროს სკიპტრის ორი ფრაგმენტი“ (Описъ Московской Оружейной Палаты. Фонд. №1, описъ №3, ед. хр. №11. იქვეა მინანქრი საქართველოსათვის 6.2.1923 წელს სკიპტრის ფრაგმენტების გადაცემის შესახებ).

დღეს ეს ორი ფრაგმენტი მიჩნეულია სხვადასხვა დანიშნულებისა და მნიშვნელობის ნივთებად: ზოგიერთი დოკუმენტი მათ მღვდელომთავრის კვერთხად მიიჩნევს, სხვა – მეფის რეგალიების ნაწილად – სკიპტრად. ამიტომ უპრანი იქნებოდა, ამთავითვე დაგვეზუსტებინა, კერძოდ, რომელ ნივთზეა საუბარი.

სელისუფლების ამ ორ ინსიგნიას შორის არსებობს არსებითი სხვაობა, რომელიც აზრობრივი და ალეგორიული თვალსაზრისით საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. სკიპტრა მეფეთა რეგალიების უცილობელი ნაწილია (გვირვენთან, დროშასთან, სფეროსთან, მახვილთან, დიდ სახელმწიფო ბეჭედსა და ფართან ერთად).

მასში უძველესი დროიდანვე სახიერდებოდა ხელისუფლება და ამ სახით არსებობდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. სკიპტრა-



3. 1629 ცალს შაჟ-აბას I-ის მიერ აატრიარქ ფილარეტისათვის ნაჩუქარი კვერთები.

ილარი (რუსთავი დამზადებული გოლგოთის ჯვარი

შემდგენა დამატებული)

4. საბარიერი კვერთები

კვერთხი ხის ან ლითონისგან მზადდებოდა და ბოლოვდებოდა მდიდრულად შემკული თავით (სურ. 3. 1. კვერთხი, რომელიც შაპ-აბასმა 1629 წელს აჩუქა პატრიარქ ფილარეტს. 2. მეფე მიხაილ ფილიდოროვიჩის სკპეცია, როგორც საპრძოლო ძალმოსილების სიმბოლო). მას ატარებდნენ მეფენი და სხვა რჩეული თავიანთი განსაკუთრებული უფლებამოსილების ნიშნად. ეს იყო ღვთივცხებულთა სამართლიანი მმართველობის, ძალმოსილების სიმბოლო, მიწიერ მეფეთა სახელმწიფოებრივი სიძლიერის ნიშანი.

კვერთხი არსებითად ასევე შეურყეველი ავტორიტეტის სიმბოლოა (სურ. 4). კვერთხი, ანუ პატერისა გადაეცემა მღვდელმთავარს მისი აღსავდრების შემდეგ. ის მის მფლობელს ახასიათებს როგორც მწყემსს თავისი (ცხოვარისა, რომელსაც იგი ხსნის გზისკენ მიუძღვება. კვერთხი ბოლოვდება ურთიერთმიმართული გველის თავებით, რომელიც განასახიერებენ სამწყსოს ბრძნულად მართვას. კვერთხის ქიმზე უცილობლად ჯვარია, რომელიც შეგვახსენებს, რომ ქრისტეს სადიდებლად უნდა მწყემსოს მღვდელმთავარმა თავისი სამწყსო.

ძალზე მნიშვნელოვანია კვერთხის თავის შემკობა წინასწარმეტყველთა და მეფე-წინასწარმეტყველთა გამოსახულებებით. ქართული მინანქრის სკიპტრის თავზე ყველა გამოსახულება ქრისტეს გარშემოა განთავსებული: აარონი – პირველსახე ქრისტესი როგორც ღვთის მსახურისა, მოსე — ალზია ნათლობის ქრისტიანული საიდუმლოსი და ქრისტეს ჯვარცმის პირველსახე; დავითი – წინაპარი და პირველსახე იესო-მესისა და სოლომონი – იესო ქრისტეს ძველაღლქმისეული პირველსახე (Д. Апостолос-Каппадона. Словарь христианского искусства, изд-во „Урал“, 2000, стр.: 13, 59, 143, 208). სკიპტრის მინანქრის თავის ოთხივე წახნაგზე გამოსახული პორტრეტები შემკულია ლამაზი ხელრთვით შესრულებული წარწერებით – ციტატებით ბიბლიიდან. ამ გამოსახულებათა ძირითადი და ყველა წარწერაში ასახული გამაერთიანებელია მისი სიმბოლურ-ფუნქციური იდეა: იმედის მომცემი აარონის კვერთხი, მხსნელი – მოსე, დამრიგებელი – დავითი, დამსჯელი – სოლომონი. მხოლოდ ქრისტეს უპყრია ხელთ სფერო – ძალხელმწიფების სიმბოლო. გვირგვინი (დავითისა და სოლომონისა), სკიპტრა და სფერო სამეფო რეგალიების უცილობელი წანილია. ამიტომ გასაგებია, რომ საკვლევი სკიპტრა არა სასულიერო, არამედ საერთო პირს ეკუთვნის.

ორ ტერმინს შორის სხვაობის გათვალისწინებითა და ზემოთ ნახსენებ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მინანქრის ორი ფრაგმენტი უცილობლად სამეფო სკიპტრის წანილებია. აღრევა მათ ოფიციალურ განსაზღვრებებში, სავარაუდოდ, გამიზნულად დაუშვეს კონკრეტულ მიზეზთა გამო, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამეფო სკიპტრის ფრაგმენტები 1882 წლამდე ინახებოდა მცხეთის სვეტიცხოვლის სიძველეთსაცავში. და აი, აქედან იწყება ამ ნივთთა საინტერესო თავგადასავალი, რომელშიც აისახა რუსეთის სამეფო ტახტის ახალი მფლობელის, იმპერატორ ალექსანდრე III-ის (1845-1894), სახელისუფლებო ამბიციები.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება ძალზე საინტერესო დოკუმენტები, რომელებიც ეხება საქართველოს ეგზარქატის მიერ ამ მინანქრის ფრაგმენტების გაყიდვას. ეს კი რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების დაუინებითი მოთხოვნა იყო (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი №489. ალ. №1. საქმე №39355). დაიწყო რამდენიმეთვიანი მიმოწერა ორ კანტორას – სასულიეროსა (საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა) და საეროს (მოსკოვის სასახლის კანტორა) შორის. ის გრძელდებოდა 1882 წლის 15 მარტიდან 1883 წლის 18 თებერვლამდე და დასრულდა გაყიდვის აქტების შედგენით, ამ ფრაგმენტების გადაგზავნითა და საფასურის მიღებით.

ცხადია, საჭურვლის პალატის მიერ სამეფო სკიპტრის ფრაგმენტთა შესყიდვა-შეძენა მხოლოდ ოფიციალურ ხელისუფალთა ნებითა და ხელდასხმით მოხდებოდა, რადგან ქართული სამეფო რეგალიების შეძენით დაინტერესებულ პირთ ხელს არ აძლევდა საზოგადოების ყურადღების მიქცევა. ეს მიმოწერა გასაიდუმლოებული იყო. ამისათვის ყველაზე შესაფერისი და ხელსაყრელი აღმოჩნდა არქეოლოგთა ყრილობა, რომელიც იმსანად თბილისში (ვ თიფლის) გაიმართა (1881 წლის 8-დან 16 სექტემბრის ჩათვლით). ყრილობაზე სასწრაფოდ და „საგანგებო“ დავალებით მიავლინეს გიორგი დიმიტროვის ფილიმონოვი, რომელიც 1858 წლიდან მსახურობდა მოსკოვის კრემლის საჭურვლის პალატაში. იგი V ყრილობის მუშაობაში მონანილეობს როგორც „წარმართული და კლასიკური ძეგლების“ განყოფილების დიდი სხდომის საპატიო თავმჯდომარე. ფილიმონოვი აკეთებს უმნიშვნელო განაცხადს ყაზბეგში მიმდინარე გათხრების (1876 წელს აქ აღმოჩენილი ყველა ნივთი დიდი ხანია უკვე მოსკოვის საისტორიო მუზეუმშია), მცხეთისა და გელათის ძეგლთა შესახებ. ამ დროისათვის კი ყრილობის ყველა მონაწილემ მოიხილა მცხეთა, უფლისციხე, ქუთაისი, გელათი. სწორედ მაშინ დააფიქსირა ფილიმონოვმა სამეფო სკიპტრის ეს ფრაგმენტები.

1882 წლის მარტში საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში საქართველოს ეგზარქოს იოანიკეს (არქიეპისკოპოსი იოანიკე რუდნევი საქართველოს ეგზარქოსი იყო 1879-1882



წლებში) სახელზე იგზავნება მოსკოვის სასახლის კანტორის ვიცე-პრეზიდენტ სერგეი სუხოტინის მიერ ხელმოწერილი ბარათი, საიდანაც ირკვევა, რომ რუსეთში დაბრუნებისთანავე ფილიმონოვმა იმპერატორის სასახლის მინისტრს აცნობა (1882 წლის 16 თებერვალს) მცხეთის ეკლესიის სიძველეთსაცავში მის მერ ნაპოლი სამეფო სკიპტრის ფრაგმენტების შესახებ და ერთი ხელის დაკვრით იგი შეაფასა „არაუმეტეს ათას მანეთად“. იქვე დასძენს, რომ მეფემ ინგან მისი შეძენა მოსკოვის საჭურვლის პალატისათვის. მცხეთის ტაძრის მღვდელ რომან მრევლოვს დაევალა შეეგროვებინა ინფორმაცია სამეფო სკიპტრის შესახებ, რათა იგი განხეილა სინოდის კანტორას. იგი „უმორჩილესად“ ასრულებს ამ დავალებას და დაწვრილებით აღწერს ამ ორ ფრაგმენტს, მათ გამოსახულებებსა და თანმხელებ წარწერებს. ის ცდილობს ძალუმი წინააღმდეგობა გაუწიოს მცხეთის სიძველეთსაცავის ამ ფასეულობათა გაყიდვას იმით, რომ მათ თავის „პატარები“ მოიხსენიებს საეპისკოპოსო კვერთხის ნაწილებად. მათი გაყიდვის თაობაზე საბოლოო პასუხი მოცემულია მხოლოდ 1882 წლის 6 ივლისით დათარიღებულ დოკუმენტში. მისი მნიშვნელობის გამო საჭიროდ მივიჩნიეთ სრული ტექსტის მოხმობა:

«И.д. Президента Московской Дворцовой Конторы,июля 6 дня 1882 г., за №239.

Милостивый Государь, Князь Александр Михайлович!

Командированый от Дворцового ведомства на бывший в минувшем году археологический съезд в Тифлисе Действительный Статский Советник Филимонов по возвращении донес, что им найдены в ризнице Мцхетского Собора, где совершалось коронование Грузинских Царей, два фрагмента царских регалий; Государь Император, по всеподданнейшему о сем докладу г. Министра, Высочайше разрешил изволил приобрести те регалии для Московской Оружейной Палаты, по материальной стоимости в пользу Собора за 1000 руб.; о решении доставить вышеупомянутые регалии в Московскую Дворцовую контору было сообщено Высокопреосвященнейшему Иоаннику Экзарху Грузии 5 марта сего года за №53, но уведомление от Его Высокопреосвященства по этому делу до настоящего времени не получено.

Принимая в соображение, что Высокопреосвященнейший Иоанникий получил новое назначение, я, озабоченный приведением в исполнение Высочайшей воли, обращаюсь к Вашему Сиятельству с покорнейшей просьбой не оставить зависящим от Вашей стороны распоряжение, о доставлении из Мцхетского Собора в Москву в возможно непродолжительном времени означенных двух фрагментов древнегрузинских царских регалий, которые в пред-

стоящее коронование *Их Величества*, должны быть помещены в Московской Оружейной Палате вместе с другими хранящимися там Царскими регалиями; и о последующем почитать меня уведомлением Вашим, при этом считаю долгом присовокупить, что деньги за фрагменты уже получены из Кабинета Его Величества и будут высланы немедленно в то место, которое будет указано Вашим Сиятельством.

Примите, Ваше Сиятельство, уверения в совершенном моем уважении и преданности, с которыми имею честь быть Вашим покорнейшим слугою.

Граф Орлов-Давыдов».

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი №480. აღ. №1. საქმე №39355). (გრაფი ორლოვ-დავიდოვი იმ დროისთვის იყო მოსკოვის სასახლის კანტორის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, თავადი ალექსანდრ მიხაილოვიჩი დონდუკევარისაკოვი კი – გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი. 1882 წლის 1 იანვრიდან იგი იყო კავასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარსარდალი და კავკასიის სამხედრო ნაწილის ჯარების სარდალი).

ამდენად, მომავალი მეფის კორონაცია! აი, სწორედ ამით აიხსნება მოსკოვის სასახლის კანტორის დაბეჭითებითი მოთხოვნა, სიჩქარე და მნირი საფასური. უკვე 1882 წლის 19 აგვისტოს საქართველო-იმერეთის სინოდულური კანტორის ხაზინადარი ა. პ. არდაზიანი იტყობინება, რომ გადაგზავნილი სამეფო რეგალიების ნაწილებისათვის საფოსტო სამმართველოს გადაუხადეს 4 მანეთი და 57 კაპიკი. აი, ასე დასრულდა ეს ისტორია. დოკუმენტი აღნიშნულია, რომ ეს ფრაგმენტები გადასულა „на благоприятное распоряжение Святейшего Синода“.

ალექსანდრე II-ის დაღუპვის გამო გამოცხადებულმა საყველთაო გლოვამ ორი წლით გადადო ალექსანდრე III-ის კორონაცია. ეს დრო



5. გევა ალექსანდრე III-ის კორონაცია. მოსკოვის კრემლი. 1883 წლის 15 მაისი

სავსებით საკმარისი იყო, რათა ბრწყინვალედ მომზადებულიყვნენ მეფედ კურთხევისათვის (სურ. 5). სწორედ ამ დროს ემზადებიან, რათა მეფედ კურთხევის ამ ცერემონიალს მონარქის უმაღლესი ძალმოსილების, სიდიადის შთაბეჭდილება შეექმნა. მეფის კორონაციის დღისათვის მისი ბრძანებით შეიქმნა დიდი სახელმწიფო გერბი. ცენტრში განთავსებული ორთავიანი არწივის გარშემო თავს ინწონებდნენ იმპერიის მიერ შემოერთებული ქვეყნებისა და ოლქების ემბლემები. სხვათა შორის, გერბის არწივის ფრთებზე ქართულ მინათა გერბების დამაგვირგვინებელი სამეფო გვირგვინის გამოსახულებაც იყო. მისი მატერიალური პროტოტიპი საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის ინსიგნიებთან ერთად ჯერ კიდევ პავლე I-ის უზენაესი განკარგულებით შევიდა რუსულ რეგალიათა შემადგენლობაში. 1811 წლის 17 აპრილს ისინი გადაეცა საჭურვლის პალატას და ამიერიდან რუს თვითმშერობელთა ქართველთა მეფებად აღიარების სიმბოლოდაც მიიჩნეოდა. გიორგი XII-ის საინვესტიტურ ნიშნებს მიეძღვნა ი. ბიჭიკაშვილის სტატია „ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის რეგალიები“ (ურუ. „პერიოდი“, 2012, №1, გვ. 47-52), რომელშიც მან ჩემთან შეთანხმების გარეშე გამოიყენა ჩემ მიერ ჩამოტანილი, დამუშავებული და დაზერილი მასალა გვირგვინისა და სკიპტრის ილუსტრაციების ჩათვლით (თავის მხრივ, ჩემ მოვალეობად მიმართია, ულრმესი მადლიერებით მოვიხსენიო მოსკოვის კრემლის მუზეუმის თანამშრომლები ი.ს. პარმუზინა და ი.ა. ბოგატსკაია მუზეუმში ჩემი მუშაობის დროს განეული დახმარებისა და მოწოდებული საარქივო მასალისათვის). გასაგები ხდება მისი უდიდებულესობა იმპერატორის ეგზომ დიდი ყურადღება სამეფო სკიპტრის ფრაგმენტების მიმართ: ამით მას სურდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალზე ჩამოსული მსოფლიო სამეფო ელიტისათვის ეჩვენებინა, რომ მისი უზენაესი ძალა ვრცელდება უკიდეგან ტერიტორიაზე, სადაც მრავალენოვანი და მრავალი რჩმენის ხალხი სახლობს. საჯაროდ გამოფენილ სხვადასხვა სამეფო ინსიგნიათა შორის საქართველოს, ალბათ, წარმოაჩენდა მხოლოდ გიორგი XII-ის გვირგვინი (ამ უმნიშვნელოვანესი სადღესასწაულო მოვლენის გამფორმებლებს სხვა ინსიგნია არც ჰქონდათ ხელთ), რადგან ორთავიანი რუსული არწივით დაბოლოებულ სამეფო სკიპტრას პავლე I-ის ვენზელი ჰქონდა და ამიტომ, სავარაუდოდ, იმ დროისათვის მას ქართულად არ მიიჩნევდნენ (სურ. 6) და მიიჩნეოდა რუსეთის იმპერატორის ინსიგნიად. ამიტომაც მცხეთის ტაძარში „ნაპოვნმა“ ფრაგმენტებმა მაშინვე დიდი ინტერესი გამოიწვია.



6. მეფე გიორგი XII-ის სამეფო გვირგვინი. მასტარ-არქიტექტორ, ააადეპტის ფ. გ. სოჭიცვალის მიერ აკვარელი აკვარელი. XIX საუკუნის 30-იანი წლები; სკიპტრი, ტარი და იგავრატორ აკვარელი I-ის ვენეციული ფარი

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე ის ექსპონირებული იყო საჭურვლის პალატის საგვირგვინო დარბაზის №14 ვიტრინაში. შემდეგ იგი ხდება განსჯის ობიექტი და კვლავ ეცცევა; ამჯერად, ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა უურადლების ცენტრში.

1922 წლს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ინიციატივით, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაებრუნებინა საქართველოდან რუსეთში გატანილი და სხვა სამუზეუმო ექსპონატები. საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და 1922 წლის 20 ივნისს, სამთავრობო დადგენილების თანახმად, შეიქმნა სპეციალური კომისია, ერთი მხრივ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და განათლების სახალხო კომისარიატის და, მეორე მხრივ, საქართველოს ნარმომადგენლების შემადგენლობით, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგა პეტროგრადისა და მოსკოვის სამეცნიერო წრეები. მაგალითად, საჭურვლის პალატის გამვე დ. დ. ივანოვმა კომისიისათვის მოამზადა „ბარათი“, რომელშიც წერს: «Две части золотого с эмалью грузинского скрипетра. После кальяна вторая вещь действительно грузинской работы, но по всей вероятности, через персидских мастеров-эмальеров. Обе части поступили в 1882 г. из запасной ризницы Мцхетского собора. По всей вероятности, это поступление было щедро оплачено монастырю из казны русского народа, но точных сведений по этому поводу пока не имеется. Во всяком случае, притязания Грузии на этот предмет еще более или менее понятны, и он мог даже бы быть уступлен Грузии, но в виду его высокого художественного и технического интереса, эта уступка отозвалась бы значительным ущербом на задачах музея Оружейной Палаты — наглядно представить взаимодействие восточного и русского искусства, в данном случае персидскую эмаль, через посредство Грузии оказавшую сильнейшее влияние на русское эмалевое производство».

конца XVII столетия. Остается вопросом, как подобные важные памятники будут использованы в Грузии, и как оценивается тот эквивалент, которым они были в свое время оплачены по всей вероятности в виде разных щедрот из русской казны для грузинского монастыря» (Отдел рукописных, печатных и графических фондов музея «Московский Кремль», ф. 20, оп. 1922 г. д. 20, л. 6 об. – 7. Переписка и список на выдачу из Оружейной палаты всех грузинских регалий и древностей Грузинской республики (начало 1922 – окончено 1922, на 12 листах. рукопись.)); ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ამ განცოფილების გამგე ტ.ა. ტიტოვას დ.დ. ივანოვთან დაკავშირებულ მასალაზე წარმოებულ მუშაობაში ჩემთვის განეული დახმარებისათვის. უკვე 1923 წლის 21 იანვრისათვის აკადემიის სამუზეუმო საქმეთა განცოფილებამ მიიღო გადაწყვეტილება ქართული წარმომავლობის 10 ისტორიული ნივთის გადაცემის თაობაზე. ამასთან, ხაზი გაესვა ქართულ გვირგვინს (იგულისხმება გიორგი XII-ის მეფედ კურთხევის გვირგვინ), რომლის გადაცემა ნებადართული იყო მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლების მიერ მოწვეული იუველირის თანდასწრებითა და „მისი მართებული აღნერის შემდეგ“. გადაცემის აქტი შედგა 1923 წლის 6 თებერვალს. პრაქტიკულად სიით განსაზღვრული ყველა ნივთი, მინანქრის ორი ფრაგმენტის ჩათვლით, გადაიგზავნა საქართველოში და 10 აგვისტოს გადაეცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. სამეფო სკიპტრის ფრაგმენტების შემდგომი ბედი კარგადაა ცნობილი. საბოლოოდ, მან ბინა დაიდო ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ექსპოზიციაში. ამით, ფაქტობრივად, დასრულდა მისი „მოგზაურობა“.

თუმცა, ჯერჯერობით უცნობია რიგი საკითხები: ვის ეკუთვნოდა, ვინ იყო დამკვეთი, რა მოვლენის გამო დამზადდა ეს სკიპტრა? მათზე პასუხის გასაცემად, საჭიროა გავარკვიოთ სკიპტრაზე გამოსახულებათა სიმბოლიკა და დავადგინოთ თანმხლები წარწერების აზრი.

მნიშვნელოვანია სკიპტრაზე აარონის, მოსეს, დავითისა და სოლომონის გამოსახულებათა გარჩევა მათი განთავსების თვალსაზრისით. უპირატესობა ეძლევა ე.ნ.



7. მრისაცე

მცირე წინასწარმეტყველებს, რომელთაც აქვთ ერთმანეთთან ლოგიკური, ნათესაური და ისტორიული კავშირი.

ქრისტე – ებრაულად მესიას ნიშნავს, მეფეთა, მღვდელმთავართა და წინასწარმეტყველთა სახელია. იესו ქრისტე (სურ. 7) ქრისტიანობის ცენტრალური ფიგურაა, ღერძია, რომელსაც უკავშირდება ქრისტიანული ხელოვნება და იკონოგრაფია. სკიპტრაზე იესო ქრისტე გამოსახულია მაკურთხეველი მარჯვენით. მარცხენა ხელში კი სფერო უბრია. მის გარშემო განთავსებული წარწერა მათეს სახარებიდანაა: „შენ ხა კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან“ (მათე. 16:18).

აარონი – უფროსი ძმა (სურ. 8), თანმხლები



8. აარონი

და თანამოაზრე წინასწარმეტყველ და სჯულმდებელ მოსესი, ებრაელთა პირველი მღვდელმთავარი, რომელსაც ღვთისაგან ჰქონდა მინიჭებული განსაკუთრებული სამღვდელმთავრო უფლებები. მის გამოსახულებას შემოუყვება წარწერა: „აპყვავდა კვერთი ჰარობის და გამოილო ნაყოფი“ (რიცხვ. 17:8).

განმარტებით წარწერად შერჩეულია ბიბლიური თქმულება იმაზე, თუ როგორ არ შეისმინა ისრაელმა ღვთისა, რომელმაც იგი ურჩიბისათვის დასაჯა. მაშინ დაიხოცა უამრავი ადამიანი. მოსეს ბრძანებით აარონმა აიღო საცეცხლური, მოათავსა მასში საკმეველი და სამსხვერპლოს ცეცხლი, ჩადგა ცოცხალთა და მკვდართა შორის და ხოცვა შეწყდა (რიცხვ. 16:42-49). შემდგომ აარონს მღვდელმთავრობა შემდეგნაირად დაუმტკიცა: ებრაელთა 12-ვე ტომთაგან მოსემ კარავში ღამით ტომის მამამთავართა სახელებიანი 12 კვერთი დადო. დილით ღევიანთა ტომის აარონის სახელიანი კვერთი გაყვავდა და გამოიღო ნაყოფი (რიცხვ. 17:23). ეს აყვავებული კვერთი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა აღთქმის კიდობანში, როგორც წათელი დასტური იმისა, რომ აარონი ღვთივცხებულია და მას ღვთისაგან აქვს მინიჭებული წმინდა ღვთისმსახურების აღსრულების უფლება. მღვდელმთავრობის ეს უფლება გადადიოდა მის მემკვიდრეებზეც.

მოსე – უუდეველთა დიდი ბელადი,



9. მოსე

სჯულმდებელი და ოთიციალური რელიგიის ფუძემდებელი (სურ. 9). როგორც წესი, მოსეს გამოსახავდნენ ჭალარანვეროსანი მოხუცის სახით (იშვიათად, უწვერულს), რომელსაც ხელში ეკავა კვერთხი და სჯულის ფიქალები. ხანდახან მოსეს თავზე, მისი მანათობელი სიბრძნის ნიშნად, ორ რქას გამოსახავდნენ (მოსეს თავზე რქების გამოსახვა V ს-ში ბიბლიის ლათინურ ენაზე გადათარგმნისას დაშვებული შეცდომის შედეგია. ნაცვლად სიტყვებისა – „ნათლის სხივები“ ან „შარავანდმოსილი“, რომელიც იხმარებოდა სჯულის ფიქალებით ხელში სინას მთიდან დაშვებული მოსეს აღნერისას (გამოსვ. 34:29). წმინდა იერონიმეს უწერია „ნათლის რქებიანი“ (cornutam, ლათ. (რქებიანი)). მოსეს ატრიბუტები იყო კვერთხი, სჯულის ფიქალები. განსაკუთრებული როლი მის საქმიანობაში კვერთხს ენიჭებოდა.

მოსე სკიპტრაზე მოკლეწერიანია, ხელში სჯულის ფიქალებითა და რქებით თავზე. მის ირგვლივ ბიბლიური წარწერაა: „და შენ აღილე კვერთხი ეგე შენი და განართხე ზღვასა მაგასა ზედა და განაპოსა ეგე“ (გამოსვ. 14:16). ამ შემთხვევაში აღებულია მოსეს კვერთხთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი – კერძოდ, როცა მას ეპრაელები ეგვიპტელთა ტყვეობიდან გამოჰყავს. ამისთვის საჭირო იყო მენამული ზღვის გავლა (გამოსვ. 14:1-31). ეგვიპტელებმა და მათმა ფარაონმა მალე შეინანეს ეპრაელთა გაშვება ტყვეობიდან და მდევარი დაადევნეს. ლმერთმა უბრძანა მოსეს, აეღო კვერთხი, გაეკაფა ზღვაში გზა, რომლითაც ეპრაელები მდევარს დაუსხლტებოდნენ. ღვთის ნებით, ზღვა განიპო, გამოჩნდა ფსკერი და ეპრაელებმა განვლეს ზღვის ფსკერი. ეგვიპტელთაგან კი ამბის მიმტანიც ვერ გადაურჩა საშინელ სიკვდილს.

დავითი – იუდეველთა მეორე მეფე. სამუელთან წარდგენილი იესეს შეიძი (სურ. 10) უფროსი ვაჟი არ იყო ღვთის რჩეული. ასეთი მხოლოდ უმცროსი – დავითი იყო, რომელიც სამუელმა აკურთხა მეფედ. ის მაშინ მხოლოდ 19 წლის იყო. დავითი ქრისტიანულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც „ქრისტეს წინაპარი და მისი პირველსახე“. მან გა-ართიანა ერთიან სახელმწიფოდ ისრაელი

და დაიპყრო იერუსალიმი, გამოაცხადა ის თავის დედაქალაქად, რომელიც შემდგომ იქცა დიადი მეფის ქალაქად. ამიტომაც ენოდა მას დავითის ქალაქი. ის შესანიშნავი პოეტი და მუსიკოსი იყო. დავითის წარმატების საიდუმლო



10. დავითი

თავადვე მის პიროვნებაში ძევს: ის იყო თავისი სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრების ერთგვარი ცენტრი, ერის მესაძირკვლე, რომელიც მანამდე ტომთა და გვართა ერთგვარ კონგლომერატს წარმოადგენდა. მისი ატრიბუტებია სიმებიანი ინსტრუმენტი, როგორც წესი, არფა და სამეფო გვირგვინი. სკიპტრაზე „მეფისალმუნე“ არყითაა გამო-სახული, მის გარშემო კი ფსალმუნის ფრაზაა: „კვერთხმან შენმან და არგანმან შენმან ამან ნუგემინ მცეს მე“ (ფს. 22:4).

სოლომონი – ერთიანი ისრაელის მესამე მეფე, ცნობილი თავისი სიბრძნით, ტაძრის, სასახლეებისა და ქალაქთმშენებლობით, თავისი ცოდვითა და შენანებით (სურ. 11). სოლომონი თავად იყო გაცხადებული სიბრძნე.

მის სიცოცხლეში მიიჩნეოდა, რომ: „ის, ვინც სიზმარში სოლომონს იხილავდა, თავად შეიძლებოდა ბრძნად ქცეულიყო“. ქრისტიანულ ხელოვნებაში სოლომონი გამოისახებოდა წვეროსანი და გვირგვინოსანი მამაკაცის



11.. სოლომონი

სახით სამეფო სამიაში. სკიპტრის თავზე ის გამოსახულია სამეფო სამოსში და კვერთხით ხელში. მის ირგვლივ წარწერა: „რომელსა უყვარან შვილი – ასწავლის კვერთხითა“ (იგავ. 13:25). არცოთ შემთხვევით შეირჩა იგავის ეს ფრაზა. შერჩეულია ძალზე კონკრეტული, შეიძლება ითქვას, მარტივი და, იმავდროულად, რთული მომენტი ადამიანთა თანაცხოვრებისა –



12. მავა თეიშარაზ ॥

მამა-შვილის ურთიერთობისა. ერთი მხრივ, აქ სიტყვათა თამაშია – კვერთხი (განკვერთხვა, განწრობება), მეორე მხრივ – თითქოს წარწერა ფიქრთვას ჯისათვის განგაწყობს, რომელიც სკიპტრის მფლობელის ცხოვრების გარკვეულსა და მნიშვნელოვან ეტაპს უკავშირდება.

ამდენად, სკიპტრაზე გამოსახულია იქსო ქრისტე, წინასწარმეტყველი და მეფე – წინასწარმეტყველი, რომელთა გამაერთიანებელი საზრისი და მნიშვნელობა ძალუძს ამ ფრაზამ დაიტიოს: სამყაროს მხსნელი, მღვდელმთავარი, ბრძენი, ერის გამაერთიანებელი და გამრიგე, სახელმწიფოს შემქმნელი და სჯულმდებელი, ხელოვნების მფარველი, მუსიკისი, მწერალი და პოეტი. ეს თვისებები შეიძლება მივუსადაგოთ საქართველოს ისტორიაში განსაზღვრულ სახელმწიფო მოღვაწეს და ამ გზით დაგადგინოთ, თუ ვისოფის არის იგი შეკვეთილ-დამზადებული. ასეთი პიროვნება, უდავოდ, მხოლოდ თეიმურაზ II (სურ. 12) იქნებოდა და აი, რატომ:

სკიპტრის თავის ცენტრში ქრისტეს გამოსახვა მიანიშნებს მის „ღვთის რჩეულობაზე“. საქართველოში იმ ისტორიულ-დროით სივრცეში კი ასეთად შეიძლება მხოლოდ თეიმურაზ მეფე მიეჩინათ. გამაპმადიანებულ ბაგრატიონ მეფეთა თითქმის ასწლიანი შმართველობის შემდეგ იგი იყო პირველი, ვინც კათოლიკოს ანტონ I-ის ხელდასხმით ქრისტიანული წესით ეკურთხა მეფედ (თეიმურაზ II-ის აღსაყდრება კახეთის სამეფო ტახტზე განხორციელდა ალბათ ალავერდის ტაძარში, ქართლის მეფედ კი მისი კურთხევა სვეტიცხოველში მოხდა 1745 წლის 1 სექტემბერს). აყვავებული კვერ-

თხი მღვდელმთავარ აარონისა და ღვთის მიერ მის მემკვიდრეებზე სამარადფამოდ მღვდელმთავრობის უფლების გადაცემაც ძალზე ადვილად აისხნება: ქართლის ტახტს რამდენიმე პრეტენდენტი ეცილებოდა ერთმანეთს: „ღმერთმა დასაჯა საული ურჩობისა და ღვთის ნების აღსარულებლობისათვის და მის ნაცვლად ისრაელის მეფედ დაადგინა იესეს ერთ-ერთი შვილი და უბრძანა სამუელს ბეთლემში წასვლა ისრაელის ტახტზე ღვთივ მირონცხებულის აღსაყდრებისათვის“ (Архимандрит Никифор. Иллюстрированная Полная Популярная библейская энциклопедия. – М., 1891, стр. 179). ამ ბიბლიურ სიუჟეტსა და XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს მდგომარეობას შორის სავსებით შესაძლებელია პარალელის გავლება: ვახტანგ VI (ქართლის შტო) ტახტის დაკარგვის შემდეგ ტოვებს ქართლს და იძულებულია რუსეთში გადასახლდეს; მეფე ხდება თეიმურაზ II, რითაც საქართველოს ტახტს ახალი შტო (აყვავებული კვერთხი) – კახელი ბაგრატიონები ეუფლებიან. „სამუელთან წარდგენილი იესეს შვილი უფროსი შვილი არ იყო ღვთივმირონცხებული, ასეთი მხოლოდ უმცროსი – დავითი იყო, რომელიც ტახტზე იქნა დაპრძანებული. ის მაშინ მხოლოდ 19 წლის იყო“ (Архимандрит Никифор. Иллюстрированная Полная Популярная библейская энциклопедия. – М., 1891, стр. 179). ბიბლიური დავითის მსგავსად, თეიმურაზ II ერეკლე I-ის უმცროსი შვილია და ისიც 19 წლის ასაკში გამეფდა კახეთში; ბიბლიური წინასწარმეტყველთა – დავითისა და მოსეს მსგავსად, თეიმურაზ II-ს ეკუთვნის ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურული წარმოებები (მოსეს მსგავსად, თეიმურაზმა დანერა ძირითადად მიჩნეული შემდეგი წარმოებები: „ლამისა და დღის გაბაასება“, „თავგადასავალი“, „სასახლის ქება; „გაბაასება რუსთაველთან“ და სპარსულიდან თარგმნა პოემა „თიმსარიანი“). უახლოეს მემკვიდრეებს ხშირად ერქვათ თეიმურაზი. მის სახელსაც, მსგავსად დავითისა, არასდროს ივიწყებდა შთამომავლობა. თავის შვილთან – მომავალ მეფე ერეკლე II-სთან ერთად ის ეომებოდა თურქებს და აქტიურად მონაწილეობდა აღმოსავლეთ საქართველოდან მათ გაძევებაში.

ამდენად, მსგავსად სოლომონისა, თეიმურაზი ბრძნულად განაგებდა ქვეყანას. ფრაზაც სოლომონის იგავთა წიგნიდან შემთხვევით არ შერჩეულა: „რომელსა უძვარან შვილი – ასწავლის კვერთხითა“ (იგავ. 13:25). შეიძლება ეს ფრაზა აისხნას შემდეგი ისტორიული ფაქტით: თეიმურაზსა და ერეკლეს შორის იყო ერთგვარი უთანხმოება უკანასკნელის „პატივმოყვარეობის გამო“ (П.Г.Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. – СПб., 1869, стр.241). 1747 წელს ირანში წასვლამდე თეიმურაზმა ქართლის მმართველად თავის ვაჟიშვილ ერეკლე II-სთან ერთად დატოვა მეფე იესეს (თეიმურაზ II-ის უფროსი დის მეუღლე) უკანონო შვილი –



13. ათოლიკოსი ანტონ I

ბატონიშვილი აბდულ ბეგი (არჩილი, თეიმურაზ II-ის უმცროსი დის მეუღლე). ამ დროს მეფე, უნინარესად, ერთი მხრივ, პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, მეორე მხრივ კი, აღბათ, შვილის პატივმოყვარეობის მოთოვა სურდა. შედეგად ამ სიტუაციამ უმაღვე დაძაბა ურთიერთობა ამ ორ უკანასკნელს (ირაკლისა და აბდულ ბეგს) შორის.

თანმხელები ნარჩერებითურთ სკიპტრის გამოსახულებების შესწავლისას განციფრებას იწვევს თავად ქატიტორი: სკიპტრა შეკვეთით დამზადდა, მისი კომპოზიცია კი, უდავოდ, განათლებული, წმინდა წერილისა და ისტორიის მცოდნის მიერ იყო შედგენილი. ამასთან, დამკვეთმა კარგად უწყოდა მეფის საზოგადო თუ პირადი ცხოვრება. თეიმურაზ II-ის გარემოცვისა და დროის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შემკვეთი კათოლიკოს ანტონ I იყო (სურ. 13). (იესეს შვილი, ბატონიშვილი თეიმურაზი, საქართველოს კათოლიკოსი 1744-1755 და 1767-1788 წლებში, მწერალი, პოეტი). მას შეეძლო თეიმურაზისათვის მიერთმია სკიპტრა მის გამეფებასა (1745 წ.) ან ქორწინებასთან (1746 წ.) დაკავშირებით, როცა თეიმურაზმა მესამედ იქორწინა ანა-ხანუმ ბარათაშვილზე. მაგრამ უფრო მართებული იქნება, თუ მას ანტონ I-ის საჩუქრად მივიჩნევთ სპარსეთის უღლისაგან აღმოსახულეთ საქართველოს გათავისუფლების ნიშნად (ნადირ შაპი გარდაიცვალა 1747 წელს). ამიტომ არცთუ შემთხვევითია სკიპტრაზე მოსეს გამოსახულების გარშემო ციტატა გამოსვლათა

წიგნიდან, რომელიც ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელების დახსნას აღნიშნავს. ნებისმიერ შემთხვევაში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია გასათვალისწინებელი, რომელსაც ლრმა ისტორიული ქვეტექსტის გარდა პირადი ხასიათის მოტივაციაც აქვს: ანტონისათვის ნადირ შაპის გარდაცვალება სასურველი იმითაც იყო, რომ 1735 წელს თავისი ქორწილის დღეს, მან ანტონს საცოლე წაჰავარა (მისი საცოლე იყო ქართლის თავადის – გივი ამილახვრის ქალიშვილი). გივი ამილახვარმა მოაწყო ამბოხება შაპ-ნადირის (წინააღმდეგ) და თავის ჰარამხანაში წაიყვანა. ანტონი მწუხარებას ვერ გაუმკლავდა და ბერად აღიკვეცა. მას, როგორც მეფე იესეს ძეს, ჰქონდა უფლებები ქართლის ტახტზე, მაგრამ ბერად აღკვეცის შემდეგ უარი თქვა მეფობაზე თავისი ბიძის – დედის ძმის სასარგებლოდ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა შორის გამოცდილებითაც უმეტესი და ასაკითაც უფროსი იყო. სხორცედ ანტონს შეეძლო შეკვეთა სკიპტრა მინანქრის ირანელი ოსტატებისათვის 1747 წელს, ანუ მალევე ნადირ შაპის გარდაცვალების შემდეგ. ეს კი არცთუ ძნელი იყო, რადგან მისი ბიძაშვილი ქეთევანი, თეიმურაზ II-ის შვილი, იყო ირანის მმართველ ადილ-შაპის (ალი-ფული-ხანი. 1747-1748) მეუღლე. ადილ-შაპი კი ნადირ-შაპის ძმისნული იყო, რომელმაც ჩაიბარა ირანის ტახტი მისი გარდაცვალების შემდეგ.

ქართველი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, თანამხილველი თეიმურაზის აღსაყდრებისა, ამ მოვლენას ასე აღწერს: “მიბძანდნენ მეფენი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისანი მცხეთას. ანტონი კათალიკოზი, კეთილ-სათნოებითა აღჭურვილი, ტრფიალებითა საზენაოთა ზედმინებითა აღზენებული და ყოფლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებული, მადლთა მიერ გაბრწყინვებული, არ დააცადებდა უამითი უამად სიბრძნე მრავლობით წესთა და მართლიად გამოიკვლევდა წერილთაგან კურთხევასა მეფისასა. ასაკით იყო მცირე, მაგრამ სოლომონისა სიბრძნესა არარად კლებულ ექმნებოდა მეფეთა შვილი იყო და სულიერსა მეფობასაც ღირს იქმნა. ეგრე მრჩიბდლ მეფობისა საკადრად განაგებდა ყოველთა ყოფელთა საზღვართა კეთილისათა, ორი დღე დაიყოვნა და განაწესნა ყოველნი სამღვდელონი ანუ საერონი და წესი დღისა მისისა მზა ჰყონა ყოველნი. დღესა მესამესა გამობძანდა ბატონი გარეთ საყდარს წინ ანტიოქიასა, ზემორე სეფე იდგეს დიდი და სეფესა გვერდით სევანი დაედგნეს, დაბძანდა სევანსა შინა და ეგრეთ იახლეს დარბაზისელნი, ვინა ჯდა, მისა ღირსი იყვნეს, ვინა დგომისა, ეგრევ ყოველნი განაწესნეს. მოიტანეს სამეფო შემოსელი, პორფირი, ბისონი და დიაფიმა ბოხჩებით, ეგრევე გვირგვინი, ქმალი, სკიპტრა

და ქვეყნისა სფეროი. ესე ყოველი ამიერ და იმიერ მოუწყვეს. თვითმხილველი, ასე აღნერს ამ მნიშვნელოვან მოვლენას: „მობრძანდნენ ... და იყო ... სიხარული ქართსა და კახეთში (პ. ორბელიანი. ამბავი ქართლისანი. გვ. 102-103). უნდა ვიყარაუდოთ, რომ, ჩამოთვლილი სამეფო რეგალიების მიხედვით, თეიმურაზის მეფედ კურთხევა ერთდროულად ორი სახით მოხდა: ძველქართულად და ახლებურად, ევროპულად. ქართველ მეფეთა რეგალიები შეიძლება სვეტიცხოვლის ან ნარიყალის სამეფო სიძველეთსაცავში ყოფილიყო დაცული. უფრო სავარაუდოა, რომ თეიმურაზის საკორონაციო ნივთები თბილისში იყო დაცული, რადგან მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ცნობილია, რომ 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანმა ააოხრა და გაძარცვა თბილისი. სასახლიდან მან ქართველ მეფეთა საგვარეულო განძეულობა გაიტანა ირანში. ეს გარემოება, მართალია არაპირდაპირი, მაგრამ მაინც კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ ჩვენი საკვლევი მინანქრის ფრაგმენტები არ იყო საკორონაციო, რადგან ის განცალკევებით ინახებოდა სვეტიცხოველში უმაღლესი ხელისუფლების აღმნიშვნელი სხვა ინსიგნიების გარეშე.

ნებისმიერ ნივთს, განსაკუთრებით საიუველირო ხელოვნების ჩვენამდე მოღწეულ პრაქტიკულად ყველა ნიშაუში, რთული ბედი აქვს. ამგვარის საქართველოს სამეფო სკიპტრის მინანქრის არი ფრაგმენტის ხვედრიც. მისი მოგზაურობა „დროსა და სივრცეში“ შედეგია ადამიანური მრავალსახვანი ამბიციისა, რომელშიც გ. ფილიმონოვმაც შეიტანა კორექტივი. ის ერთგვარი ილუსტრირებაა საქართველოს ისტორიის ერთი კონკრეტული მომენტისა.

ამგვარად, აქ მოხმობილი საარქივო დოკუმენტების, ისტორიული ფაქტების, წამოყენებული ვერსიებისა და ჩატარებული საატრიბუციო ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ: ჯერ ერთი, პერსონიფირებული ანალოგების მიხედვით, რომლებიც ბიბლიურ პირველსახეთა ნარატიულ-დამრიგებლობით აზრს უკავშირდება, ეს სკიპტრა თეიმურაზ II-ს (1695-1762) ეკუთვნოდა; მეორე, ის შეიძლება ანტონ I-ს შეეკვეთა და ეჩუქებინა თეიმურაზისათვის ნადირ-მაჰმის (1747) გარდა-ცვალებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ქართლ-კახეთის სამეფოები საბოლოოდ გათავისუფლდნენ ირანის ულლისაგან, მესამე - ამ ფრაგმენტთა მინანქრის ხარისხი, დახვენილობა და კოლორისტული გამის ერთიანობა, განსაკუთრებული ფერადოვანი პალიტრა, მომინანქრებისას გამოყენებული მრავალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხერხების გაერთიანების სირთულე, სპარსული სტილის თანახმად, კომპოზიციაში წარწერის ჩართვა, გამოსახულებათა ტიპი და მათი შესრულების მაღალი ოსტატობა გვაძლევს უფლებას

ვთქვათ, რომ ეს სკიპტრა XVIII ს-ის შუა სანებში დამზადდა ირანში ქართველი ოსტატის თანამონანილებით. ის არ იყო განკუთვნილი მეფედ კურთხევისათვის. ცნობილ მიზეზთა გამო, რამაც დაძაბა ურთიერთობა თეიმურაზისა და ანტონს შორის (ამ უკანასკნელის კათოლიკიზმისაკენ მიღრეკილება, რაც სკიპტრის კომპოზიციაშიც აისახა), სკიპტრამ ვერ მოაღწია ჩვენამდე სრული სახით სწორედ იმიტომ, რომ იგი არ იყო სამეფო ინსიგნია და გაადვილდა მისი დამლა ნაწილებად.

აღმოსავლეთისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო მბრძანებელთა და დიდებულთათვის სიმბოლური დატვირთვის მქონე სხვადასხვა პირად ნივთთა შექმნა. ისინი, ძირითადად, ავგაროზისა და ერთგვარი თილისმის ფუნქციას ასრულებდნენ. საკვლევი სკიპტრის ფრაგმენტებიც ამ ტრადიციით შეიქმნა, მაგრამ, მაგიურ-თავდაცვითი ფუნქციისაგან განსხვავებით, მათ ძალზე სიმბოლური დანიშნულება აქვთ. არსებითად ეს ფრაგმენტები უნიკალურია აზრობრივი და შესრულების თვალსაზრისით. ეს ნივთი ძეგლია. იგი შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიულ არტეფაქტადაც, პანეგირიკის შესანიშნავ ნიმუშადაც, რომელიც შეიქმნა დამკვეთის განსწავლულობის წყალობითა და მაღალპროფესიონალი ოსტატის მეშვეობით.

ნატალია ბერუხაშვილი Natalia Beruchashvili

რუსულიდან თარგმნა
ნინო ნადარაიამ

სახელმწიფო ჰერალდიკის უმცესესი ნიმუშები

მკითხველის ყურადღებას დღეგანდელ დღემდე მოღწეულ ჰერალდიკის უძველეს ნიმუშებზე გავამახვილებთ. თავიდან ეს გერბები სამეფო თუ სამთავრო სახლის საგვარეულო სიმბოლო იყო და მხოლოდ დროთა განმავლობაში დაიწყო მათი გაიგივება სახელმწიფო სიმბოლიკასთან.

ჰერალდიკის ჩამოყალიბებიდან (XII საუკუნის შუა წლებიდან XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე) სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს ტრადიცია უკვე ისე გამყარდა, რომ მაგალითად, ავსტრიის მთავართა – ბაბენბერგების დინასტიის შეწყვეტის შემდეგ, 1178 წელს, დიდი ჰერცოგების ტახტზე ასულმა ჰაბსბურგებმა საკუთარი საგვარეულო გერბი, რომელზეც ლომი იყო გამოსახული, ბაბენბერგების საგვარეულო მენამულ ფარზე გამოსახული ვერცხლის (თეთრ) ზოლიანი გერბით შეცვალეს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჰერალდიკა შუა საუკუნეების ევროპულ წიაღში აღმოცენებულ ფერმენტს ნარმოადგენს. XIX საუკუნემდე მხოლოდ ევროპასა და ევროპელი კოლონისტებით დასახლებულ “ახალი მსოფლიოს” ქვეყნებში არსებობდა და ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მისი უძველესი ნიმუშები ევროპაში მოიძებნება. ასევე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ევროპაში და მით უმეტეს მსოფლიოს სხვა რეგიონებში XI-XII საუკუნეებამდე არსებული ნებისმიერი სიმბოლიკის ჰერალდიკურად შერაცხვა არასწორია. ასეთი სიმბოლიკას აღსანიშნავად არსებობს მოსახერხებელი ტერმინი “პროტოჰერალდიკა”.

ჰერალდიკოსები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ჰერალდიკის შესახებ საუბარი მხოლოდ იმ ჰერიოდიდანაა გამართლებული, როდესაც ამათუ იმ სიმბოლომ აშკარად გამოხატული საგვარეულო, მერყვიდრეობითი ხასიათი მიიღო და რაც ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს სიმბოლო აუცილებლად რეალურად გამოისახებოდა მფლობელის ფარზე.

ამ ორი კომპონენტის სისტემური თანხვედრა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე დასტურდება.

მიიჩნევა, რომ დღემდე მოღწეულ ჰერალდიკის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს ინგლისისა და დანიის ლეოპარდები (ლეოპარდი ჰერალდიკის ენით, ოთხ ფეხზე მოარულ ლომს ეწოდება და არა ზოლობიურ ლეოპარდს) ნარმოადგენს.

საგვარაუდოა, რომ ეს ლეოპარდები სკანდინავიურ წიაღში ნარმოიქმნა. ისინი გამოისახება ნორმანიდის, დანიის, ინგლისის, ესტონეთის გერბებზე. ყველა ეს მხარე ან უშეალოდ იყო სკანდინავებით დასახლებული, ან მათ ექვემდებარებოდა.

ჰერალდიკის მკვლევართა უმრავლესობა მი-

იჩნევს, რომ საგვარეულო გერბის რამდენიმე თაობის მიერ გამოყენების უძველეს ნიმუშს ანუს (პლანტაგენეტების) დინასტიის ნარმომადგენლებთან ვევდებით.

ინგლისის მეფისა და ანუსა და მენის კონ-



1. ანუს კონტის ზოგადი საფლავი
მომინანდებული ფილ. 1150-იანი წლები

ტის ჰენრი II-ის მამის, უოფრუას, საფლავის მომინანდებულ ფინზე (+1151, მეინის კათედრალის მუზეუმი, საფრანგეთი) და მისი უკანონიდ შობილი შვილიშვილის, უილიამ ლონგსპის საფლავის ქანდაკებაზე (+1226, სოლსბერის კათედრალი, ინგლისი) გამოსახულ ფარზე ექვსი იდენტური ლომია.

ბერი უან დე მარმუტიე თხზულებაში ანუს ისტორიის შესახებ (1170-1180) გვაუწყებს, რომ უოფრუასა და ინგლისის მეფე ჰენრი I-ის ასულის, მატილდას ქორწინებასთან დაკავშირებით, ჰენრიმ მომავალი სიძე რაინდად აკურთხა და ექვსი ოქროსლომიანი ფარი ჩამოჰერალდა კისერზე. აღსანიშნავაა, რომ თავად ჰენრი I უილიამ დამცყრობლის შვილიშვილი და ნორმანიდული დინასტიის ნარმომადგენელი იყო. ნორმანიდის გერბს კი მენამულ ველზე გამოსახული ორი ლეოპარდი ნარმოადგენს. ამ ფაქტის შესახებ ყურადღება ჩვენ უურნალ “ჰერალდის” 2012 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში (“ლომი და არნივი”) გავამახვილეთ.

მენამულ ველზე გამოსახული სამი ლეოპარდი (ინგლისური ტრადიციის მიხედვით, ევროპის კონტინენტზე ლეოპარდებად ნოდებულ ლომებს “მოარულ მოგუშაგე ლომებად” მოხსენიებენ) ინგლისის გერბზე პირველად უოფრუა პლანტაგენეტის შვილიშვილის, ინგლისის მეფე რიჩარდ I-ის დროს (მეფობდა 1157-1199

წლებში) გამოდა და თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენს დრომდე. რიჩარდის დიდ ბეჭედზე, რომელიც მისი გამეფების, ანუ 1189 წლით თარიღდება, მეფეს ჯერ კიდევ ყალყზე მდგომი ორი ლომით მორთული ფარი უპყრია.

სამი ლეოპარდი კი პირველად მის 1198



2. ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომაზულის დიდი გაფილი. 1189 წელი



3. რიჩარდ I ლომაზული. 1180-იანი წლების მინიატურა



4. უილიამ ლონგსეას სოლის სამოსახლის ერლის საკლავი. გარდაცვალა 1226 წელს

წლით დათარილებულ დიდ სახელმწიფო ბეჭედზე ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ ინგლისის გერბი დიდი ბრიტანეთის საგერბო ფარის ნაწილია და ფარის პირველ და მეოთხე მეოთხედებში გამოისახება, ეს გერბი რიჩარდ I-ის მეფობის შემდეგ არ შეცვლილა. დიდი ბრიტანეთის საგერბო ფარის მეორე მეოთხედი შოტლანდიის ლომს, ხოლო მესამე კი ირლანდიის (ამ შემთხვევაში მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შემვალი ჩრდილოეთ ირლანდია იგულისხმება) ჩანგს უკავია. გაერთიანებული სამეფოს გერბი ამჟამინდელი სახით, დედოფალი ვიქტორიას გამეფების პერიოდიდან, 1837 წლიდან უცვლად გამოისახება.

მენამული გულებით მოფენილ ოქროს ველზე სამი ლაუგარდოვანი ლეოპარდის გამოსახვა დანიაში მეფე ენუტ VI ვალდემარსონის ეპოქაში, 1190-იან წლებში დასტურდება. ამ გერბმა დღემდე მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები

განიცადა, გულების რაოდენობა ცხრამდე შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო საუკუ-



5. დანის მეფე ენუტ VI ვალდემარსონის გაფილი. 1190-იანი წლები

6. დანის თანამედროვე (მეიკე) გერბი

ნების განმავლობაში დანის გერბი დინასტიური თუ სხვა სახის ტერიტორიული შენაძენების ხარჯზე სულ უფრო რთულდებოდა, სამი ლეოპარდი ყოველთვის ინარჩუნებდა საპატიო ადგილს ოთხ ნაწილად გაყოფილ ფარზე და პირველ და მეოთხე მეოთხედებში გამოისახებოდა. ასეთია დანის დღევანდელი დიდი გერბიც, ხოლო დანის სამეფოს მცირე გერბზე კი კვლავ მხოლოდ სამი ლეოპარდი გამოისახება. აღსანიშნავია ისიც, რომ დანის დიდი გერბის ფარს ოთხად არა უბრალოდ ხაზები, არამედ ჯვარი ყოფს. ეს ჯვარი კი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დროშად აღიარებულ დანის დროშას “დანებროგს” გამოსახავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სტატია ვექსილოლოგიას არ მოიცავს, მაგრამ გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ დანებროგი გერბის შემადგენლობაშიც შედის, გვინდა გამონაკლისის სახით მკითხველის ყურადღება ამ დროშის წარმოშობაზეც გავამახვილოთ. ლეგენდის თანახმად, დანიელი ჯვაროსნები წარმართ ესტონელებს ებრძოდებნ თანამედროვე ტალინის მიდამოებში და ბრძოლის ბედი მათ სანინაალმდეგოდ იხრებოდა. დანიელმა მღვდელმა, რომელიც ბრძოლას შორისახლოს მდებარე ბორცვიდან უცქერდა, ხელები ცისკენ აღაპყრო და მხურვალე ლოცვას შეუდგა. დანიელებმა უფრო წარმატებულად დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ საკმარისი იყო დაღლილ მღვდელს ხელები ძირს დაეშვა, რომ ესტონელები მაშინვე მძლავრობდნენ. მღვდელს ორი მეორარი ამოუდგა გვერდში და ხელების მაღლა აპყრობაში დაეხმარა. ამ დროს ციდან სასწაულებრივად ჩამოეშვა თეთრჯვერიანი მენამული დროშა. დანის მეფე ვალდემარ II-მ დროშა აიღო და ჯარს წარუდგინა. ამ სასწაულით გამზნევებულმა დანიელებმა საბოლოო გამარჯვებას მიაღწიეს.

ისტორიკოსების ნაწილის აზრით, ეს დროშა რომის პაპმა გაუგზავნა ჩრდილოელი წარმართების მოსაქცევად გამგზავრებულ მეფეს. ზოგიც ფიქრობს, რომ ეს პისტიტალიერების ჯვაროსანი ორდენის სახეცვლილი დროშაა.

ამ ორის გარდა დანებროგის წარმოშობის კი-
დევ რამდენიმე ვერსია არსებობს. ასეა თუ ისე,
პირველად უტყუარი სახით დანებროვი 1340-
1380-იან წლებს შორის დანიაში შექმნილ ე.ნ.
„გელრეს საგერბე” კრებულშია გამოსახული.
დანებროგით ოთხად გაყოფილ დანიის საგერ-
ბე ფარს კი უკვე 1398 წელს „კალმარის უნიის”
(დანიის, ნორვეგიისა და შვედეთის ერთ სამე-
ფოდ გაერთიანება) პირველი მეფის, ერიკ პომე-
რანიელის სახელმწიფო ბეჭედზე ვხვდებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ესტონეთის გერბის
სამი ლეოპარდი სწორედ დანიის ბატონობის პე-
რიოდმა განაპირობა.

1219 წელს დანიის მეფე ვალდემარ II-მ ეს-
ტონეთი დაიპყრო და ლეოპარდები ტალინის
გერბზე გამოსახა.

შუა საუკუნეებში პირველის ნახევარკუნძუ-



7. ესტონეთის თანამედროვე (მცირე) გერბი

ლის ჩრდილოეთში მდებარე კასტილიის, ლეო-
ნის, ნავარის, არაგონისა და პორტუგალიის სა-
მეფოები ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილის
მომცველი მუსლიმური სახელმწიფოების წი-
ნააღმდეგ განმათავისუფლებელ ომს – “რეკონ-
კისტას” ეწეოდნენ.

1147 წელს კასტილია და ლეონი მეფე ალ-
ფონსო VII-მ გააერთიანა. ესპანელი ჰერალდი-
კის მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ლომი ლეონის
გერბზე პირველად ცოტა უფრო ადრე – 1126
წელს გაჩნდა.

ალფონსო VII-ის გარდაცვალების შემდეგ ეს
სახელმწიფო დაიშალა და კვლავ მხოლოდ 1230
წელს გაერთიანდა. კასტილიის გერბზე გოდო-
ლის გამოსახვა კი მის შეიძლიშვილ ალფონსო
VIII-ს (1230 წელი) მიეწერება.



8. კასტილის გევა ალფონს VIII-ის პირები. 1198 წელი



9. ლეონის გევა ალფონს IX (1188-1230)



10. პარეალონის კონტის რაიმონდ IV-ის პირები.
1150-იანი ცლეპი



11. ალფონს V არაგონი, სიცილისა და
ნაპოლის გევა. 1440-იანი ცლეპის მინიატურა



12. ესავეთის თანამედროვე გერბი

ასევე მიიჩნევენ, რომ სწორედ მაშინ გაიყო საგერბე ფარი ოთხ ნაწილად, მასზე კასტილის გოდოლებისა და ლეონის ლომის ორ-ორჯერ გამოსახვის მიზნით. მსოფლიოს ჰერალდიკის ისტორიის მცოდნეთა დიდი ნაწილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სწორედ ზემოხსენებული საგერბო ფარი წარმოადგენს ოთხად გაკვეთილ-გადაკვეთილი (ოთხ ნაწილად გაყოფილი) ფარის პირველ ნიმუშს მსოფლიოში. კასტილის გოდოლები მისი სახელწოდების, ანუ გოდოლების, კოშკების ქვეყნის ჰერალდიკური გამოსახვაა. ლეონის ლომიც ამ სამეფოს სახელწოდებასთანაა დაკავშირებული. არაგონის საგერბე ფარი პირველად ბარსელონის კონტის რაიმონდ IV ბერენგარის მმართველობის ეპოქაში 1150-იან წლებში გამოისახებოდა მის საბეჭდავზე და ამ-რიგად, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს გერბს წარმოადგენს. ამ გერბის წარმოშობასთან და-კავშირებით საინტერესო ლეგენდა არსებობს. IX საუკუნის მიწურულს ნორმანებმა ფრანკთა იმპერიის დასავლეთ პროვინციებში თარეში დაიწყეს. ურგელისა და ბარსელონის კონტიმა ვილფრედ ხშირთმიანმა მოთარეშეებთან ბრძოლისას არნაბული გმირობა გამოიჩინა და მრავალი ჭრილობაც მიიღო. ბრძოლის ველზე მყოფ-მა იმპერატორმა კარლოს მელოტმა კონტის გმირობის უკვდავსაყოფად, თითები დაისველა კონტის ჭრილობებიდან მომდინარე სისხლში და გმირის ოქროსფერ ფარს ჩამოუსვა ხელი. მოგვიანებით კი გერბის მიხედვით მისი იდენტური, მაგრამ ისე შეტრიალებული გამოსახულება, რომ მენამული ზოლები ჰორიზონტალურადაა განლაგებული, დროშის ხმარებაც დაიწყეს.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციის მიხედ-ვით გერმანიის (წმინდა რომის იმპერიის) არ-ნივი კარლოს დიდის ეპოქიდან – IX საუკუნი-დან იხმარებოდა, მისი პირველი ჰერალდიკური გამოსახულება, რომელიც იმპერიას თუ იმპე-რატორს აღნიშნავს, ჰოლანდიის ქალაქ მას-ტრიბუში 1170-1190 წლებს შორის მოჭრილ მონეტაზე გვხვდება. ამ მონეტაზე გამოსახული არნივი ერთთავიანია. მოგვიანებით, XIV საუკუ-ნეში წმინდა რომის იმპერიის ჰაბსბურგმა იმ-პერატორებმა ერთთავიანი არნივი ორთავიანით შეცვალეს.



14. ფეინდა რომის (გერმანიის) იმპერატორის, ფრიდრიხ I ბარბაროსას პრატეატი. XII საუკუნის შემდეგი ცავის ნახევრა



15. გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ VI ნიაკოლის 1191 ლეის ალბის დროს.



13. მაასტრის 1172-1192 ლეის შორის მოჭრილი მონეტა



16. გერმანიის თანამედროვე გერბი

1870 წელს პრუსიის ჰეგემონიის ქვეშ შექ-მნილმა ახალმა გერმანიის იმპერიამ კვლავ ერთთავიანი არნივი დააპრუნა სახელმწიფო გერბზე. რომის წმინდა იმპერიის პირდაპირი მემკვიდრე ავსტრია-უნგრეთი კი 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამდე გა-ნაგრძობდა ორთავიანი არნივის გამოსახუ-ლების ხმარებას. ახლად შექმნილმა ავსტრიის რესპუბლიკამ კი ერთთავიანი არნივი აირჩია გერბად და მას ბრჭყალებში ნამგალი და უროც კი დააკავებინა. ავსტრიის არნივს მკერდზე ავ-სტრიის საგერბო ფარი ადგევს. ამ გერბზე სამი განივი ძელი ანუ ზორტია გამოსახული. პირვე-ლი და მესამე ძელები მენამულია, ხოლო მეორე კი თეთრი. ჰერალდიკური აღწერის დროს ამ-ბობენ, რომ წითელ ველზე ერთი განივი ვერ-ცხლის ძელია გამოსახული. აღსანიშნავია, რომ

ავსტრიის დროშაც გერბის იდენტურია. მაგრამ არაგონის შემთხვევისგან განსხვავებით, სადაც ჯერ გერბი შეიქმნა და დროშა კი გერბის მიხედვით, ავსტრიის შემთხვევაში ითვლება, რომ პირველი დროშა იყო. ეს გერბი ავსტრიის ბაზენბერგთა დინასტიის მთავრების ეპოქიდან – XII საუკუნიდან მოყოლებული იხმარება. საინტერესოა ამ გერბის შექმნის ისტორიაც. ლეგენდის თანახმად, ავსტრიის მთავარი ლეოპოლდ V მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, 1191 წელს სალადინის მიერ ოთხი წლით ადრე დაპყრობილი ქალაქის, აკრის ალყაში მონანილეობდა. მთავარი ჯვაროსანთა ლაშქარში წმინდა რომის იმპერიის ძალებს სარდლობდა. ლეოპოლდი ისე შეუპოვრად იბრძოდა, რომ გამარჯვების შემდეგ აბჯარზე გადაცმული თეთრი ნაჭრის ტუნიკა მთლიანად მტრის სისხლში ჰქონდა ამოსვერილი. ტუნიკას სისხლი არ შეეხმბოლოდ ნელზე, სადაც მთავარს ქამარი ჰქონდა შემოჭრილი.

მოგვანებით, ლეოპოლდის სუზერენმა იმპერატორმა ჰაინრიხ VI-მ მთავარს ამ კომპოზიციის ავტორის ახალ დროშად გამოცხადების უფლება მიანიჭა.



17. ავსტრიის მთავარ ფლიტი 11-ის პეტერი.
1230-1246 ცლები



18. ავსტრიის თანამედროვე გერბი

ამ დროშას კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი უკავშირდება. აკრის დაცვის შემდეგ, გამარჯვებულმა ჯვაროსნებმა იერუსალიმის სამეფოსა და ლაშქრობის ლიდერების – საფრანგეთის მეფე ფილიპ II ოგიუსტის, ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომბგულისა და ახსტრიის მთავარ ლეოპოლდ V-ის დროშები ქალაქის გალავნზე აღმართეს. დროშების აღმართვის ინიციატირი

იერუსალიმის გამგებელი და ლეოპოლდის ახლო ნათესავი კონრად დე მონფერატი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ლეოპოლდი საღვთო რომის იმპერიის ლაშქრის მხედართმთავარი იყო, რიჩარდ ლომგულმა ავსტრიის დროშა ჩამახსნევინა, რაც იმით გაამართლა, რომ ლეოპოლდი მხოლოდ მთავარი იყო და მეფეებთან გატოლება არ ეკადრებოდა. ამ ინციდენტის შემდეგ ლეოპოლდმა მალე დატოვა წმინდა მიწა და სამშობლოში დაბრუნდა. დროშების აღმართვის ინიციატორი კონრად მონფერატელი კი იერუსალიმის მეფედ აირჩიეს, რამაც რიჩარდ ლომგული გაანაწენება, იგი მხარს გი დე ლუზინიანს უჭერდა. გი იერუსალიმის კანონიერი დედოფლის – სიბილას მეუღლე გახლდათ და მეფის ტიტულს მხოლოდ ამის გამო ატარებდა. სიბილას და მათი ქალიშვილის გარდაცვალების გამო კი ახალი მეფის არჩევის საკითხი აქტუალური გახდა. თუმცა მეფედ არჩევიდან სულ რამდენიმე დღეში კონრადს ასასინები დაქსხნენ თავს და განგმირეს. მოარული ხმები ასასინების დაქირავებას რიჩარდს აბრალებდნენ. ბედის განგებამაც არ დააყოვნა და მთავარ ლეოპოლდს სულ მალე შურისძიების შესაძლებლობა მიეცა. ერთი წლის შემდეგ მეფე რიჩარდი ავსტრიაზე გავლით სამშობლოში ბრუნდებოდა. ვენის შემოგარენში ინგლისის მეფე იცნეს და დაატყვევევს. ლეოპოლდმა რიჩარდი იმპერატორ ჰაინრიხ VI-ს გადასცა, რომელმაც პაპის მიერ გამოხატული პროტესტისა და ეკლესიისგან განკვეთის მუქარის მიუხედავად, ინგლისის მეფეს კონრად მონფერატელის მკვლელობაში დასდო ბრალი. რიჩარდი ორწლიანი ტყვეობის შემდეგ დედის, ელინორ აქვიტანელის შეგროვილი უზარმაზარი გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლეს. გამოსასყიდის წილი მთავარ ლეოპოლდსაც ერგო და მან ამ თანხის დახმარებით ვენის ახალი გალავანი ააგო და ავსტრიის ზარაფხანას ჩაუყარა საფუძველი. მენამულზე გამოსახული ვერცხლის ძელი კი მას შემდეგ უცვლელად ამშვენებს ავსტრიის გერბსაც და დროშასაც. მოგვიანებით ავსტრიის ახალ მმართველ დინასტიის – ჰაბსბურგებს თავში არც კი მოსვლიათ ბაბენბერგების ამ სიმბოლიკის შეცვლა. ასევე ძველია პოლონეთის გერბის თეთრი არწივიც. მას პოლონეთის მთავრებისა და შემდეგ კი მეფეების დინასტიის პიასტების პატივსაცემად “პიასტების არნივსაც” უწოდებენ. მიიჩნევენ, რომ არნივი გერბზე პოლონეთის უკანასკნელი მთავრისა და პირველი მეფის, ბოლესლავ I-ის დროს გაჩნდა (ბოლესლავი მხოლოდ მეფის პირადი ტიტულით სარგებლობდა და პოლონეთი ჯერ კიდევ სამთავროდ ითვლებოდა). თუმცა ეს ვერსია ეჭვს იწვევს, რადგანაც ბოლესლავის დაახლოებით 1000 წლით დათარიღებულ მონეტაზე

არაპერალდიკურად გამოსახული ფრინველის იდენტიფიცირება რთულია. ზოგი თვლის რომ ეს არწივია, ზოგიც კი ფრინველს ფარმეგანგად ან მამლად მიიჩნევს. არწივის გამოსახულების გაჩენა პოლონელების ლეგენდარულ მამამთავარ ლეპს უკავშირდება, რომელიც ძმებთან – ჩეხთან (ჩეხების მამამთავარი) და რუსთან (რუსების, ბელორუსებისა და უკრაინელების მამამთავარი) მოოქრულფრთიან თეთრ არწივს წააწყდა. ლეპმა ეს კარგ ნიშნად ჩათვალა, არწივის ბუდის მიდამოებში დასახლდა, არწივი საკუთარ ემბლემად გამოაცხადა და ქალაქი გნიეზნო (ბუდე პოლონურად) დაარსა.



19. პოლონეთის მეფე არჯევისლ II-ის ჰერალდი. 1295-1296 წლები



20. ვლადისლავ I იაგელონის მეფობის აერიოზის პოლონეთის გერბი. 1430 წელი



21. პოლონეთის თანამედროვე გერბი

გნიეზნო პიასტების დინასტიის მმართველობის დროს ქვექნის დედაქალაქი იყო. რეალურად არწივი (თუმცა არაპერალდიკური) პოლონეთის გერბზე მხოლოდ დიდი მთავრის, კაზიმირ სამართლიანის 1177 წლით დათარიღებულ საბეჭ-

დავზე გამოისახა. ჰერალდიკურად გამართული თეთრი არწივი ჯერ მთავარ კონრად მაზოვიელის ეპოქაში (1241-1243 წლებში) დაიტანეს მის საბეჭდავზე, ხოლო შემდეგ კი უკანასკნელი დიდი მთავრისა და პირველი მეფის, პრუემისლ II-ის მმართველობის დროს (1295-1296 წლებში) არწივი უკვე გვირგვინით გამოსახეს (პრუემისლმა მეფის ტიტულის მემკვიდრეობით გადაცემისა და პოლონეთის სამთავროს სამეფოს სტატუსში აყვანის უფლება მოიპოვა). აღსანიშნავია, რომ მამამისის, პრუემისლ I-ის საბეჭდავზე მთავარი ყალყზე მდგომი ლომისფიგურიანი ფარითაა გამოსახული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა უძველესი გერბის ნიმუში ეგრეთნოდებულ ნორმანულ (ზემოდან ქვემოთ შევიწროებული ოვალი) ან უთოსებრ (მაყურებლისკენ მოტრიალებული უთოს ძირს წააგავს) ფარებზეა გამოსახული. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ჰერალდიკის ჩამოყალიბების პერიოდში სწორედ ამ ფორმის რეალურად არსებულ ფარებს იყენებდნენ ბრძოლის დროს. ჰერალდიკური ნახატი, კი რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპაში ამ პერიოდში გავრცელებული მხატვრული სტილით არის შესრულებული და ჯერ რომანულიდან გოთური (გოტიკური) სტილისკენ გარდამავალი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს, ხოლო შემდეგ კი კლასიკურ გოტიკას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ გოტიკური სტილით შესრულებული ნახატი ითვლება დღესაც ჰერალდიკის მნიშვნელოვან ატრიბუტად და ევროპის მრავალი ჰერალდიკოსი მხატვარი დღესაც ამ სტილის მიბაძვით ქმნის გერბებს.

ზაქარია კიპნაძე
Zachary Kiknadze

მხატვარი-ჰერალდიკოსი

სოციალიზაციის სიმბოლოების წარმომადგრადი

მსოფლიო ისტორიულმა მოვლენებმა თავისი დაღი ჰერალდიკურ კანონებსაც დაასვა. ტრადიციული გერბების გვერდით, ე.წ. რესპუბლიკური გერბებიც ჩნდება. სოციალური და რესპუბლიკური იდეების პირველ გამოვლინებებს ჩეხეთის ჰუსიტური მოძრაობიდან ეყრდნა საფუძველი, მან თავისი განვითარება გერმანიის გლეხთა ოში პოვა. 1493 წელს ელჩასში გლეხთა აჯანყება დაიწყო, რომელიც მდიდარი მევახშეების წინააღმდეგ იყო მიმართული. აჯანყებული გლეხები, რომელთაც წვრილი თავადაზნაურობა თანაუგრძნობდა, საიუბილეო წელინადის შემოღებას მოითხოვდნენ, როდესაც გაუქმდებოდა ყველა ვალი და ზოგიერთი გადასახადი ხანდაზმულობის გამო. აჯანყებულთა წითელ დროშაზე გრძელთასმებიანი გლეხური წალა იყო გამოსახული, რის გამოც მას „წალის“ შეთქმულებასაც უწოდებდნენ. მართალია აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ მან თავისი გაგრძელება XVI საუკუნის გერმანელ გლეხთა ომები პოვა, სადაც ახალი მოთხოვნები დაემატა – საეკლესიო ქონების ხალხისათვის განაწილება, ბატონიუმობის გაუქმება და ყოველგვარი ხელისუფლების შეზღუდვა, გარდა იმპერატორისა. 1502 წელს განახლებული „წალის“ კავშირი ასევე წითელი დროშით გამოვიდა, რომელზეც შემდეგი წარწერა იყითხებოდა – „სხვა არაფერი, გარდა ლვის სამართლისა“. მათი აჯანყება „უკანასკნელ რანდად“ წოდებულმა იმპერატორმა მაქსიმილიანემ ჩაახშო. ზემო რაინზე იმავე წელს განახლებული „წალის“ კავშირი სხვადასხვა ემბლემის გარდა ასევე წითელი დროშით გამოვიდა, რომელზეც გამოსახული იყო წალა და ქონდა შემდეგი წარწერა: „უფალო, დაიცავი შენი ლვთაებრივი სამართალი!“. აჯანყება 1513 წელს ჩაახშეს.



ელჩასალ გლეხთა 1493 წლის აჯანყება

1524 წელს შვაბიაში გადასახადების მომატების გამო გლეხთა ახალი აჯანყება დაიწყო, რომლებიც შავ-წითელ-ყვითელი დროშებით გამოვიდნენ, ეს დროშები იმ დროს და შემდეგ-


შიც გერმანელი ხალხის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა. აჯანყებულებს დაუკავშირდა გაძევებული ულრის უურტემბერგელი, რომელსაც ძალაუფლების დაბრუნება სურდა. მან საკუთარი რაზმიც კი შექმნა, რომელსაც წითელი დროშის გამო, „წითელ ლაშქარს“ უწოდებდნენ.

XVI საუკუნის ე.წ. გერმანული რევოლუცია მართალია მარცხით დამთავრდა, მაგრამ მან ფასდაუდებელი დახმარება გაუწია შემდეგ-დროინდელ ევროპულ როვოლუციებს ჰერალდიკური თვალსაზრისით. ამის შემდეგ ევროპაში ბურგუაზია რევოლუციურ კლასად გვევლინება.

1519 წელს წითელლანდი, რომელიც ბურგუნდიელი ჰერცოგების მამულებს წარმოადგენდა, კარლოს V ჰაბსბურგის სამფლობელოებში მოექცა. ამის შემდეგ მას მართავდა ესპანელი მეფის ნაცვალი, ე.წ. შტადტალტერი. გადასახადების ზრდამ და 1540 წლის დეკრეტმა, რომლის ძალითაც წითელ ვაჭრებს სავაჭრო ხომალდებზე საკუთარი პორტების დროშები უწინდა აღემართათ და ესპანეთის მეფის მიერ ბოძებული დროშის ქვეშ ეცურათ.

დროშაზე გამოიყენებოდა ესპანეთის დროშის ფერები და ბურგუნდიული ჯვარი, რომელსაც ჰოლანდიელი ხალხი ესპანეთის მეფის კომბლებს ეძახდა. ესპანელ მეფეთა ოფიციალურ კათოლიციზმს ჰოლანდიელებმა საკუთარი პროტესტანტიზმი დაუპირისპირეს, რის გამოც ინკვიზიცია წითელლანდში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.


1566 წლის აჯანყება წითელლანდების შტადტალტერმა ჰერცოგმა ალბამ ჩააქრო, მაგრამ ხალხში დარჩა ამ აჯანყების ლეგენდა ტილ ულენშპიგელზე.



ესპანეთის მფლობელობაში შემოიტანილი ნიდერლანდების დროშა (XVI ს.)

1571 წელს ჰერცოგმა ალბამ ახალი გადასახადი „ალკამალი“ დააწესა, რამაც საბოლოოდ გააჩანაგა წითელლანდია. ესპანეთის წინააღმდეგ აჯანყება 1572 წელს მეზღვაურებმა ქალაქ ბროლში დაიწყეს საკუთარი საზღვაო დროშებით, მალე მათ ხალხიც შეუერთდა, რომელთაც სათავეში პრინცი ვილჰელმ იმპერატორი ჩაუდგა. აჯანყების ყოველ გამარჯვებას შეძახილით – ORANJE BOVEN – აღნიშნავდნენ

და ხომალდებზე ნარინჯისფერ-თეთრ-ლურჯ დროშებს აღმართავდნენ (ხატმებრძოლი პროტესტანტები, კათოლიკე ესპანელებისაგან განსხვავებით, ცდილობდნენ დროშაზე წმინდანები არ გამოესახათ). ვილჰელმ იორანელმა მიაღწია იმას, რომ იგი ნიდერლანდების ჩრდილოეთის შეიდი პროვინციის შტადჰალტერად დაინიშნა, 1579 წელს უტრეჰტის უნით შექმნა შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა. 1581 წელს ფილიპე II ჩამოაგდეს ესპანეთის ტახტიდან და პოლანდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახალ სახელმწიფოს, ბურჟუაზიული რესპუბლიკური მმართველობით, მისი ერთ-ერთი პროვინციის მიხედვით პოლანდია ეწოდა. ნარინჯისფერ-თეთრ-ლურჯი გახდა ახალი რესპუბლიკის დროშა, თუმცა მეზღვაურები ხომალდის კიჩოზე მეორე – გენერალური შტადჰების დროშასაც აღმართავდნენ – ნარინჯისფერ ქსოვილზე წითელი ლომით, რომელსაც ხმალი და შეიდი ისარი უჭირავს. რევოლუციის შემდეგ იორანელები ესპანელ მეფეთა ნაცვალი და პოლანდიის შტადჰალტერები გახდნენ. 1651 წელს დროშაზე ნარინჯისფერი ოფიციალურად წითელი და შეიცვალა, შესაბამისად შეიცვალა გენერალური შტაბის დროშაც – წითელზე ოქროს ლომით.



ა. ნიდერლანდების საზღვაო დროშა (XVI ს.)
ბ. ხომალდის ერთოს დროშა. ნიდერლანდები (XVI ს.)
გ. პოლანდიის საგვარეულო დროშა და აღმოცხვის დროშა

1795 წელს ნაპოლეონმა გააუქმა შტადჰალტერის ძალაუფლება და პოლანდიის რესპუბლიკა გამოცხადდა, რომლის დროშა იგივე დარჩა. 1806 წელს რესპუბლიკა პოლანდიის სამეფოდ გამოცხადდა, რომელიც ნაპოლეონის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ სამეფო დამოუკიდებელი გახდა და ორანელთა დინასტიის რესტავრაცია

მოხდა. დროშა გადარჩა, სადაც XIX–XX საუკუნეებში ბევრი მცდელობის მოუხედავად, წითელი არ შეიცვალა ნარინჯისფრად.



პოლანდიის სამორისული დროშები

საინტერესოა, რომ ირლანდიის დროშაზე ნარინჯისფერი სწორედ პოლანდიურთან არის დაკავშირებული, დროშის მწვანე ფერი კათოლიკებს განასახიერებს, ხოლო ნარინჯისფერი პროტესტანტებს, რომელიც მაშინ ნარმომება, როცა 1688 წელს ირლანდიის აჯანყება ინგლისის მეფემ და ნიდერლანდების შტადჰალტერმა ვილჰელმ III ორანელმა ჩაახშეს. პროტესტანტებს ბევრი მომხრე ჰყავდათ, რომლებიც ორანელების ლომუაში გაერთიანდნენ კათოლიკების წინააღმდეგ.

ბრიტანეთის იმპერია საკუთარ ამერიკულ კოლონიებთან ურთიერთობებს ინგლისური ოსტიზდოეთის კომპანიის საშუალებით აწარმოებდა. კოლონიის დროშა (1701 წ.) ნარმოადგენდა წითელ-თეთრ ზოლებიან ქსოვილს, რომლის კრიუცი იყო ინგლისის წმინდა გიორგის ჯვარი. ეს დროშა ოსტიზდოეთის სავაჭრო კომპანიის დროშას ჰყავდა, რომლის ხმალდებზეც ხშირად წმინდა გიორგის ჯვრის ნაცვლად, ცნობილი იუნიონ-ჯეკიც ფრიალებდა. ამასთან ერთად, წითელ-თეთრი ზოლების რაოდენობა არ იყო დადგენილი. 1765 წელს გადასახადების გაზრდით უკმაყოფილო ამერიკელებმა ბოსტონში სახალხოდ ხმალდიდან რამდენიმე ასეული ყუთი გადაყარეს ზღვაში, რომელიც ინგლისური ჩაით იყო დატვირთული. ეს იყო პირველი სიგნალი და „თავისუფლების ხეზე“ აღმართეს აჯანყების დროშა.

ამერიკელებს სწამდათ, რომ მათი უბედურების მიზეზი ჩინოვნიკები იყვნენ და არა ინგლისის მეფე, ამიტომ აჯანყებულები თეთრ-წითელ ზოლებიანი დროშებით გამოვიდნენ, რომლის კრიუცი ბრიტანული იუნიონ-ჯეკი იყო.

1775 წელს კი ზოლების რაოდენობა დადგინდა, რომელიც კოლონიური შტატების რაოდენობის მიხედვით ცამეტი უნდა ყოფილიყო. დროშა მოიხსენიებოდა The grand Union Flag an Continental Flag-ის სახელწოდებით. ამავე დროშით გამოვიდნენ აჯანყებულთა ხომალდებიც, თუმცა ჯორჯ ვაშინგტონის მიერ შექმნილი ფლოტილის ფლაგმანი ხომალდი თეთრი დროშით გამოვიდა, რომელზეც მწვანე „სიცოცხლის ხე“ (ნაძვი) იყო გამოსახული ნარჩერით: An appeal to Heaved; ასეთივე ამერიკული ქვეითი ჯარის ნაწილებსაც ჰქონდათ გამოსახული. უფრო რადიკალურად განწყობილი დროშებით გამოვიდა ბურუუზაზია, სადაც დახვეული გველი იყო გამოსახული შემდეგი ნარჩერით – Don't tread on me.




აპშ-ის რევოლუციური დროშები და სამხედრო უნიფორმა (საფოსტო პარამეტი)




აპშ-ის პოლიტიკური და რევოლუციური დროშები. საფოსტო პარამეტი (1885 წ.)

1776 წლის 4 ივნისს კონგრესმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაცხადა, თუმცა უკვე დამოუკიდებელი შტატების ერთიანი სიმბოლოს აუცილებლობაზე საუბარი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაიწყო. 1777 წლის 4 ივნისს ხომალდ „როჯერის“ ფლავშტონებზე აღიმართა წითელ-თეთრ ცამეტზოლიანი დროშა, რომლის

კრიუ იყო ლურჯზე თორმეტი ვარსკვლავი, განლაგებული სამ მწკრივად. მალე ვარსკვლავების განლაგების ეს ფორმა შეიცვალა – მას დაემატა კიდევ ერთი ვარსკვლავი და განლაგდა წრეზე.



გოსტონელებისა და ბრიტანელი ჯურისაცხის შეტაკება. 1770 წ.



გადმოცემის თანახმად, დამოუკიდებელი ამერიკის პირველი დროშა შეტაკებული ფლოტილის მარკა ელისაბედ როსიი.

ელისაბედის შეთავაზებით, დროშაზე ეპვამიანი ვარსკვლავები შეიცვალა ხუთმიმიანით.

(მხატვარი ედვარდ არნო მორანი. 1908 წ.)

დროთა განმავლობაში შტატების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ვარსკვლავებისა და ზოლების რაოდენობაც. მხოლოდ 1818 წლის აპრილში კონგრესმა გადაწყვიტა წითელ-თეთრი ზოლების რაოდენობა არ შეცვალათ და ცამეტით განესაზღვრა, ხოლო ვარსკვლავების რაოდენობა სახელმწიფოში შემავალი შტატების რაოდენობას უნდა დამთხვეოდა.

1789 წლის 14 ივნისს პარიზელებმა ქალაქის წითელ-ლურჯი დროშის ქვეშ აიღეს ბასტილია და საფრანგეთის რევოლუციამ დაიწყო ახალი ერა არა მარტო კაცობრიობის ისტორიაში, არა-მედ ჰერალდიკაშიც. ფრანგული რევოლუციის სიმბოლოდ „სიცოცხლის ხე“ იქცა, რომელიც ნებისმიერი ჯიშის ხე ან თუნდაც მიწაში ჩარჭობილი ხის ბოძი იყო. აჯანყებულებს სწამდათ, რომ იგი ნაყოფიერებისა და ნარმატების მომტანი იყო. „სიცოცხლის ხე“ თავისუფლებისა

და ფეოდალური სისტემის დაცემის სიმბოლოდ გადაიქცა და ამიტომაც საფრანგეთის ყველა ქალაქში საკუთარ „თავისუფლების ხეს“ რგავდნენ, რომელსაც ფრიგიული წითელი ჩაჩით, სამფეროვანი ლენტითა და ადამიანის უფლებების დეკლარაციის ტექსტით რთავდნენ. ამ ხის ქვეშ ცეკვავდნენ ფრანგები „კარმენიოლას“ და



აარიზელები „სიცოცხლის ხის“ ირგვლივ ცეკვავენ. 1792 წლის ჩატოურა

დღესასწაულობრივ მონარქიის დამხობასა და რესპუბლიკის დამყარებას.

1790 წელს რომის პარმა ანათემას გადასცა საფრანგეთის რევოლუცია, რის გამოც ფრანგებმა ეკლესია ხალხის მტრად გამოაცხადეს. საეკლესიო წმინდანები თავისუფლებისათვის და რევოლუციისათვის წამებულებმა შეცვალეს, ხოლო პარიზის დვითისმშობლის ეკლესიას გონების ტაძარი უწოდეს. პრაქტიკულად ის, რაც საუკუნეების განმავლობაში ხალხისათვის წმინდა და იყო, ახლა დაცინვის საგანს წარმოადგენდა და ცეცხლში ინვოდა. ამ დროს ფრანგები ფიცს სდებდნენ იულიუს კეისრის მკვლელის, ბრუტუსის ბიუსტის წინაშე, რომ გაჰყვებოდნენ მის გზას და დაიცავდნენ რესპუბლიკას.

საინტერესოა, რომ ფრიგიული ჩაჩი, როგორც თავისუფლების სიმბოლო, ძველი რომიდან იღებს სათავეს, როდესაც რომაელები განთავისუფლებულ მონებს ამის ნიშნად ხელწერილს და ფრიგიულ ჩაჩს აძლევდნენ. ამ ჩაჩითა და ხელში შეტანით იყო გამოსახული თავისუფლების ქანდაკება პარიზში, რომელიც რევოლუციის (ახლანდელი თანხმობის) მოედანზე იდგა. სკულპტურა ფასციებითა და კომბალით იდგა ინვალიდების სახლის წინ და განასახიერებდა ფრანგ ხალხს, რომელმაც არისტოკრატიის პიდრა გასრისა. ანაპარსის კლოოტსი 1790 წლის 9 ივნისის დამფუძნებელ კრებაზე პირდაპირ აცხადებდა, რომ თუ რევოლუციამ მთელ მსოფ-




რესუბლიკა და თავისუფლაბა

ლიოში არ გაიმარჯვა, იგი დაიღუპება და საჭიროა ბრძოლა მსოფლიო კონფედერაციისათვის.

საფრანგეთის რევოლუციის ლიდერებზე დიდ მთაბეჭდილებას ახდენდა ამერიკის 1776 წლის რევოლუცია და დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ეროვნული გვარდიის სარდალმა, მარკიზმა ლაფაიეტმა ჯორჯ ვაშინგტონს გაუზავნა ბასტილიის გასაღები, ხოლო მონტესკიემ სწორედ აშშ-ის კონსტიტუციიდან დაისესხა ხელისუფლების დაყოფის იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო დამფუძნებელ კრებას, სადაც 18 უცხოელს, მათ შორის 4 ამერიკელს მიეცა საფრანგეთის მოქალაქის ტიტული.

სამწესაროდ, საფრანგეთის რევოლუციის ბევრმა იდეოლოგმა სიცოცხლე ეშაფოტსა თუ გილიოტინაზე დაასრულა, მაგრამ „ძმობა, ერთობა, თავისუფლების“ იდეა სხვა ქვეყნებში, მეტნილად კი ლათინური ამერიკის ქვეყნებში გავრცელდა. საფრანგეთის რევოლუციამ რესპუბლიკური სიმბოლიკა შემოიღო და ჰერალდიკა უფრო სიმბოლური გახდა. გამოჩენდა ახალი ნიშნები – ფრიგიული ჩაჩი, ლიქტორის ფასციები, სხვადასხვა მასონური ნიშნები, თუმცა ჰერალდიკის ხუთი ძირითადი კანონი არ დაირღვა





საფრანგეთის ემბლემა. 1898 წ.

და ახალი გერბები კანონის სრული დაცვით იქმნებოდა.

საფრანგეთის რევოლუცია პარიზის გერბული დრომის ქვეშ მიმდინარეობდა, რომელსაც მონარქიის, ბურბონების სახელმწიფო თეთრი ფერი დაემატა და წითელ-ლურჯი, რომელსაც ჰოლანდიის დროშის მსგავსად ლურჯ-თეთრ-

წითელ ჰორიზონტალურ ზოლებს წარმოადგენდა. ფრანგული „ტრეკოლორი“, რომელიც დღეს ყველასათვისაა ცნიბილი და ბევრი სახელმწიფოს რესპუბლიკური დროშის საფუძველს წარმოადგენს, 1790 წლის 28 მაისის სამეფო ბრძანებულებით, შემდეგ 18 ივნისის დეკრეტით დაამტკიცა ეროვნულმა კრებამ. 1794 წლის ტერმიდორელთა კონტრრევოლუციამ 17 თებერვალს წითელი რევოლუციური ფერი ბოლოში გადაიტანა და მისი ადგილი ლურჯმა დაიკავა. ამის შემდეგ XIX ს-ის საფრანგეთში ახალი რევოლუციები მოხდა. 1832 და 1848 წლების რევოლუცია და 1871 წლის პარიზის კომუნა წითელი დროშის ქვეშ მიმდინარეობდა, თუმცა წითელი დროშა სახელმწიფო სიმბოლოდ მაინც ვერ დამკვიდრდა. კომუნის დაცემის შემდეგ აღდგა სამფეროვანი დროშა, ხოლო წითელი დროშა დარჩა როგორც რევოლუციის სიმბოლო.

შები და მასზე ფრიგიული ჩაჩი პარიზელი სანკულოტების ემბლემა იყო, რომელთაც ბასტილიაზე მიჰკენდათ იერიში, თუმცა ხმალზე ჩამოცმულ ფრიგიულ ჩაჩის მანამდე გერმანელი იაკობიტები იყენებდნენ. 1791 წლის 17 ივნისს პარიზის პეტიცია შეადგინეს და მოითხოვდნენ ლუდოვიკ XVI-ის ტახტიდან გადაყენებას (იგი ორი წლის მერე სიკედილით დასაჯეს). პარიზის მერმა უან სილვი ბაიამ ხალხის დაშმინება ვერ შეძლო და რატუშაზე წითელი დროშა გამოკიდა, რაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ნიშნავდა. ამ წითელი დროშით ეროვნულმა გვარდიამ დაშალა ხალხი.



ა. საფრანგეთის ემბლემა. 1746 წ,
ბ. ფრანგი იაკობიტების ემბლემა
გ. გარდაბნელი იუნიტეის ემბლემა

ლიქტორების ძნა – ფასცია (აქედან წარმოსდგება სიტყვა ფაშიზმი) თავის საწყისს ძველი რომიდან იღებს, სადაც იგი ხელისუფლების სიმბოლო იყო და მუდამ კონსულების ნინ მიჰკენდათ. იგი წარმოადგენდა წითელი ტყავით შეკრულ წკელებს, რომელიც განასახიერებდა ჩინოვნიკის მიერ დასჯის უფლებას, ხოლო მასში ჩარჭობილი ნაჯახი – წამების უფლებას. ფასცია იყო საფრანგეთის პირველი ემბლემა რესპუბლიკის დამყარების შემდეგ. საინტერესოა, რომ რევოლუციურად განწყობილმა ფრანგებმა უარი განაცხადეს ოფიციალურ სახელმწიფო გერბზე, ხოლო ქვეყნის მთავრობა სახელმწიფო სიმბოლოდ იყენებს „მარიანას“ გამოსახულებას, რომელიც არის საფრანგეთის ალეგორია. მარიანას ვხედავთ როგორც ფრანგულ მონეტებზე, ასევე 1892 წელს მიღებულ ქვეყნის უმაღლეს ჯილდოზე – საპატიო ლეგიონის ორდენზე.



საფრანგეთის ალეგორია „მარიანა“

1917 წლის რეველის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მე ვიტყოდ, საერთოდ გადატრიალება მოახდინა ჰერალდიკაში. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი ვ.ი. ულიანოვი (ლენინი) პირდაპირ აცხადებდა, რომ „მტაცებლები ჩვენი სიმბოლოები არ არიან“ და ამიტომაც შემდეგ სოციალისტური გერბები პეიზაჟებს დაემსგავსა. თუმცა სსრკ-ში შემავალი ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკა შეფარვით მაინც ცდილობდა საკუთარი ისტორიულ-ტრადიციული სიმბოლოები შეენარჩუნებინა, მაგ.: საქართველომ – შვიდქიმიანი ვარსკვლავი, სომხეთმა – არარატის მთა და ა.შ. 1939-1946 წლების მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალმოსავლეთ ევროპისა თუ მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს გასაბჭოება მოხდა. მათ ჰერალდიკის თვალსაზრისით მეტი შეძლეს და სახელმწიფო სიმბოლოები უმთავრესად შეინარჩუმეს. მაგ.: ჩეხოსლოვაკიამ გერბში გვირ-

გვინი წითელი ვარსკვლავით შეცვალა, ხოლო ავსტრიულ არნივს ნამგალი და ურო დაემატა, იუგოსლავის დროშას წითელი ვარსკვლავი დაემატა, ხოლო პოლონეთის გერბიდან გვირგვინი საერთოდ გაქრა და ა.შ. თუმცა რუმინეთმა, ბულგარეთმა და აზიის თითქმის ყველა ქვეყანამ ახალი საბჭოთა გერბი დაამკიდრა. საინტერესოა, რომ ევროპის სოციალისტურმა ქვეყნებმა სახელმწიფო დროშები იგივე დატოვეს, მაგრამ შეცვალეს მათი სემანტიკა, ფერებს სოციალისტური ახსნა გამოუძებნეს და კომუნისტურ იდეალებს დაუკავშირეს.



ა. რუსეთის სახელმწიფო გარები სახელმწიფო პეტაზე (1918-1920 წწ.)

ბ. ლითოგრაფიული არამის ეგზოგრა. 1918-1920 წწ.

გ. რუსეთის ერთ-ერთი პირველი საფოსტო მარკა

რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია წითელი დროშის ქვეშ მოხდა, რომელიც, როგორც აღვიშნეთ, გერმანიის XVI საუკუნის გლეხთა ომიდან იღებს სათავეს და რომლითაც საფრანგეთის რევოლუციის დროს პარიზელი მუშები და ხელოსნები გამოდიოდნენ. ამიტომ იგი გახდა მსოფლიო პროლეტარიატისა და რევოლუციის ძირითადი ნიშანი. ამის გამო ჯერ რუსეთმა და მერე საბჭოთა კავშირმა და აზიის სოციალისტურმა ქვეყნებმა იგი სახელმწიფო დროშად გამოაცხადეს. საინტერესოა, რომ საფრანგეთის

რევოლუციის სიმბოლოები – ფრიგიული ჩაჩი და ლიეტორის ფასციები რუსეთის რევოლუციამ უარყო და იგი ნამგალი, უროთი და წითელი ვარსკვლავით შეცვალა.



ა. ბ. საბჭოთა სიმბოლის საგირბულო მიზნით გამოყენების ნიშანები.

გ. საბჭოთა კავშირის გერბი. 1922 წ.

1991 წელს საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოცხადდა. მასში შემავალმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ყველამ საკუთარი ისტორიული ატრიბუტიკა დაიბრუნა. თუმცა მოხდა გამონაკლისიც: 1995 წელს ბელორუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ სოციალიზმის დროინდელი დროშა და გერბი აღადგინა, ნამგალი და უროსა და წითელი ვარსკვლავის გარეშე, ხოლო გერბის ფარში ქვეყნის კონტური გამოისახა. 1998 წელს რუსეთმა სსრკ-ის დროინდელი ჰიმნი დაიბრუნა და მისი მხოლოდ მუსიკა ტექსტის გარეშე დააკანონა.

დავით კლდაშვილი

David Kldiashvili

აღმენიკო და ფრანგული პილიგრომების 1367 წლის პორტოლანი



დეტალური პორტოლუნისაზე: ხუთჯვრიანი დროშა თბილისის (Civitas Tifilis) თავზე

ვენეციელი ძმები - დომენიკო და ფრანჩესკო პიციგანოები (Domenico and Francesco Pizzigano) მეტწილად ცნობილნი არიან იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი (138ს და 92ს) და მაღალი პროფესიონალური მით შესრულებული პორტოლანის გამო, რომელიც ამჟამად ინახება იტალიის ქალაქ პარმას ბიბლიოთეკაში (La Biblioteca Palatina di Parma). პიციგანოების ავტორობა დასტურდება პორტოლანის არშიაზე დატანილი წარწერიდან. აქვე მითითებულია შექმნის თარიღი - 1367 წელი (MCCCLXVII). გარდა აღნიშნული პორტოლანისა, ძმებ პიციგანოებს მიაკუთხნებენ კიდევ ოთხ საზღვაო რუკას, რომლებიც ინახება პარიზის, მილანის, ვენეციისა და კაიროს ბიბლიოთეკებში.

1367 წლის პორტოლანი განსაკუთრებით აღ-
სანიშნავია იმით, რომ ის სცილდება იმ დროი-
სათვის აქტუალურ გეოგრაფიულ საზღვრებს –
ხმელთაშუა და შავი ზღვის მიმდებარე ტერიტო-
რიას და მოიცავს ატლანტის ოკეანის მნიშვნე-
ლოვან ნაწილს, სკანდინავიის ნახევარკუნძულს,
ბალტიისა და კასპიის ზღვებს. ატლანტის ოკეა-
ნესთან დაკავშირებით იმ დროის ცოდნა მეტად
მნირი იყო, შესაბამისად, დატანლია როგორც
რეალური გეოგრაფიული ობიექტები (მაგ., კა-
ნარის კუნძულები), ასევე გამოგონილი (ფან-
ტომური) და მითური ადგილები, როგორებიცაა
ბრაზილიისა და ნეტართა კუნძულები.

პიციგანოების 1367 წლის პორტოლანი ერთ-გვარ მსგავსებას ავლენს ანჯელინო დულჩე-რის 1339 წლის პორტოლანთან. მის მსგავსად, ზღვებისა და სტელეთის მოხაზულობები საკ-მაოდ ზუსტია და მაღალი კარტოგრაფიული დე-

ტალიზაციით არის შესრულებული.

პორტოლანზე დატანილ გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებები და მინიშნებები შესრულებულია ლათინურ ენაზე. ქვეყნების ტერიტორიებზე გამოსახულია დროშები, რომლებიც სავარაუდოდ იმ დროისთვის ასოცირებული იყო ამა თუ იმ ქვეყნის საერო ხელისუფლებასთან და გააჩნდა ჰერალდიკური დატვირთვა. მაგალითად, გენუასთან დატანილია წმინდა გიორგის დროშა, ტრაპიზონთან აღმართულია კომნენტოსების დროშა ოქროსფერი ორთავიანი არწივის გამოსახულებით და ა.შ.

საქართველოსთან დაკავშირებით გვაქს შემდეგი სურათი: პორტოლანზე თბილისი აღნიშნულია ციხესიმაგრის სქემატური გამოსახულებით, რომლის თავზეც აღმართულია ხუთჯვრიანი დროშა (თეთრ ფონზე ხუთი წითელი ჯვარი). აქვე დატანილია წარწერა – Civitas Tifilis. ოდნავ მოშორებით წითელი ფერით შესრულებულია საქართველოს აღმნიშვნელი წარწერა – Georgiania. თბილისის მიმდებარედ, კასპიისზღვისპირეთში დატანილი თეთრი დროშა წითელი კვადრატის გამოსახულებით ირანის ილხანთა სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო მეორე დროშის (წითელ ფონზე ოქროსფერი ნიშანი) ატრიბუცია ვერ ხერხდება.

თბილისის თავზე აღმართული დროშა არის ერთადერთი ხუთვერიანი დროშა მთელ რუკაზე და სხვა ქალაქების/ქვეყნების შემთხვევში ის არ მეორდება.

გიორგი ლობჟანიძე
George Lobzhanidze





საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესეუბლიკის ფულის ნიშნები (1921-1922 წწ.)

წინამდებარე სტატიით “ჰეროლდი” აგრძელებს წერილების ციკლს თემაზე: “ქართული ბონისტიკური ძეგლები”.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და იძულებითი გასაბჭოება.

საგულისხმოა, რომ ძალაუფლების უზურპირების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ახალ, თვითმარევია ხელისუფლებას — ე. წ. “რევენტის” (თავმჯდომარე — ფილიპე მახარაძე) არა მხოლოდ არ შეუწყვეტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების მიმოქცევა, არამედ მთელი 1921 წლის განმავლობაში განაგრძობდა ყველაზე მსხვილი, 5.000-მანეთიანი ბონის კუპიურების ემისიას. ეს ბონები ზუსტად ისეთივე სახით გამოდიოდა, როგორც დამოუკიდებლობის ხანაში, ოღონდ ჭვირნიშნების გარეშე.

ყოველივე ეს იყო იძულებითი ნაბიჯი ახალი ხელისუფლების მხრიდან, რომელმაც იმ პერიოდში ძალიან გაუფასურებული რუსული ფულის ნიშნების შემოღებას ამჯობინა, მიმოქცევაში ადგილობრივი, გაცილებით მყარი კურსის მქონე ვალუტა დატოვებინა.

1921 წლის 25 თებერვლიდან, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ თბილისი დატოვა და თანდათან დასავლეთისკენ გადაინაცვლა მარშრუტით: თბილისი-ქუთაისი-ბათუმი, ქართული მანეთის გაუფასურების ტემპმა საგრძნობლად იმატა. ამ პროცესს ხელი შეუწყო როგორც ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დამხობამ და განუკითხაობის დამკვიდრებამ, ასევე, ბოლშევკითა ნინდაუხედავმა ფინანსურმა პოლიტიკამ, რომელთაც იგდეს რა ხელი ფულის ნიშნების საბეჭდი ექსპედიცია — იგი მაქსიმალური დატვირთვით აამოქმედეს.

სახელმწიფო ხარჯების დაფარვის ცდამ ბონების გაზრდილი ემისით, როგორც ყველგან და ყოველთვის, საქართველოშიც უშძიმესი შედეგი გამოიღო. გაიზარდა ისედაც უსაშეველოდ გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, მკვეთრად დაეცა ქართული მანეთის კურსი მტკიცე უცხოურ ვალუტასთან შედარებით. ეს გარკვეულნილად განაპირობა საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილის იძულებითმა ემიგრირებამ 1921 წლის თებერვალ-მარტში. იმ დროისათვის, შეშფოთებული მოქალაქეები, ძირითადად პრივილეგიური ფენებიდან, ემზადებოდნენ საზღვარგარეთ გასახიზნად და ნაჩერევად, დიდი ოდენობით იძენდნენ უცხოურ

ვალუტას, უმთავრესად კი ინგლისურ გირვანქა სტერლინგს. მასზე მოთხოვნილების გაზრდამ გამოიწვია ამ ვალუტის გაქრობა და საბოლოო ჯამში, არნახული გაძვირება.

საქართველოში შექმნილი მძიმე ფინანსურუკონომიკური მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა ე. წ. “ნეპზე” ანუ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ.

ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის გაფართოებამ, საბჭოთა რეჟიმის პოზიციების განმტკიცებამ, სტაბილურობის დამკვიდრებამ და სახელმწიფო გადასახადების დროებითმა აკრეფამ დადგებითი როლი შეასრულა ქართული მანეთის კურსის გამყარებაში, რაც 1921 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე გაგრძელდა.

ეს პროცესი დროებით ხასიათს ატარებდა. ნოემბრიდან კვლავ დაიწყო ქართული მანეთის გაუფასურების პროცესი.


1922 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ მიმოქცევაში გამოუშვა 10.000 მანეთის ლირებულების ბონის კუპიურები. მის მხატვრულ გაფორმებაზე ბევრს არ ვისაუბრებ, ვინაიდან მისი ნიმუში თან ერთვის სტატიას, თუმცა აღვნიშნავ, რომ ისინი გარეგნულად ბევრით არაფრით განსხვავდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 5.000-მანეთიანისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება შემდეგში: თუ 5.000-მანეთიანის ავერსზე გამოსახული მთავრობის სასახლის ფლაგშტოკზე ეროვნული, სამფეროვანი დროშა ფრიალებს, 10.000-მანეთიანის ავერსზე ალბეჭდილი ანალოგიური შენობის ფლაგშტოკზე ეს დროშა საბჭოთა ალმითაა შეცვლილი, ხოლო ძველი ბონის რევერსზე ალბეჭდილი ეროვნული გებბის ადგილი ახალ ბონზე უკავია ხუთქიმიანი ვარსკვლავის გარემოცვაში ჩახატულ ქართულ საბჭოთა გერბს. განსხვავება ფერებსა და ზომებშიც.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბონი დაბეჭდილია არაჭვირნიშნიან ქაღალდზე. ბონის ამ კუპიურაზე გვხვდება საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის — მამია ორახელაშვილისა და საქართველოში ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულის — ბართლომე (ბარონ) ბიბინეიშვილის ხელმოწერათა ფაქტიმილები ქართულ ენაზე.

1922 წლის 31 მაისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკმა გამოუშვა ვალდებულებები: 100.000, 500.000, 1.000.000 და 5.000.000 მანეთის ნომინალური



10.000 განეობანი გონის კუპიურა (ავირსი)



10.000 განეობანი გონის კუპიურა (რევერსი)



100.000 მანეთიანი ვალიდებულება (ავერსი)



500.000 მანეთიანი ვაჭლებულება (ავერსი)



500.000 მანიანი ვალიულება (რევერსი)



5.000.000 მანიანი ვალიულება (ავერსი)



1.000.000 ლარისანი ვალიდულება (ავერსი)

ღირებულებით. მათზე გახვდება ბანკის მმართველის — იასონ ლორთქიფანიძის, აგრეთვე, მთავარი კონტროლიორისა და მთავარი მოლარის ხელმოწერათა ფაქსიმილები ქართულ ენაზე. ამ ვალდებულებებს ფაქტობრივად ფულის ნიშნების ფუნქცია გააჩნდათ.

საქართველოს სსრ-ის ბონები და ვალდებულებები თავისი დროისათვის საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი. მათზე დატანილი გამოსახულებები და წარწერები მკაფიოდ და გარკვევით იყითხება, თუმცა არ გვხვდება ქალადის ფულის მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ჭვირნიშნები (იგივე ფილიგრანები).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბონები და ვალდებულებები იქნებოდა თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ყოფილი სამხედრო შტაბის შენობაში მოთავსებულ ფულის საბეჭდ ექსპედიციაში, სადაც მანამდე დაიბეჭდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ნიშნები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იძულებითი გასაბჭოების წლისთავისათვის, ქართული მანეთის კურსი უკვე 100-ჯერ იყო დაცემული.

1922 წლის გაზაფხულისათვის საქართველოში შექმნილი მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ თვით ოფიციალური პრესაც დაუფარავდა იუწყებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე სიმონ ავალიანი გაზიეთ “კომუნისტში” გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა: “ფულის გაიაფება საქართველოს რესპუბლიკის საშინელია. ამ დებულებას ვერა-

ვინ ვერ უარყოფს. მის შედეგებს თითოეული მოქალაქე ყოველდღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზედ გრძნობს”.

1922 წლიდან, კრემლის კარნახით, საბჭოთა რესპუბლიკებმა ვეტო დადეს ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობას. მთავარი მიმწოდებლის პრეროგატივა ხელთ იგდო საბჭოთა რუსეთმა. ამან გამოიწვია საქართველოს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს, თვალსაჩინო როლის ნიველირება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და საბოლოო ჯამში, ქართული მანეთის გაუფასურების ტემპის დაჩქარება. არნახული სისწრაფით მატულობდა ოქროს, მტკიცე უცხოური ვალუტი-სა თუ პირველი მოთხოვნილების პროდუქციის ფასები. ამ მოვლენის განვითარება შეამზადა საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებულმა ხმებმა, რომელთა თანახმადაც, 1922 წლის მიწურულმდე, ქართულ მანეთს სავსებით უნდა დაეკარგა მყიდველობითი უნარი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის მართლაც აუიოტაური მოთხოვნილება ყველა სახის საქონელზე, რაც საქართველოში 1922 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში შეინიშნებოდა.

მოსახლეობაში დანერგილ პანიკას კიდევ უფრო აძლიერებდა კრემლის კარნახით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოფიციალური წრეების მიერ გაჩაღებული პრობაგანდა ქართული ფულის ნიშნის გაუქმებისა და ამიერკავკასიის ერთიან ფულად ერთეულზე გადასვლის შესახებ.


ნიკო ჯავახიშვილი


Niko Javakhishvili

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველო მასალები საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო
შტანდარტის შესახებ (1918-1921)

Archive Materials about the Government Flag of
Democratic Republic of Georgia (1918 - 1921)





3

ს ა კ ა რ თ ვ ი დ ი ს პ ა რ დ ა მ ე ნ ე ი
/ მ ე - 74 კ რ ე ბ ა / ,
ს ა მ შ ა ბ ა თ ს , 1918 წ . დ ე ვ ე მ ბ რ ი ს 24-ს ც ფ ი ლ ი ხ ი , ხ ა ხ ა ხ ლ ე .
ს ხ ლ ი ხ ი ს უ რ ჩ ა ლ ი ღ ა ნ
2 0 1 6 2 4 1 1 .

- ა 6 . პ რ . მ თ ა უ რ -
ჭ ა ნ დ ა რ ჭ ი ხ ა .
გ ა ნ ხ ა ხ ი ლ ე ლ ი ა პ რ ი ე ჭ ი რ - მ თ ა უ რ ი ბ ი ს შ უ ა ნ დ ა რ ჭ ი ხ ა .
მ ო მ ხ ხ ე ნ ე ბ ე ლ ი ა ხ ე ლ ე ლ ი ს კ ო მ ი ხ ი ი ს თ ა ვ მ ტ ე ლ ი მ ა რ ე ვ ა .
მ ა ყ ე ბ ე ლ ი ა , რ მ ე ლ ი ბ მ ო ხ ხ ე ნ ე ბ ა შ ი ა ც ნ ი ბ ს პ ა რ ლ ა მ ე ნ ჭ ს პ რ ი ე ჭ ი ს მ ი რ ი თ ა ღ ლ დ ე ბ ე ლ ე ბ ს .
პ ა რ ლ ა მ ე ნ ჭ ი კ ა ნ ი ნ პ რ ი ე ჭ ი ს მ უ ხ ლ ი მ ბ რ ი ვ გ ა ნ ხ ი ლ ე ა შ ე ვ ა ღ ა ღ ა ღ ა .
უ ხ ლ ი I-2 .
მ ო მ ხ ხ ე ნ ე ბ ე ლ ი ვ ი თ ხ უ ლ ი ბ ს ც ა ღ ლ ე ლ ე ლ ი ვ ი თ ხ უ ლ ი მ ე ხ ლ ი ს პ რ ი ე ჭ ი ხ ა .
პ ა რ ლ ა მ ე ნ ჭ ი პ ი რ ე ლ ე ს ა ღ მ ე მ რ ე მ ე ხ ლ ი ს უ ხ ლ ე ლ ე ლ ე ღ ა ღ ა .
თ ა ვ მ ტ ე ლ ი მ ა რ ი ს შ ე ვ ი თ ხ ე ა შ ე ვ ე ა რ ა ვ ი ნ ა რ ი ს ხ ა ე რ ი თ დ პ რ ი ე ჭ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ ლ ე გ ი - ღ ა თ ა ვ მ ტ ე ლ ი მ ა რ ე ა ც ხ ა ღ ე ბ ს , რ მ მ პ რ ი ე ჭ ი მ ი ღ ე ბ ჟ უ ლ ი ა ღ მ ხ ა ბ ი ლ ი ს უ ე ქ ს ჭ ი ს შ ე ხ ა მ უ შ ა ვ ე ბ ლ ა ღ ს ხ ა რ ე ა ც ხ ა მ ა ს გ ა ღ ა ე ც ხ ა მ ა .
დ ე დ ა ნ თ ა ნ ხ ა რ ი ა : ხ ა ჭ მ ი ხ მ ა რ მ ი ხ ე ბ ე ლ ი ვ ი თ ხ უ ლ ი მ ე ხ ლ ი ს პ რ ი ე ჭ ი ხ ა .

სარედაქციო კომისიის მიერ შესტორებული
ოւ კანონი საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის მთანარჩინა.

- Տայեարտազգոռն ըցըթղթուցուն մուշրոծուն
Մհանգարին ըցըգցած զարդարական գոր-
թուն տպար առնուսացան, որ մոռնուն թղացար-
թուն մոտավազածուն և տայեարտազգոռն ըցըթղթ-
ուցուն լցործուն ։ Մհանգարին ըցըմուղածուն
ուն պայման մասնաւուն գործուն արմուն մասուն
պայմանագունուն մերօւնան։

არშიას გარს არტყია ოქროს მკვდით
ამოქარგული ქართული სირმა. ანბა
არის სამთხვეროვანი: ვიწოდ ზოთოები-

I. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
შტანდარტი მესდგება კვალიფიციულ ფორ-
მის თემორი პამისაგან, რომის შეა-
გრძინი მოთავსებულია საქართველოს რე-
სპუბლიკის ღმრბი. მართლარწმ მემოვ-
ლებული აქვს მინიჭილებური ცრძია მა-
ვი კუმუნიზმით შიგნითა მხრიდან.

Արթուր Հայր Արթուր Ոյքովիչ Յանց-
գուտ Աթուր Կարգավոր Քարտուզու Սօնմիւ. Ան-
ձա Առու Խամարդուհի Յովոն Քողովծո
 Յովոն Քողովծո -

୬୨୯୮୮ ଟପାଳ ମୁ

הנְּבָאָה

A circular library stamp with the text "NATIONAL LIBRARY SRI LANKA" around the perimeter and "COLOMBO" at the bottom. In the center, it says "35" and "1986".

3

የኢትዮጵያ

卷之三

3 m a n b o o k

1918. 26

N^o 13282

აგანითანავე გასახოდო საბოლოო მიერჩის-
საკართველოშ რეპმუნიკის მთავრობის
მკაფიობრივი დამტკიცებელი.

ମନ୍ଦିର ପାଇଁ କାହାର ଅଧିକାରୀ ?

ବିଜ୍ଞାନକାଳୀମ ପ୍ରଥମିକ୍ତା

גָּלְגָּלִים מִזְמָרָה כְּבָשָׂר

L. 12500

88035760

8

კ ა ნ თ ხ ი

ხაუართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედარწყისა.

I. ხაუართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედარწყი შესღება
კვალირაჟულ ცორმის თეორი აუმისაგან, რომელის შუაგულში მოთა
ვსებულია ხაუართველოს რესპუბლიკის დერბი. შედარწყს შემოვ
ლებული აქცე შვინძისცერი არძია შავი პუტუშებით შიგნითა
მხრიდან.

არძიას გარს არწყია იქროსმკელი ამოქარგული ქართულისი-
რმა. ანძა არის ხამილერთვანი: ვიწრო ბილები - შავი და თეთ-
რი, მომხნო ბილები-შვინძისცერისა.

2. ეს კანონი მაღაში შეის დღიდან მისი მიღებისა.

III წ. დავემბრის 27-ს.

*ხაუართველოს პარლამენტის
თავმჯდომარი ჩხერიძე.*

*ხაუართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარი გ. უსტუმანი*

ორისონ სწორი

კაფესის გამზირი

მხარე ქ. ბულაბაძე

10

I. Տայեարագոռն հանքեցմուզու թաշարումն է
Ժհանճարմու ընթցած կաւարտակալ պար-
մուս տպար Առմօնացան, Իռ Թուս թագալո-
մու թուազեցմունա Տայեարագոռն հանքեց-
մուզու ըարմու. Ժհանճարմու ընթցած
ու շաբան մզնոնքու պարու Արմու մազո
Կաթողիկոսու մուջնու թիրութան.

Արմօնակ ջարև Արմայու ռյուրությանը
աթոյշարջանու յարտուղու սօնմա. անձա
արու և սամցարոցանու: զոթրո Քոռլյանո-
թազու թա ռյուրու, թռթենո Քոռլյանո թզո
հոքու պղբութա.

2. ეს კანონი ძალაში მედის დღიდან
მიხი მიღწებისა.

ଶ୍ଵରଙ୍ଗତାକ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରଥିକଳା ମଧ୍ୟ ମହାନାରାଜୁ-
ର ପାଦରେ ନୀକୁ ଅନ୍ତର୍ଗତ ରହିଥିଲୁଣ୍ଡର ଏହାରେ ପାଦରେ
ପାଦରେ ପାଦରେ ପାଦରେ ପାଦରେ ପାଦରେ

I. Խայտարշալոս համեմունքուն թուարնօնն
մէհանգարնո մը կը ծագած կը ագրարի պար-
մուն ողարնո առ մուսաջան, մութուն մը դա-
շուածո մոտացած պարագանա Խայտարշալոս հա-
մեմունքուն ուժինո. մէհանգարնո մը մոզ-
ուածուո այլ մը զոնքութարնո արմուն մա-
տո առ պարագան մօտիւա թիրուան.

Երմուած քարե Երմուած ոյշութեզ-
գոտ Եմոյշարցան յարտղութ նօհմա. Են-
ձա արուէ Խաթուարուցանու: Յովիր Թուալուն
-թազո թա ոցորո, Ցութեն Արացորո -
Ցանութեարոնեա.

2. ას კანონი ძალაში მიემის დღიდან ზო-
ხო მიღებისა.

სარგებლობის კომისიის

၁၃၈၂၀၂၀၂၁၆

Isom

2003260

12
11

۲۶۵۱

3 5 6 n 6 n

ხავთ მოვიდეოს რებაზუბლივის მოავტობის შეანლარება.

I. ხატაროვების რესპუბლიკის მთავრობის შეტანლარწერ შეხღება
კვალირებით ყორმის ოფიციალური აღმისაგან, რომელის შეაგული მოთავ
ვხებულია ხატაროვების რესპუბლიკის დერბი. შეტანლარწერ ძემოვ
ავტორი აქვს შეინიშვნერი არმია მაგი კუტებებით შეგნიოა
მხრიდან.

2. ეს კანონი მართვის ძელის დარღვევას მოხსოვნის გარეშე.

• ხაშურის ველის ვარგებების

መ ፳፻፲፭ ዓ.ም. ፭. ከነበረ

四月八日三〇三

nb
S. J. Thompson

የመተዳደሪያ ቤትመንግሥት

պարսկան շաբա

6 अप्रैल
स्ट्रेसर्ट. ब्रिटिश

12

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შრანდულობისა.

- I. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
მთანდარტიკ შესდგება კვალიფიციურ ფორ-
მის თეთრ აღმისაგან, რომლის შესაჭრა-
მი მოთავსებულია საქართველოს რესპუბ-
ლიკის ღირბი. მთანდარტის შემოვლებუ-
ლი აქვს სვინძის ფერი არშია მავი
კურიულობის მიზნით მჩრდან.

არშიას გარს არყოს თეროს ზევიდი
ამჟარებული ქართული ხილმა. ანდა
არის საზეიროვანი: ვიტონ ზოოგიბი-
მავი და თეთრია, მომსხო ზოოგიბი მვი
ნდის ფერისაა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან
მიხი მიღებისა.

କୁରାତ୍ମାଦ୍ୟନୋ ଗ୍ରେଡିକୋଳ୍ ବିଭାଗ ଶାଖାକ୍ଷେତ୍ରାଧ୍ୟ-
ତ୍ତ୍ଵ ପାଠ୍ୟନାମ ନାମତତ୍ତ୍ଵପାଠ୍ୟ ଏବଂ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ
ପାଠ୍ୟନାମର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଠ୍ୟନାମର ଅଧିକାରୀଙ୍କ
ପାଠ୍ୟନାମର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଠ୍ୟନାମର ଅଧିକାରୀଙ୍କ

לענין האגדות - יונתן בוקשטי

ତୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

θ @ c 3 > 6 o

60

Aug 10th 1881 Found 1
1881 Aug 27 1881 Found 1
Aug 27 1881 Found 1

იმპრესის სამეცნიერო დროშა XVII საუკუნის I ნახევარში

დღეისათვის სამეცნიერო საზოგადოებას XVIII საუკუნის წინარე ხანების ქართული დროშების შესახებ საკმაოდ მნირი და ფრაგმენტული ცოდნა გააჩნია. ეს გარემოება ორი ძირითადი მიზეზით არის განპირობებული: 1. ჩვენამდე XVIII საუკუნემდელი პერიოდის სულ რამდენიმე ქართულმა დროშამ, უფრო ზუსტად კი, დროშის ფრაგმენტმა მოაღწია; 2. წერილობით ძეგლებში XVIII საუკუნის წინარე ხანების ქართული დროშების შესახებ ძალზე მნირი ცნობებია დაცული. წინამდებარე სტატია ამ ხარვეზის დაძლევისაკენ გადადგმულ ერთ კონკრეტულ ნაბიჯს ნარმოადგენს და XVII საუკუნის I ნახევრის იმერეთის სამეცნიერო დროშასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას ისახავს მიზნად.

ალნიშნული დროშა დღეისათვის ცნობილ წერილობით ძეგლებში პირველად 1620-იანი წლების დასაწყისის მოვლენებთან დაკავშირებით არის მოხსენიებული: 1622 წელს ქალაქ ქუთაისის მახლობლად, მდინარე ოლასკურის მარცხნა წაპირზე, ადგილ გოჭოურასთან, იმერეთის მეფეს - გიორგი III-სა (1604-1639 წწ.) და ოდიშის მთავარს - ლევან II დადიანს (1611-1657 წწ.) შორის დიდი ბრძოლა



იმპრესის მეფე – გიორგი III

გაიმართა. ბრძოლაში გიორგი III დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა. გამარჯვებულ ოდიშის



ლევან II დადიანი

მთავარს, სხვა ალაფთან ერთად, იმერეთის მეფის „ქაიანური დროშა“, უფრო ზუსტად კი, დროშის ბუნი, ამ ბუნის თავზე აღმართული „ჯვარი“ და ბუნზე აბმული „ხალასათ შეკერული ალამიც“ ჩაუვარდა ხელთ. ლევან II დადიანმა „ქაიანური დროშა“ ოდიშში წაიღო და მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, დადიანთა ფეოდალური სახლის საგვარეულო საძვალის, წალენჯიხის მონასტრის ერთ-ერთ უპირველეს სინმიდესა და სალოცავს, წალენჯიხის მაცხოვრის ხატს შესწირა.

ლევან II დადიანის მიერ იმერეთის მეფის „ქაიანური დროშის“ ხელში ჩაგდებისა და მისი წალენჯიხის მაცხოვრის ხატისათვის შენირვის ამბავი მოკლედ არის მოთხოვნილი ილორის წმინდა გიორგის ხატის ვერცხლის ფირფიტაზე ამოჭედილ წარწერაში, რომელიც ოქრომჭედელმა ბეჟუა ტყავდველიძემ 1651 წელს შეასრულა: „მას უამასა, ოდეს შევებენით იმერელ მეფესა გიორგის... ოდასქურას გალმა, ვსძლიერ ძალითა და შეწევნითა შენითა, გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა, ჯუარი, ხალასათ შეკერული ალმითა“. ¹


ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერის ციტირებულ ფრაგმენტს ყურადღება იმთავითე მიაქცია წარწერის ტექსტის გამომცემელმა

1. კონსტანტინე გრიგოლია, „ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა“, აკადემიკოს ნიკოლა მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII (1942), 156. ციტირებულ ტექსტში პუნქტუაცია ჩემია.

კონსტანტინე გრიგოლიამ, რომელმაც სავსებით
მართებულად გამოოქავა მოსაზრება, რომ
ლევან II დადიანის მიერ იმერეთის მეფისათვის
წარმეული და წალენჯიხის მაცხოვრის
სატისათვის შენირული „ქაიანური დროშა“
1630-იანი წლების ბოლოს კვლავ წალენჯიხის
მონასტერში ინახებოდა. მკვლევრის
დაკვირვებით, წალენჯიხის მაცხოვრის სატბე
მიყრდნობილი „ქაიანური დროშა“ საკუთარი
თვალით ნახეს რუსეთის მეფის, მიხაილ
ფიოდოროვნის რომანოვის (1613-1645 წწ.) მიერ
ოდიშის სამთავროში გაგზავნილმა ელჩებმა,
დიაკმა ფედოტ ელჩინმა და მღვდელმა პავლე
ზახარევნმა, რომლებიც წალენჯიხის მონასტერში
1639 წლის მიწურულს იმყოფებოდნენ⁶.

კონსტანტინე გრიგოლია რუსეთის მეფის
ელჩების მიერ „ქაიანური დროშის“ წალენჯიხის
მონასტერში მოხილვაზე საუბრისას მთლიანად
ემყარებოდა მღვდელ პავლე ზახარევის მიერ
ოდიშის სამთავროში ელჩად ყოფნის დროს,
1639-1640 წლებში შედგენილ ანგარიშს ანუ
„მუხლობრივ აღნერილობას“, რომელიც მან
მოსკოვში დაბრუნების შემდეგ რუსეთის
სამეფო კარს წარუდგინა. ამ „მუხლობრივ
აღნერილობაში“ ვკითხულობთ: და თუ же стоит
Спасов оброз в киоте... Башечицкого царя Григория
царь Леонтий воевал и царя Григория и знамя
его взял и то знамя приложил к спасову образу;
а на знамени вышил оброз Дмитрия Селунского,
а округ знамени шиты слово золотом³. მოვიტან
„მუხლობრივი აღნერილობას“ ციტირებული
ფრაგმენტის ჩემეულ ქართულ თარგმანს: „იქვე
(წალენჯიხის ეკლესიის საკურთხეველთან)⁴
დგას მაცხოვრის ხატი კიორგში... მეფე ლეონტი
(ლევან II დადიანი) ბაშერიკთა მეფეს გრიგოლს
(იმერეთის მეფე გიორგი III-ს) ებრძოდა. მეფე
გრიგოლი და მისი დროშა დაატყვევა⁵ და ის
დროშა მაცხოვრის ხატს მიაყრდნო; ხოლო
დროშაზე დიმიტრი სელუნელის (წმინდა
დემეტრე თესალონიკელის) ხატია ამინქარული,
დროშის გარშემო კი სიტყვები ოქრომკედით
არის ნაქარგი⁶.

ლევან || დადიანის მიერ იმერეთის მეფისათვის



იმართის სახელოს ქაიანური დროშა - რეპრესტრუქცია

„ქაიანური დროშის“ წართმევისა და მისი წალენჯიხის მაცხოვრის ხატისათვის შენირვის ფაქტან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მტრისათვის ბრძოლაში წართმეული დროშის რომელიმე პატივდებული ხატისათვის შენირვის ტრადიცია შეა საუკუნეების საქართველოში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო XII საუკუნის ბოლოს მომხდარი ერთი ფაქტი: 1195 წელს ციხე-ქალაქ შამქორთან გამართულ ბრძოლაში ქართულმა მხედრობამ ახლო აღმოსავლეთის მუსლიმ მმართველთა კოალიციური ლაშქარი დაამარცხა. ბრძოლის დროს ერთ-ერთმა ქართველმა სარდალმა შალვა ახალციხელმა მოწინააღმდეგეს ბალდადის ხალიფის მიერ გამოგზავნილი დროშა წაართვა და მეფე თამარს (1184-1210 წწ.) მიართვა, ამ უკანასკნელმა კი ხალიფას დროშა, „რომლისა თავსა ზედა იყო ოქრო ათასისა ხალიფურისა“, მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო საძვალის, გელათის მონასტრის უპირველეს სინმიდესა და სალონჯავს, ხახულის

2. οɟʒɔ, 148.

3. Сергей Белокуров, “Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю (1639-1640)”, Сергей Белокуров, Материалы для Русской Истории (Москва, 1888), 348. Текст: “Статейный список священника Павла Захарьева”, газоручей глаголомъ, ѿгроимъ, үлрібініса да қаңғыл Әбасхарызын үлрібінда мұсалалдұ, 1636-1640 ңеңде, гамролса үзімдә мұрағашда, гамропқылға, үмрінбайрұх, әлжініңін, саңағолдұ да қаңғылғарай әуәшінде жәрбамъ ғамбаса арынад. үлрібінда мұсалалдұ ქартиялдағ әтәргімъна үлдікүзінде. таңғымъа болыс үңдәжіктірінде: җемдәл ғасырларында да тұтағына үркінбен (тәбиғітін, 2014), 439.

5. აქ მღვდელი მცირე უზესტობას უშევდს: ლევან II დადანის მეფე გიორგი III და წალენჯიხის მაცხოვრის ხატისათვის შეკრისა, „სანამი დღისა“ ერთს და ძაღლა ბრძოლაში არ დაუტყვევება. დღესასწაული წითოულ ისტორიოგრაფიაში, ოლორის ჩემ კორპოს ხატის 1651 წლისა ნაწერიასა და სხვა წერილობით ეცელდება და დაგენიბოთ. არგუმენტირებულად არს დადგენილი, რომ ოდიშის მთავარმა „ქაიანური დროისა“ 1622 წელს, გორგაურას ბრძოლამ ჩაიგდო ხელთ, მეუჯ გიორგი III კა თორიეტი წლის შემდეგ, 1634 წელს, ბაღდათის ბრძოლაში აიყვანა ტყვევე. კონსტანტინიუ გრიგოლია, „ილორის ჩემ გიორგის ხატის ნაწერია“, 148-152 გვ.

6. შედრ. „მღვდელი პატარე ზუხარევის მუხლობრივი აღნირილობა“, გამოიცა გეგმვას, ფედოტ ელჩინისა და პატარე ზუხარევის ელჩინბათა მასალები, 1636-1640 წელები, გამოსაცემდ მოამზადა, გამოყელება, კომენტირება, ლექსიკონი, საძირბლები და კალინგდრი დაურთო ჯემალ გამამარიამ, ელჩინბათა მასალები ქართულად თარგმნა ვლადიმერ ჩხილეაშვილი, თარგმანის რედაქტორები: ჯემალ გამამარია და ტატიანა ერისხინია (თბილისი, 2014), 323.

ღმრთისმშობლის ხატს შესწირა. მეფე თამარის ე. წ. პირველი ისტორიკოსის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვამცნობს: „[მეფე თამარმა] დროშა იგი ხალიფასა, რომელი მოილო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა (გელათის მონასტერში) ნინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისასა“.⁷

მიუხედავად იმისა, რომ მეფე თამარის მიერ ბალდადის ხალიფის დროშის ხახულის ღმრთისმშობლის ხატის ნინაშე წარგზავნისა და ლევან // დადიანის მიერ „ქაიანური დროშის“ წალენჯიხის მაცხოვრის ხატისათვის შენირვის ამბები ერთმანეთისაგან ოთხ საუკუნეზე მეტი ხნით არის დაშორებული. ეს ორი ისტორიული ფაქტი, არსობრივად, ერთსა და იმავე მოვლენას წარმოადგენს: მეფე თამარმა და ლევან // დადიანმა მტრისათვის ბრძოლაში წართმეული დროშები თავის ამქვეყნიურ სამყოფელში — სამეფო სასახლესა თუ სამთავრო რეზიდენციაში კი არ დაბრძანეს, არამედ მათ სამუდამო განსასვენებელში — საგვარეულო საძვალე-მონასტერში წარგზავნეს. როგორც ჩანს, მეფე თამარსაც და ლევან // დადიანსაც სურდათ, რომ ეს დროშები, როგორც დამარცხებული მტრის სიმბოლო, საუკუნოდ მათი საფლავის „ფერხთით“ ყოფილიყო დასვენებული.

მტრისათვის ბრძოლაში წართმეული დროშისა თუ დროშის ცალკეული ნანილის რომელიმე სახელგასმენილი ხატისათვის შენირვის ტრადიციასთან დაკავშირებით, არანაკლებ საინტერესოა XVII საუკუნის I ნახევარში მომხდარი ერთი ფაქტი, რომელიც, იმერეთის მეფისათვის წართმეული „ქაიანური დროშის“ წალენჯიხის მაცხოვრის ხატისათვის შენირვის ამბის მსგავსად, აგრეთვე, ლევან // დადიანის სახელთან არის დაკავშირებული: 1634 წელს სოფელ ბალდათან გამართა დიდი ბრძოლა, რომელშიც მეფე გიორგი III და მისი მძახალი, ქართლ-კახეთის მეფე თემიურაზ I (1625-1632 წნ.) ლევან // დადიანს დაუპირისპირდნენ. ოდიშის მთავარმა მოწინააღმდეგის ლაშქარი დაამარცხა და მეფე გიორგი III ტყვედ აიყვანა. ბალდათის ბრძოლაში ლევან // დადიანმა, სხვა ალაფთან ერთად, ხელში ჩაიგდო მეფე თემიურაზ I-ის დროშის თავზე აღმართული ბრძოლის ჯვარი და ამ დროშის ჩასაბრძანებელი მდიდრულად შემკული ქსოვილის ბუდე, რომლებიც ოდიშის სამთავროს ერთ-ერთ ყველაზე პატივდებულ სიწმიდესა და სალოცავს, ილორის წმინდა გიორგის ხატს შესწირა. ამ ხატის 1651 წლის ზემოთ უკვე ნახსენებ წარნერაში კვითხულობთ:

7. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გურამ კარტოზიამ და ცოტნე კიკიძემ, ქართლის ცხოვრება (თბილისი, 2008), 444.

8. კონსანტინე გრიგოლია, „ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა“, 156.

9. სარა ბარნაველი, ქართული დროშები (თბილისი, 1953), 48-52.



ქართლ-კახეთის მეფე – თაიმურაზ I

„მას ჟამსა, ოდეს შევებენით ბალდათს იმერელ მეფესა გიორგისა და შვილსა მისა ალექსანდრესა და მამუკასა და მისა სიმამრსა კახსა ბატონსა თეიმურაზს, ვაძლიერ ძალითა შენითა და გაგვემარჯუა: გიორგი მეფე ხელთ დაგურჩა, შეიღები და კახი ბატონი გარდახვენა. უფროსი ერთი იმერელი და კახი ხელთ დაგურჩა. მოვედით ტაძარსა შენსა და შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი — ბრძოლის ჯუარი, იმ დროშის ბუდე ოქრო-ქსოვილი სარასლისა“.⁸

იმერეთის სამეფოს „ქაიანურ დროშასთან“ დაკავშირებული საკითხები, კონსატანტინე გრიგოლის შემდეგ, დაწვრილებით შეისწავლა სარა ბარნაველმა, რომელმაც „ქაიანური დროშის“ შესახებ ორი ძირითადი მოსაზრება გამოთქვა: 1. მეფე გიორგი III-ის დროშის სახელი თუ ეპითეტი — „ქაიანური“ სპარსული სიტყვიდან „ქაიან“-იდან ანუ „სამეფო“-დან, „მეფური“-დან არის წარმომდგარი და ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ეს დროშა იმერეთის სამეფოს სახელმწიფო დროშას წარმოადგენდა; 2. მეფე გიორგი III-ის „ქაიანური დროშა“ სამი ნანილის — ბუნის, ბუნის სიგრძეზე დამაგრებული ალმისა და ბუნის თავზე აღმართული ჯვრისაგან შედგებოდა. ბუნის, ალმისა და ჯვრის ფორმა უკნიობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ალამი აბრეშუმის ქსოვილისაგან იყო დამზადებული, მასზე წმინდა დემეტრეს გამოსახულება იყო ამოქარგული და გარშემო ოქრომკედით ნაქარგი სიტყვები შემოუყვებოდა⁹.

სარა ბარნაველის მიერ იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრებები სავსებით მართებული და

მისალებია. თუმცა, არსებობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც სარა ბარნაველმა პასუხაუცემელი დატოვა: რა ფერისა იყო იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშა“, უფრო ზუსტად კი, ამ დროშის ალამი?

ჩემი დაკვირვებით, იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშის“ ფერის დადგენა გადაუჭრელი ამოცანა არ არის და ამ საკითხის გარკვევა, დიდი ალბათობით, შესაძლებელია. აღნიშნული საკითხის შესახებ უძვირფასეს ცნობას გვაწვდის რომის კათოლიკური ეკლესიის თეატრინელთა ორდენის ბერის – არქანჯელო ლამბერტის მიერ საქართველოში ყოფნის დროს ანუ 1631-1649 წლებში შედგენილი თხზულება „წმინდა კოლხეთი“, რომელიც ავტორმა 1654 წელს რომში ლათინურ ენაზე გამოაქვეყნა.

„წმიდა კოლხეთის“ XXVII თავში დანვრილებით არის მოთხოვნილი 1634 წელს სოფელ ბალდათან მეფე გიორგი III-სა და ლევან II დადიანს შორის გამართული ბრძოლის ამბები, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე მქონდა საუბარი. არქანჯელო ლამბერტი ბალდათის ბრძოლის პერიპეტიონის გადმოცემისას პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამ ბრძოლაში „იმერლების“ ანუ იმერეთის სამეფოს დროშა – წითელი, უფრო მართებულად რომ ვთქვათ, მენამული ფერის, ხოლო „სამეგრელოს“ ანუ ოდიშის სამთავროს დროშა თეთრი ფერისა იყო: „1634 წელი იდგა, როცა მთავარმა დადიანმა (ლევან II დადიანმა) ყველაფერი იღონა თავისი დის (დედოფლალი მარიამი) როსტომ ხანისათვის (ქართლის მეფე როსტომი (1632-1658 წე.) მისათხოვებლად. ამ საქმეს სხვა არაფერი აკლდა, გარდა იმისა, რომ საცოლე ქართლში მისი საქმროსათვის გაეგზავნა. მან იმერეთის მეფეს (მეფე გიორგი III), რომლის სამეფოც სამეგრელოსა და ქართლს შორის მდებარებდა, სთხოვა, გაეტარებინა მისი და ქართლში წასასვლელად. იმერეთის მეფემ თეიმურაზის (თეიმურაზ I) შთაგონებით ამაზე უარით უპასუხა.

დადიანმა გადაწყვიტა, იარაღით გაეკაფა გზა, შეკრიბა უძლიერესი ლაშქარი და იმერეთის საზღვარს მიადგა, თან როსტომ მეფის საცოლე მიჰყავდა. იმერეთის მეფემაც თავის ჯარს მოუყარა თავი და იქვე, საზღვარზე, მის მოწინააღმდეგე მხარეს დაბანაკდა. მათ შორის ერთი მინდორი რჩებოდა. თავდაპირველად საქმეს მშვიდობიანი პირი უჩანდა, რადგან პირისპირ მდგომ ორ ჯარს შორის დიდხანს არავითარი შეტაკება არ მომხდარა. მოწინააღმდეგენიც, ოდიშის მთავარი და

იმერეთის მეფე, ერთმანეთს მეგობრულად ექცეოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ შორის უნდა დადებულიყო სასურველი სამშვიდობო შეთანხმება როსტომის საცოლის თავისუფლად გატარების შესახებ. ბევრს ეგონა, რომ იმერლები მოჩვენებით მეგობრობას იჩენდნენ, ხოლო მეგრელები ჯერ კარგად გაერთობოდნენ თავიანთ კარვებში და შემდეგ მოულოდნელად დაესხმებოდნენ თავს იმერეთის ჯარს. ასეც მოხდა. ერთ დღეს დადიანი თავის კარავთან იდგა და დიდებულებთან მუსაიფობდა. შემდეგ მან ბრძანა, სადილი მოერთმიათ. ამ დროს შორს, ერთ გორაკზე გამოჩნდა ორმოცდაათამდე ცხენოსანი, ყველა შეიარაღებული, საომრად მომზადებული, შუბით ხელში. დადიანმა იკითხა — ვინ არიანო ისინა, მისი ხალხია თუ მოწინააღმდეგეთა ჯარიდან არიანო. სიშორის გამო ვერ გაარვეის დროშის ფერი: თეთრი იყო, სამეგრელოსი, თუ წითელი — მეტრლებმას¹⁰. დადიანმა მზვერავები გააგზავნა, რათა გაეგოთ, ხომ არ იყო რაიმე მოძრაობა მოწინააღმდეგის მხარეს. მზვერავებმა ამბავი მოიტანეს — გორაკიდან კარგად ჩანს მოწინააღმდეგის მთელი ჯარი, შეიარაღებული და საბრძოლო მნერივებად დაწყობილიო. ამ ცნობის მიღებისთანავე, დადიანმა ბრძანა, სასწრაფოდ მომზადებულიყვნენ საომრად. ის პირველი მოახტა (ცხენს და მცირე ამაღით საჩქაროდ გაეშურა იმ დროშისა და დაშვებული შუბების შესახვედრად, რომლებიც მან დაინახა. იგი შეიქრა მათ რიგებში, ნაწილი დახოცა და ნაწილი ტყვედ იგდო. ტყვეთა შორის იყო ერთი მხედარი, რომელიც, როგორც კი მუზარადი მოიხადა, მაშინვე იცნეს. ეს იყო იმერეთის მეფე გიორგი, ალექსანდრე ბატონიშვილის (შემდგომში იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660 წე.) მამა. მან ხმამაღლა შეჰდალადა: ღმერთია მოწამე, მე აქ საბრძოლველად კი არ მოვდიოდი, არამედ დადიანთან მოსალაპარაკებლად, რომელმაც ჩემ მიმართ არავითარი ნდობა არ გამოიჩინა, პირიქით, მთელი ჯარი საომრად დაძრაო. იმერლებმა თავიანთი მეფის ტყვედ ჩავარდნა რომ გაიგეს, მცირე წინააღმდეგობის შემდეგ უკუიქცნენ, ბევრი ტყვედ ჩავარდა. ამრიგად, დადიანმა გზა გახსნა და როსტომ მეფეს გაუგზავნა საცოლე დიდებულებისა და სასულიერო პირთა ამაღით, რომელთა შორის იყო სასულიერო პირთა შორის წმინდანად აღიარებული შემოქმედელი ეპისკოპოსი (მაქსიმე მაჭუტაძე (XVII ს-ის I ნახ.). მან თავის თავზე იდო საპატარძლოს წაყვანა¹¹.

10. ციტირებულ ტექსტში ამა თუ იმ ადგილის ხაზგასმა, აქაც და ქვემოთაც, ჩემია.

11. დავით მერკელიაძე, პაპუა გაბისონია, „არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII, ეძღვნება თამაზ ბერაძის დაბატონიდან 75 წლის ობიექტის (2012/2013), 238-239. შერ.: ილია ანდოლავა, ლევან II დადიანი (თბილისი, 1990), 82-83. ციტირებულ ფრაგმენტი მოტანილი მაქს არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ იტალიურ ტექსტის ქართული თარგმანიდან, რომელსაც მისმა გამომცემლებში, დავით მერკელიაძემ და პაპუა გაბისონიამ თამაზ ბერაძის პირად არქეზე მიაკვლის. დასახლებული

როგორც ვხედავთ, არქანჯელო ღამბერტის „წმინდა კოლხეთში“ მართლაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ 1634 წელს, ბალდათის ბრძოლის დროს იმერეთის სამეფოს დროშა მეწამული ფერისა იყო.

მართალია, თეატრინელ ბერს ეს დროშა
დეტალურად აღწერილი არა აქვს, მაგრამ
საფიქრებელია, რომ ის მენამული დროშა,
რომლითაც მეფე გიორგი III 1634 წელს ბალდათის
ბრძოლაში მონაწილეობდა, იმერეთის სამეფოს
იმ ძველი, „ქაიანური დროშის“ მეტ-ზაკლებად
ზუსტი ასლი იყო, რომელიც ლევან II დადიანმა
მეფე გიორგი III-ს 1622 წელს, გოჭოურასთან
ბრძოლის დროს წაართვა და რომელიც, 1622
წლიდან მოყოლებული, ოდიშის სამთავროში,
წალენჯიხის მონასტერში ინახებოდა.

თუ ჩემი ეს მოსაზრება სწორია და მეცენ
გიორგი III-ის მიერ 1634 წელს, პალდადის
პრძოლაში წაღებული მენამული დროშა
ნამდვილად იმავე მეცენ გიორგი III-ის მიერ
1622 წელს გოჭოურას პრძოლაში დაკარგული
„ქაიანური დროშის“ მეტ-ნაკლებად ზუსტი
ასლი იყო, მაშინ გამოდის, რომ არქანჯელო
ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ ახალი,
მნიშვნელოვანი ცნობით ამდიდრებს ილორის
წმინდა გიორგის ხატის წარწერისა და მღვდელ
პავლე ზახარევის „მუხლობრივი აღნერილობის“
მონათხრობს და გვაუწყებს, რომ XVII საუკუნის
I ნახევარში იმერეთის სამეფოს დროშა,
რომელსაც თანამედროვეები „ქაიანური
დროშის“ სახელით იცნობდნენ, მენამული
ფერისა იყო.

მიღებული დასკვნის შემდეგ ლოგიკურად

განსახილებრივი სკუთხის თაობაზე მც ანდოლების მოსაზრება მატებს და კვექტონს, რომ „წმინდა კოლხეთის“ ქრისტული თარგმანი ნამდვილდ ბეჭან გიორგაძის მიერ არის შესრულებული: 1990-იანი წლების II ნახევარში ბეჭან გიორგაძის ფაქტის სახლში საკუთარი თვალით ვნახე „წმინდა კოლხეთის“ ქრისტული თარგმანის ტექსტი, რომელიც, თუ სხვადად მხსოვრე, სა ასეთა დანართის მიხედვით, რც შეეხება „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანის თამაში ბერაძის პირად არქევეტი მოხვედრის სკონას, ერთი შეცვლილი ვაკევას, რომ ეს თარგმანი თავასზე ბერაძესთან უშაულოდ ბეჭან გიორგაძის მეტყველებულსაც მოხვდა. თუმცა, მორიკ მხრივ არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც სულ სხვაგვარი დასკვნისაც მიბინებს იღია ანიულაგმ თავის 1990 წელს გამოცემულ წიგნში „ლევან II დადიანი“, ერთი მხრივ, ნარმალაგმინა „წმინდა კოლხეთის“ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტის მცირე სანკვეტი, ხოლო, მეორე მხრივ, იქვე, სქოლობშ აღნიშნა, რომ მას ეს ტექსტი იღია ტაბაღლუაზ გააცნო. ანთელავა, ლევან II დადიანი, 82-83. მაშასადმე, ირკვევა, რომ 1980-1990-იან წლებში „წმინდა კოლხეთის“ ქრისტული თარგმანის ტექსტი, ბეჭან გიორგაძის მეტყველებულისაც გარდა, საქორთველო-ევროპის ურიინობიბაზ ისტორიის ცნობილ მეცნიერთან იღია ტაბაღლუასანაც ინახებოდა. ჩემია დაკვირვებული, „წმინდა კოლხეთის“ ქრისტული თამაში ბერაძესთან სწორი დასაბალუას პირადი არქევეტის მოხვდა: როგორც ცნობილი, იღია ტაბაღლუას გარდაცვალების შემდეგ მისი პირადი არქევით თამაში ბერაძესთან დაახლოებულობ ერთ-ერთმა ქართველმა მეცნიერნა შეიძინა და „წმინდა კოლხეთის“ ქრისტული თარგმანიც, დადი აღმატობით, სირედ მან გადასცა თამაში ბერაძეს, რომელიც ოდიშის ისტორიის სკუთხებს დიდი ხნის განმავლობაში იყვლევდა და არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ტექსტითაც ორგანულად იყო დანტერესებული.

12. „ისტორიანი და აშმანი შარავანდელდათანი“: „მიახლებოდეს მეუღე და მისი რაზმი, დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდელს შესლვითან მოსაცემა გეოგრაფიანი არის“. სტარიანი და აშმანი შარავანდელდათანი“, ტექსტი გამოსაცემად მამაშვილებელი გურაუ კარტონისა და ცოტნები კუკიიძეს, ქართლის ცხრილება (თბილისი, 2008), 441; სტეპანის იორბეგიანი: „რამეთუ განენერებულ იყო მეუგისა ქინებად თეორისა ალმისა და წითლისა ნიშნისა“. სტეფანის იორბეგიანის „ცხოვრის იონელანიანა“-ს ძვლით ქართული თარგმანინი, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოაზადა, შესავალი და საძიებლებები დაურომ ელექტრო ცაგარებიშვილმა (თბილისი, 1978), 38.

13. მეტკვილაძე, გამსხვითის, „არქანჯელო ლაშმერტის „წმინდა კოლხეთი“, გვ. 239. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს გაერთიანებული სამეფოს „გრიგოლიანი-დავითიან დროშსათან“, აღმის ფერის მხედვით, იმერეთის სამეფოს „ქალანჩურ დროშსათან“ შედარებით, უფრო ახლოს იდგა XVII საუკუნის I ნახევრის ოდშის სამთავროს სახელმწიფო დროშა, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, თეთრი ფერისა იყო.

სხვათა მორის, არეანგულო ლაპტერტის „წმინდა კოლხეთის“ იმ ცნობის მართებულობას, რომლის თანახმადაც XVII საუკუნის 1 ნახევრის ოდშის სამაცავრის მიერთ თეთრი ფერის იყო, მთავრობად ასატყორებს გაზტოტილი ბაგრატიონის მონარქი 1735 წელს შედებილ აღალას ჩარიცხულ იორშის გვრძის, რომელზე გამოისახულ ტახსაც ნინა ფეხებით სწორდებოდა და თეთრადამინა დროშა უფროას თავად ღრმოვნებული ფურინველი და თოთი ხარსკვლავა ნარმოდებილი). სარ ბარინველი, ქართული დროშით, 50; გაზტოტილი ბაგრატიონი, საქოროვლოს ატლასი (XVIII ს.) (თბილისი, 1997), 2-3.

დაისმის ორი საინტერესო კითხვა:

1. რა მიმართება არსებობდა საქართველოს გაერთიანებული სამეფოს სახელოვან დროშას, არაერთ წერილობით ძეგლში მოხსენიებულ „გორგასლიან-დავითიან დროშასა“ და XVII საუკუნის I ნახევრის იმერეთის სამეფოს „ქაიანურ დროშას“ შორის?

2. რა დროიდან ნარმალადგენდა „ქაიანური დროშა“ იმერეთის სამეფოს დროშას – 1490 -1492 წლებიდან, როცა საქართველოს ერთანი სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა და იმერეთის სამეფო ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, თუ უფრო გვიანი პერიოდიდან, ვთქვათ, XVI საუკუნიდან?

აქ დასმული პირველი კითხვის საპასუხოდ,
ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს
გაერთიანებული სამეფოს „გორგასლიან-
დავითიანი დროშა“ და XVII საუკუნის I ნახევრის
იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშა“
სხვადასხვა იყო.

ამგვარი დასკვნისაკენ ორი ძირითადი გარემოება მიბიძგებს:

1. მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანისა“ და სომეხი მემატიანის სტეფანის ორბელიანის მიერ 1297-1300 წლებში დასრულებული „სისაკნის სახლის ისტორიის“ ცნობებით, „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ თეთრი ფერისა იყო,¹² არქანველო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ თანახმად კი, „ქაიანურ დროშას“ მენამული ფერის ალამი ჰქონდა;¹³

2. სტეფანის ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორიის“ მიხედვით, „გორგასლიან-დავითიან

დროშაზე“ „ნიშნი“¹⁴, სხვადასხვა მკვლევართა ინტერპრეტაციით, ჯვარი ან წმინდა გიორგი იყო გამოსახული, მღვდელ ბავლე ზახარევის „მუხლობრივი აღნერილობის“ ცნობით კი „ქაიანურ დროშაზე“ წმინდა დემეტრეს გამოსახულება იყო ამოქარგული.¹⁵

რაც შეეხება მეორე კითხვას, მასზე რაიმე კატეგორიული პასუხის გაცემა, შესაბამისი მასალის არარსებობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია. თუმცა, უფრო იმ მოსაზრებისაკენ ვიხრები, რომ „ქაიანური დროშა“ იმერეთის სამეფოს დროშის ფუნქციას 1490-1492 წლებიდან ანუ იმერეთის სამეფოს ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დროიდან ასრულებდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ საქართველოს გაერთიანებული სამეფოს „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ და XVII საუკუნის I ნახევრის იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშა“ სხვადასხვა იყო და ისინი სახელმწიფო დროშის ფუნქციას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ასრულებდა: „გორგასლიან-დავითიანმა დროშამ“ სახელმწიფო დროშის სტატუსი 1490-1492 წლებში, საქართველოს გაერთიანებული სამეფოს საბოლოოდ დაშლის დროს დაკარგა, ხოლო „ქაიანურმა დროშამ“ სახელმწიფო დროშის სტატუსი, სავარაუდოდ, იმავე 1490-1492 წლებში, საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაფუძნების უამს შეიძინა.¹⁶

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, თუ რა ბედი ენია ლევან II დადიანის მიერ წალენჯიხის მაცხოვრის ხატისათვის შენირულ იმერეთის სამეფოს „ქაიანურ დროშას“ 1639 წლის შემდგომ ხანებში.

მართალია, აღნიშნული საკითხის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ქაიანური დროშის“ 1639 წლის შემდგომი პერიოდის ისტორიისათვის თვალის გადევნება მაინც შესაძლებელია.¹⁷

ჩემი დაკვირვებით, „ქაიანური დროშა“ 1657 წლამდე, ანუ ლევან II დადიანის გარდაცვალებამდე, წალენჯიხის მონატერში ინახებოდა, 1657 წელს კი ის იმერეთის მეფე



იმერეთის მეფე – ალექსანდრე III

ალექსანდრე III-მ მონასტრიდან გაიტანა და უკან, იმერეთის სამეფოში დააბრუნა. ამგვარი მოსაზრების გამოთქმისას ორ ძირითად არგუმენტს ვეყინა:

1. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ლევან II დადიანის მიერ წალენჯიხის მაცხოვრის ხატისათვის „ქაიანური დროშის“ შენირულობა, რომელიც, შესაბამისი იურიდიული აქტითაც იქნებოდა გაფორმებული, ამ ძლევამოსილი სუზერენის სიცოცხლეში ვინმეს მოეშალა, დროშა ხატისათვის წაერთმია და ის წალენჯიხის მონასტრიდან გაეტანა;

2. დღეისათვის დადგენილია, რომ ლევან II დადიანის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში იმერეთის მეფე ალექსანდრე III ოდიშის სამთავროში შეიქრა და ლევან II-ის მიერ წლების განმავლობაში დაგროვებული უმდიდრესი განძი, რომელიც, ძირითადად, იმერეთის სამეფოში

14. სტეფანოს ობელიანი: „რამეთუ განწესბულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა ალმისა და ნიმოლისა ნიშნისა“. სტეფანოს ობელიანის „ცხოვრება იორბელიანთა“-ს ძეველი ქართული თარგმანები, 38.

15. ბელოკრივ, „Посольство дьяка Федота Елинина и священника Павла Захарьяева в Дадианскую землю (1639-1640)“, 348.

16. თომორიულად, სასესმით შესაძლებელია, რომ იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშის“ ბუნისა და ჯვრის კენკრეტული ელემენტები ან კიდევ, ამის ცალკეული მოტივები საქართველოს გაერთიანებული სამეფოს „გორგასლიან-დავითიანი დროშის“ ბუნიდან, ჯვრიდან და ალმიდან ზუსტი ან შეცვლილ სახით ყოფილიყო ნასესხები, თუმცა ამგვარი დაშვებისათვის რაიმე მყარი საფუძველი არ გამარჩია და ამიტომ აღნიშნულ საკითხე მსჯელობისაგან, ამ ეტაპზე, თავს შევიყავებ.

17. აქვე შევნიშნავ, რომ ფერები ხთარისების მიერ 1664 წელს შედგენილ ისტორიულ პოემა „შაპნავაზიანში“, 1661 წლის ამბებთან დაკავშირებით, „ქაიანური დროშა“ პირდაპირ არს ნახსენები: „ამართეს დროშა მალოს, ქაიანურის ხელთა“. ფერები, შაპნავაზიანი, გიორგი ლეიინიძისა და სოლომონ იორდანშვილის რედაქტირებით (თბილისი, 1935), 66. თუმცა, საკითხის შესანვალა აჩვენებს, რომ პოემის ავტორს, ამ შემთხვევაში, ქართლის მეფის ვახტაგი ვ შაპნავაზის (1658-1675 წე). „ქაიანურ დროშა“ ანუ ქართლის სამეფოს დროშა აქეს მხედველობაში. შესაბამისად, სრულდებოთ ცხადია ისიც, რომ ფერები ხთარისშვილის „შაპნავაზიანში“ აღნიშნული ცნობა იმერეთის სამეფოს „ქაიანურ დროშაზე“ მსჯელობისათვის, უბრალიდ, არ გამოიდგება.

ნაალაფარი ძვირფასეულობისაგან შედგებოდა, იმერეთში წაიღო.¹⁸ აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ვთიქრობ, სრულებით ცხადია, რომ 1657 წელს ოდიშის სამთავროში შექრილი მეფე ალექსანდრე III „ქაიანურ დროშას“, რომელიც ლევან II დადიანმა მის მამას, მეფე გიორგი III-ს გოჭოურას ბრძოლაში წაართვა, წალენჯიხის მონასტერში აღარ დატოვებდა და მას, ლევან II-ის მიერთის სამეფოდან გატაცებული განძეულის მსგავსად, უკან, იმერეთში დააბრუნებდა.

სამწუხაროდ, სათანადო მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით არ შემიძლია ვთქვა, 1657 წელს იმერეთის სამეფოში დაბრუნებული „ქაიანური დროშა“ ძველებურად სახელმწიფო დროშის ფუნქციას ასრულებდა თუ ის იმერეთის მეფებს რელიკვიის სახით ჰქონდათ შენახული. სამაგიეროდ, დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთის სამეფოს სახელმწიფო დროშა არა „ქაიანური დროშა“, არამედ სულ სხვა იყო. ეს დროშა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „სოლომონ I-ის დროშის“ სახელით არის ცნობილი, ამჟამად ნიკო ბერძენიშვილის სახელმწიფის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება. მისი აღამი „ქაიანური დროშის“ აღმისაგან საკმაოდ განსხვავებულია: „სოლომონ I-ის დროშის“ აღამი ვარდისფერი იყო (დღეისთვის აღმის ქსოვილი გაყვითლებულია და ნარინჯისფერი აქვს მიღებული). აღმის ერთ მხარეს გამოსახულია ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც გველებას ხმლით კლავს, ხოლო მეორე მხარეს — მთავარანგელოზი, რომელსაც ხელთ ზეანვდილი ხმალი უპყრია. დროშის ბუნზე აღმართული ჯვრის ქვემოთ ბუშტია, რომელზეც მხედრული ნარწერაა შესრულებული: „ქ. მეფე სოლომონ“.¹⁹

მაშასადამე, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ 1657 წლის შემდეგ იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშის“ შესახებ რაიმე პირდაპირი ცნობა თუ ირიბი მითითება აღარ მოგვეპოვება და ამ ქართული ისტორიული დროშის შემდგომი თავგადასავალიც, ჯერჯერობით, უცნობია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, XVII საუკუნის I ნახევრის იმერეთის სამეფო დროშასთან დაკავშირებით, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

1. XVII საუკუნის I ნახევრის იმერეთის სამეფოს დროშა, თანამედროვეთა შორის, „ქაიანური დროშის“ სახელით იყო ცნობილი. თავად სახელი „ქაიანური“ სპარსული სიტყვა

„ქაიან“-იდან ანუ „სამეფო“-დან, „მეფური“-დან არის წარმომდგარი. საგულისხმოა, რომ XVII საუკუნეში ქართლის სამეფოს დროშაც „ქაიანური დროშის“ სახელით იყო ცნობილი. როგორც ჩანს, ამ პერიოდის საქართველოში სხვადასხვა სამეფო-სამთავროს სახელმწიფო დროშებს სწორედ „ქაიანური დროშის“ სახელით აღნიშნავდნენ.

2. XVII საუკუნის I ნახევრის იმერეთის სამეფოს დროშა შემდეგი სახისა იყო: დროშას ჰქონდა ბუნი, რომლის მასალა, ზუსტი ფორმა, ზომა და ფერი უცნობია. ბუნის სიგრძეზე აბმული იყო აღამი, რომლის ფორმა და ზომა დაუდგენელია. აღამი მეწამული ფერის აბრეშუმის ქსოვილისაგან იყო დამზადებული. მასზე წმინდა დემეტრე თესალონიკელის გამოსახულება იყო ამოქარგული და გარშემო იქრომედით ნაქარგი სიტყვები შემოუყვებოდა. დროშის ბუნის თავზე აღმართული იყო ჯვარი, რომლის მასალა, ზუსტი ფორმა და ზომა უცნობია.

3. იმერეთის სამეფოს „ქაიანური დროშის“ 1620-იანი წლების წინარე ხანების ისტორიის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი. ამ ეტაპზე, შემიძლია ვიგარაუდო, რომ „ქაიანური დროშა“ იმერეთის სამეფოს სახელმწიფო დროშის ფუნქციას 1490-1492 წლებიდან ანუ საქართველოს ერთიანი სამეფოს საბოლოოდ დამლისა და იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დროიდან ასრულებდა. „ქაიანური დროშა“ დღეისათვის ცნობილ წერილობით ძეგლებში პირველად 1620-იანი წლების დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით არის მოხსენიებული. 1622 წელს გოჭოურასთან გამართულ ბრძოლაში ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა იმერეთის მეფე გიორგი III დაამარცხა და „ქაიანური დროშა“ ხელთ ჩაიგდო. იმავე 1622 წელს ლევან II დადიანმა „ქაიანური დროშა“, გოჭოურას ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, დადიანთა ფეოდალური სახლის საგვარეულო საძვალის, წალენჯიხის მონასტრის უპირველეს სინმინდესა და სალოცავს, წალენჯიხის მაცხოვრის ხატს შესწირა. დაახლოებით იმავე პერიოდში მეფე გიორგი III-მ, გოჭოურას ბრძოლაში დააკარგული „ქაიანური დროშის“ ნაცვლად, დაამზადებინა ახალი სახელმწიფო დროშა, რომელიც ძველი დროშის მეტ-ნაკლებად ზუსტ ასლს წარმოადგენდა.

1634 წელს ბალდათან გამართულ ომში იმერეთის სამეფოს ლაშქარი ლევან II დადიანის

18. გივი ჯამბურია, „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში“, საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე (თბილისი, 1973), 341; მიხეილ რეზაბაშვილი, დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში (ნარკევები) (თბილისი, 1978), 56-58; ანთელავა, ლევან II დადიანი, 131.

19. ბარნაველი, ქართული დროშები, 58-59.



წინააღმდეგ სწორედ ამ ახალი დროშით იძრძოდა. რაც შეეხება ძველ „ქაიანურ დროშას“, ის 1622 წლიდან მოყოლებული წალენჯიხის მონასტერში ინახებოდა და ეკლესის საკურთხევლის წინ აღმართულ მაცხოვრის ხატზე იყო მიყრდნობილი. 1639 წელს, როცა რუსეთის მეფის – მიხაილ ფიოდოროვიჩის მიერ ოდიშის სამთავროში გამოგზავნილი ელჩები — დაკავი ფედოტ ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარევი წალენჯიხის მონასტერს ეწვიონენ, „ქაიანური დროშა“ ჯერ კიდევ წალენჯიხის მონასტერში იყო დაცული. ლევან II დადიანის გარდაცვალებამდე ანუ 1657 წლამდე „ქაიანური დროშა“ წალენჯიხის მონასტერში ინახებოდა. ლევან II დადიანის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში იმერეთის მეფე ალექსანდრე III ოდიშის სამთავროში შეიქრა და ლევან II დადიანის მიერ წლების განმავლობაში ნაგროვები განდი იმერეთში წაიღო. იმავე 1657 წელს მეფე ალექსანდრე III-მ „ქაიანური დროშა“ წალენჯიხის მონასტრიდან გაიტანა და უკან, იმერეთის სამეფოში დააბრუნა. 1657 წლის შემდეგ „ქაიანური დროშის“ შესახებ რაიმე ცნობები აღარ მოგვეპოვება. შესაბამისად, ჯერჯერობით, უცნობია, 1657 წელს იმერეთის სამეფოში დაბრუნებული „ქაიანური დროშა“ ძველებურად სახელმწიფო დროშის ფუნქციას ასრულებდა თუ ის იმერეთის მეფეებს რელიკვიის სახით ჰქონდათ შენახული. ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთის სამეფოს სახელმწიფო დროშის ფუნქციას არა „ქაიანური დროშა“, არამედ „სოლომონ I-ის დროშა“ ასრულებდა. „ქაიანური დროშის“ ამჟამინდელი დაცულობის ადგილი, თუკი ეს დროშა საერთოდ გადაურჩა განადგურებას, ჯერჯერობით, დაუდგენელია.

იმერეთის სამეფოს „ქაიანურ დროშასთან“ დაკავშირებული ძირითადი საკითხების შეძლებისდაგვარად სრულად განხილვის შემდეგ, აუცილებლად უნდა შევეხო საქართველოს გაერთიანებული სამეფოს „გორგასლიან-დავითიან დროშასთან“ დაკავშირებულ ერთ

20. ახალციხის ალყა, დავით ბატონიშვილის ცნობით, ერთი თვე, ხოლო ბაგრატ ბატონიშვილის ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, (თბილისი, 1941), 38; ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, დავით ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომიურობა (თბილისი, 1941), 114. სსაცლელია ბატონიშვილების აღნიშვნული ცონიერები ახალციხის სამხედრო კამანის ხელმძღვანელის ალექსანდრე ტორმასოვის მიერ შედგნილ რამორტების პირდაპირ არის მითითებული, რომ რუსებმა ახალციხეს ალყა 1810 წლის 16 ნოემბრის შემთარტყება და ათდღიანი ბრძოლების შემდეგ, 26 ნოემბრის მოხსენება. „Отношение генерала Тормасова к военному министру, от 19-го декабря 1810 года“, Акты собранные Кавказского Археографического Комиссиию, Архив Главного Управления Наместника Кавказского, т. IV, издан под редакциею председателя комиссии Аддолфом Берже (Тифлис, 1870), 806-810; „Отношение генерала Тормасова к графу Румянцову, от 19-го декабря 1810 года“, Акты собранные Кавказского Археографического Комиссиию, Архив Главного Управления Наместника Кавказского, т. IV (Тифлис, 1870), 810-817.

21. დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორიის“ ციტირებული ფრაგმენტის ამ ადგილს მცირე უზესტობადა დაშვებული სწავლული ბატონიშვილი მასავრმატართებელი ალექსანდრე ტორმასოვის მიერ ახალციხის წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო კესპერიდისას 1811 წლით ათარიღებს „არადის სახალის სამართლის მიერ შედგნილ აღნერით ამბავს, სინამდვილეში, 1810 წელს ჰქონდა ადგილი. „Отношение генерала Тормасова к военному министру, от 19-го декабря 1810 года“, 806-810; „Отношение генерала Тормасова к графу Румянцову, от 19-го декабря 1810 года“, 810-813; „Всеподданийший рапорт генерала Тормасова, от 19-го декабря 1810 года“, 813-817.

22. დავით ბატონიშვილი, „ახალი ისტორია“, 38.

23. ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, 114. ციტირებულ ტექსტში ქარაგმის გახსნა ჩემია.

საინტერესო საკითხეს. დავით ბაგრატიონის მიერ 1814 წელს შედგენილი „ახალი ისტორია“ და ბაგრატ ბაგრატიონის მიერ 1814-1824 წლებში შედგენილი „ახალი მოთხრობა“ გვაუწყებს, რომ 1810 წლის ნოემბერში რუსეთის იმპერიის დიდმოხელემ, კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა (1809-1811 წე.) იმხანად ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ქალაქ ახალციხეს ალყა შემოარტყა. საომარ მოქმედებებში, სხვა ქართულ რაზმებთან ერთად, მონაწილეობდა იმერეთის ლაშქარიც, რომელსაც ბრძოლის ველზე საქართველოს მეფის — დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წე.) დროშა ჰქონდა ნაღებული. ახალციხის ალყა ათი დღე გაგრძელდა და საბოლოოდ რუსების დამარცხებით დასრულდა.²⁰ გამარჯვებულ ოსმალებს რუსების ორი ზარბაზანი და იმერეთის ლაშქრისათვის ნართმეული მეფე დავით IV აღმაშენებლის დროშა ჩაუვარდათ ხელთ: დავით ბაგრატიონი — „ხოლო წელსა [1810]²¹ მოიკრიბნა ტორმასოვმან ამერ-იმერნი და მხედრობანი რუსთანი, თვესა ნოემბერსა აღვიდა და მოადგა ახალციხესა. გარმოდგომილ იყო იგი თვე ერთ ოდენ, და ანარმოეს ციხეთა ზედან ყუბარისა სროლაი. განმხდნენ თურქი, და იძლივნენ რუსი და ამერ-იმერნი, და მიუღეს თურქთა ორი ზარბაზანი და ბავრაყი დავით აღმაშენებელისა, რომელიცა თანა აქუნდათ იმერთა“²² ბაგრატ ბაგრატიონი — „ხოლო წელსა 1810, ნოემბრის 5 წარვიდა უპირველესი მართებელი საქართველოსა ტორმასოვი ახალციხის დასაპყრობელად მხედრობითა თვისითა და ეგრეთვე ქართლ-კახეთითა და იმერეთითა, რომელიცა ახლდა დადიანი ლეონცა მხედრობითა თვისითა. მისრული ახალციხეს მოადგნენ თვენახევარი. ახალციხე ფ(რია)დ განმაგრებულ იყო ოსმალთაგან. თუმცა და მიეტევნენ ციხეს ზედა იმერნი, გარნა ვერ უძლეს აღება და იძლივნენ. და წარულეს ოსმალთა იმერთა დროშა ნ(მიდ)ისა დავით მეფისა აღმაშენებელისა“²³.

დავით და ბაგრატ ბაგრატიონების თხზულებების ციტირებულ ნაწყვეტებთან დაკავშირებით, იმთავითვე ჩრდება ორი კითხება:

1. რა მიმართება არსებობდა საქართველოს გაერთიანებული სამეფოს „გორგასლიან-დავითიან დროშას“ და „დავით ალმაშენებლის ბავრაყად“ წოდებულ იმ დროშას შორის, რომელიც იმერეთის ლაშქარმა 1810 წლის ნოემბერში ქალაქ ახალციხისათვის ისმალების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში დაკარგა?

2. თუ „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ და „დავით ალმაშენებლის ბავრაყად“ ერთი და იგივე დროშა იყო, მაშინ რატომ წაიღო იმერეთის ლაშქარმა 1810 წლის ნოემბერში ახალციხისათვის გამართულ ბრძოლაში „გორგასლიან-დავითიანი დროშა“, რომელიც იმ დროისათვის, უეჭველად, რელიევის წარმოადგენდა და არა იმერეთის სამეფოს დროშა, ამ შემთხვევაში, „სოლომონ I-ის დროშა“, რომელიც, სულ გვიან, XVIII საუკუნის II ნახევარში მაინც, მოქმედი სახელმწიფო დროშა იყო და შესაბამისად, საომარი მოქმედების დროსაც სწორედ ის უნდა გამოიყენებინათ?

აქ დასმულ პირველ კითხვას ჯერ კიდევ სარა ბარნაველმა გასცა პასუხი. მკვლევრის აზრით, „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ და „დავით ალმაშენებლის ბავრაყად“ ერთი და იგივე იყო.²⁴ მე სრულად ვიზიარებ სარა ბარნაველის ამ მოსაზრებას: განსახილველი დროშების სახელნოდებებზე („გორგასლიან-დავითიანი დროშა“, „ბავრაყად დავით ალმაშენებელისა“; „დროშაი წმიდისა დავით მეფისა ალმაშენებელისა“) დაკვირვება თვალნათლივ აჩვენებს, რომ თავის დროზე ეს დროშები მეფე დავით IV ალმაშენებელს ეკუთვნოდა და შესაბამისად, ერთსა და იმავე დროშას წარმოადგენდა.

რაც შეეხება მეორე კითხვას, მისთვის პასუხის გაცემა, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, აქამდე არც ერთ მკვლევარს არ უცდია. ალნიშნული საკითხის შესწავლა, პირველ რიგში, აჩვენებს, რომ 1810 წლის ნოემბერში ახალციხის ალყის დროს, იმერეთის ლაშქარი იმერეთის სამეფოს დროშის ანუ „სოლომონ I-ის დროშის“ გამოყენებას ვერ შეძლებდა. ამგვარი დასკვნისაკენ ორი ძირითადი გარემოება მიბიძგებს:

1. იმერეთის სამეფოს დროშა, წესით და რიგით, იმერეთის იმუამინდელ მეფეს – სოლომონ II-ს (1789-1810 წე.) უნდა ჰქონოდა ხელთ. ეს უკანასკნელი კი რუსეთის იმპერიის

მიერ დაპყრობილი იმერეთიდან სამუდამოდ იყო განდევნილი და 1810 წლის 25 სექტემბრიდან გარდაცვალებამდე ანუ 1815 წლის 7 თებერვლამდე, მცირერიცხოვან ამაღლასთან ერთად, ოსმალეთსა და ირანს აფარებდა თავს²⁵. შესაბამისად, 1810 წლის სექტემბრიდან 1815 წლის თებერვლამდე მეფე სოლომონ II-ს იმერეთის სამეფოს დროშა, დიდი ალბათობით, უცხოეთში უნდა ჰქონოდა წალეპული და ამ მიზეზის გამო, რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი იმერეთის ლაშქარი 1810 წლის ნოემბერში ახალციხისათვის გამართულ ბრძოლაში ამ დროშას ვერ გამოიყენებდა;

2. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ უცხოეთში გახიზულმა მეფე სოლომონ II-მ იმერეთის სამეფოს დროშა თან კი არ წაიღო, არამედ ქვეყანაში დატოვა, 1810 წლის ნოემბერში იმერეთის ლაშქარი ამ დროშის გამოყენებას მაინც ვერ შეძლებდა: 1810 წლის 20 თებერვალს, ახალციხის ალყამდე ცხრა თვით ადრე, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ იმერეთის სამეფო, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, საბოლოოდ გააუქმა²⁶ და იმერეთის სამეფოს სახელმწიფო დროშაც, ავტომატურად, ძალადაკარგულად გამოცხადდა. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ ახალციხის სამხედრო კამპანიის ხელმძღვანელი ალექსანდრე ტორმასოვი იმერლებს არ მისცემდა იმის უფლებას, რომ მათ საომარი მოქმედებები ცხრა თვის წინ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ გაუქმებული იმერეთის სამეფოს სახელმწიფო დროშით ენარმოებინათ.

მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ 1810 წლის ნოემბერში ახალციხის ალყის დროს იმერეთის ლაშქარი იმერეთის სამეფოს დროშის ანუ „სოლომონ I-ის დროშის“ გამოყენებას ვერ შეძლებდა, საბოლოოდ ირკვევა ის საკითხიც, თუ რატომ წაიღეს იმერლებმა ახალციხისათვის გამართულ ბრძოლაში „გორგასლიან-დავითიანი დროშა“: იმერეთის ლაშქარს საომარი მოქმედებების სანარმოებლად აუცილებლად სჭირდებოდა დროშა, იმერეთის სამეფოს დროშის ამ მიზნით გამოყენება კი შეუძლებელი იყო. შესაბამისად, იმერლებმა ახალციხის ალყის დროს სადამშერო დროშის დანიშნულებით ძევლი, საქართველოს გაერთიანებული სამეფოს „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ გამოიყენეს. ეს დროშა იმ დროისათვის, სავარაუდოდ, ქუთაისში, იმერეთის ყოფილ სამეფო სასახლეში ან კიდევ, გელათის მონასტერში, იმერეთის

24. ბარნაველი, ქრისტიანი დროში, 48-52.

25. მეფე იმერეთის სოლომონ II (1810-1910), ისტორიული წერილი ალექსანდრე ხახანაშვილისა (ტფილისი, 1910), 73-76; მიხეილ რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810 წე.), (თბილისი, 1989), 383-387; მიხეილ რეხვიაშვილი, იმერეთის მეფე (ქუთაისი, 1992), 259-263; და სხვ.

26. მეფე იმერეთის სოლომონ II (1810-1910), 54; რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810 წე.), 370-371; რეხვიაშვილი, იმერეთის მეფე — სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე, 241-242; და სხვ.



მეფეთა ყოფილ საგვარეულო საძვალეში ინახებოდა და მისი, როგორც ისტორიული რელიკვიის, საომარ მოქმედებებში გამოყენების საწინააღმდეგოც ალექსანდრე ტორმასოვს არაფერი ექნებოდა. ჩემი დაკვირვებით, სწორედ ამგვარად აღმოჩნდა „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ 1810 წლის ნოემბერში ახალციხისათვის გამართულ ბრძოლაში, სადაც ის იმერეთის ალექსანდრე დაკარგა კიდეც.

თუ ჩემ მიერ ზემოთ მოტანილი მსჯელობა სწორია, მაშინ ლოგიკურად დაისმის „გორგასლიან-დავითიან დროშასთან“ დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო კითხვა: რა პედი ენია ამ დროშას 1810 წლის ნოემბრის შემდგომ პერიოდში, როცა ის ახალციხეში გამაგრებული ოსმალების ხელში აღმოჩნდა? აღნიშნულ კითხვას საკმაოდ ზოგადი პასუხი გასცა სარა ბარნაველმა, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ოსმალთა მიერ 1810 წელს მიტაცებული „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ დაემდე თურქეთის რესპუბლიკაში უნდა იყოს დაცული²⁷.

მე სრულად ვიზიარებ სარა ბარნაველის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „გორგასლიან-დავითიანი დროშა“, შესაძლოა, დღემდე თურქეთის რესპუბლიკის რომელილაც სიძველეთსაცავში ინახება. თუმცა, მეორე მხრივ, მცირე დაზუსტება შემაქვს ამ მოსაზრებაში და, ჩემი მხრივ, გამოვთქვამ ახალ მოსაზრებას, რომ „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებაში არა 1810 წლის ნოემბერში, არამედ ცოტა უფრო გვიან, 1815 წელს, მეფე სოლომონ II-ის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას შემდეგ ძირითად არგუმენტს ვეყყარები: 1810 წლის 25 სექტემბრიდან იმავე წლის დასაწყისამდე მეფე სოლომონ II ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა. 1810 წლის ნოემბრის დასაწყისში მან ახალციხის საფაშო დატოვა, ირანში გადავიდა და ქალაქ ერევანში შეჩერდა. 1810 წლის 16 ნოემბერს ანუ იმ დროს, როცა მეფე სოლომონ II ერევანში იმყოფებოდა, ალექსანდრე ტორმასოვმა ახალციხეს ალყა შემოარტყა და ქალაქის აღება სცადა. ალყაშემორტყმულ ახალციხეში, ოსმალების გარდა, მეფე სოლომონ II-ის ამალის ნევრებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც, სავარაუდოდ, აქტიურად მონაწილეობდნენ ახალციხის დაცვაში. 1810 წლის 26 ნოემბერს, ათდღიანი ბრძოლების შემდეგ, რუსებმა ახალციხეს ალყა მოხსნეს და უკან დაიხიეს. 1810 წლის ნოემბრის ბოლოსა თუ დაკემბერში

27. სარა ბარნაველი, ქართული დროშები, 19.

28. „Отношение генерала Тормасова к военному министру, от 19-го декабря 1810 года“, 806-810; „Отношение генерала Тормасова к графу Румянцеву, от 19-го декабря 1810 года“, 810-813; „Всеподданнейший рапорт генерала Тормасова, от 19-го декабря 1810 года“, 813-817; მეფე იმერეთისა სოლომონ II (1810-1910), 73-76; რევოლუციული, იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.), 383-385; რევოლუციული, იმერთა მეფენი — სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე, გვ. 259-261; და სხვ.

მეფე სოლომონ II ახალციხეში დაბრუნდა და იქ 1811 წლის დასაწყისამდე დარჩა²⁸. მაშასადამე, გამოდის, რომ 1810 წლის ნოემბერში, როცა რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარმა იმერეთის ლაშქარმა ახალციხის ალყის დროს „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ დაკარგა, ეს დროშა, ავტომატურად, ახალციხეში მდგომი ოსმალებისა და მეფე სოლომონ II-ის ამალაში მყოფი იმერლების ხელში აღმოჩნდა.

მართალია, ჩემთვის, ჯერჯერობით, უცნობია რაიმე ისეთი წერილობითი ძეგლი, რომელიც პირდაპირ გვაუწყებს, რომ ოსმალებმა „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ მათ მოკავშირესა და დროშის კანონიერ მფლობელს, ერევნიდან ახალციხეში ჩასულ მეფე სოლომონ II-ს დაუბრუნეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ მოელენები სწორედ ამგვარად განვითარდა და 1810 წლის ნოემბერ-დეკემბერში „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ მეფე სოლომონ II-ს გადაეცა.

თუ ჩემი მსჯელობა სწორია, მაშინ ირკვევა, რომ 1810 წლის ნოემბერში, ქალაქ ახალციხისათვის გამართული ბრძოლის დროს, ოსმალების მიერ რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი იმერეთის ლაშქრისათვის წართმეული „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ იმავე 1810 წლის ნოემბერ-დეკემბერში მისი კანონიერი მფლობელის, ოსმალებში გახიზნული მეფე სოლომონ II-ის ხელში აღმოჩნდა. ჩემი დაკვირვებით, მეფე სოლომონ II-ის გარდაცვალებამდე, ანუ 1815 წლის 7 თებერვლი დაკვირვებით, „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ მასთან ინახებოდა. მეფე სოლომონ II-ის გარდაცვალების შემდეგ კი დროშა ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. დღეისათვის „გორგასლიან-დავითიანი დროშა“ თურქეთის ერთ-ერთ სიძველეთსაცავში უნდა იყოს დაცული.

ამით XVII საუკუნის I ნახევრის იმერეთის სამეფოს „ქაიანურ დროშასა“ და საქართველოს გაერთიანებული სამეფოს „გორგასლიან-დავითიანი დროშასთან“ დაკავშირებული საკითხების შესწავლას საბოლოოდ ვასრულებ და გამოვთქვამ იმედს, რომ შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძეგბა ამ ქართული ისტორიული დროშების შესახებ კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის.

თემი ჯოჟა
Temo Jojua
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი


სამეგრელო-სვანეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი



გერბის ფარს 4 ნაწილად (ველად) ყოფს ოქროს ჯვარი, რომლის მკლავები ეხება ფარის კიდეებს. I ნაწილი — ძონის ველზე მოთავსებულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ვერცხლის კვართი; II ნაწილი — ლაშვარდის ველზე ოქროს საწმისი; III ნაწილი — ლაშვარდის ველზე ვერცხლის ხუთი შემცირებული ტალღოვანი სარტყელი; IV ნაწილი — ძონის ველზე ყალყზე შემდგარი ვერცხლის ცხენი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაშვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი “ზუგდიდი”.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დროშა



დროშის ძონის ველზე გამოსახულია ოქროს ჯვარი, რომლის მკლავების გადაკვეთა ხდება დროშის მარჯვენა მხარეს, დროშის 1/3-ზე. ჯვრის მკლავების სისქე წარმოადგენს დროშის სიმაღლის 1/5-ს. დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №29 დადგენილებით, 17.08.2012წ.


აბაშის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გადაკვეთილია და ქვემოთ გაკვეთილი და იყოფა სამ ნაწილად. I ნაწილი — ვერცხლის ველზე ლაშვარდის ხმალი, რომლის ზემოთ მოთავსებულია მეწამული ჰერალდიკური ჯვარი. II ნაწილი — ლაშვარდის ველზე ოქროს საწმისი. III ნაწილი — მწვანე ველზე ხუთი ოქროს თავთავი. მწვანე ველს ზემოთ და ქვემოთ კვეთს სამი შემცირებული, ტალღოვანი ვერცხლის სარტყელი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაშვარდი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი — “აბაშა”.

აბაშის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი სამ ნაწილად. დროშის I ნაწილი წარმოადგენს ლაშვარდის ველს და უჭირავს დროშის სიგანის 1/5. II ნაწილი (დროშის ცენტრალური ნაწილი) წარმოადგენს თეთრ ველს, რომელზეც გამოსახულია მეწამული ვარსკვლავი და უჭირავს დროშის სიგანის 3/5. III ნაწილი წარმოადგენს მწვანე ველს და უჭირავს დროშის სიგანის 1/5. დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №91 დადგენილებით, 24.09.2010წ.



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გერბი



გერბის ფარი წარმოადგენს ლაშვარდის ველს, რომელსაც მარჯვნიდან კვეთს ცხრა შემცირებული ვერცხლის ყაბინი. ყაბინების ზემოთ ლაშვარდის ველზე ოქროს საწმისია მოთავსებული.

ქვემოთ ლაშვარდის ველზე სამი ოქროს ფუტკარია გამოსახული, ერთი ორზე. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლა-შვარდის ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია “ჩხოროწყუ”.



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის ლაშვარდის ველს მარჯვნიდან კვეთს ცხრა შემცირებული ყვითელი ყაბინი. დროშის პროპორცია არის 2:3.

დამტკიცებულია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №18 დადგენილებით, 04.07.2011 წ.

ფოთის მუნიციპალიტეტის გერბი


გერბის ფარი ტალღოვანი ვერცხლის სარტყელით გაყოფილია ორ ნაწილად. I ნაწილი — მენამულ ველზე ოქროს კოშკი ნახევრად ღია ჭიშკრით. II ნაწილი წარმოადგენს ლაშვარდის ველს. I ნაწილს უჭირავს ფარის 2/3, II ნაწილს — 1/3. გერბის ფარის ცენტრში მოთავსებულია მცირე ფარი — ლაშვარდის ველზე ოქროს საწმისი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. გერბის ფარს უკან ჯვარედინად მოთავსებულია ორი ოქროს ღუზა. გერბის ფარს გვერდებზე და ქვევით შემოყვება ვერცხლ-ლაშვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია დევიზი — “ფოთი”.



ფოთის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი ორ ნაწილად. I ნაწილი — ყვითელ ველზე ლაშვარდის ჯვარი. II ნაწილი — ლაშვარდის ველზე ოქროს საწმისი. დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია ფოთის თვითმმართველობის მიერ №20/47 დადგენილებით, 28.10.2005 წ.



ლენტეხის მუნიციპალიტეტის გერბი



გერბის ფარი გადაკვეთილია მრუდეტეხილად, ხოლო ზედა მხარე გაკვეთილია და ამრიგად იყოფა სამ ნაწილად. I ნაწილი – ვერცხლის ველზე შავი აღჭურვილი დათვი (ეშვები, ენა, ბრჭყალები წითელია). II ნაწილი – ლაჟვარდოვან ველზე სამი ოთხსხივიანი ოქროს ვარსკვლავი. III ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე ოქროს ტახტი, რომლის ზემოთ მოთავსებულია სვანური ვერცხლის ქუდი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი “ლენტეხი”.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის დროშა



დროშა ვერტიკალურად არის გაყოფილი ორ ნაწილად. I ნაწილი – ლაჟვარდოვან ველზე სამი ოთხსხივიანი ოქროს ვარსკვლავი. II ნაწილი ნარმოადგენს ზურმუხტოვან ველს. დროშის პროპორციაა 2:3.

დამტკიცებულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №36 დადგენილებით, 22.07.2011 წ.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გერბი

მარტვილის მუნიციპალიტეტის გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს, რომელიც გაკვეთილია და იყოფა 2 ნაწილად. I ნაწილი – მენამულ (წითელ) ველზე ოქროს მუხა; II ნაწილი – ლაჟვარდოვან (ლურჯ) ველზე ვერცხლის ირიბი ჯვარი (წმინდა ანდრიას ჯვარი). I ნაწილს უჭირავს გერბის ფარის $\frac{3}{4}$, II ნაწილს — $\frac{1}{4}$. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი “მარტვილი”.

მარტვილის მუნიციპალიტეტის დროშა



დროშა ჰორიზონტალურად არის გაყოფილი 5 ნაწილად. I და V ნაწილი წარმოადგენს ლურჯ ველს და უჭირავს დროშის 1/10. II და IV ნაწილი წარმოადგენს თეთრ ველს და უჭირავს დროშის 1/10. III ნაწილი – მენამულ (წითელ) ველზე ოქროს მუხა. დროშის პროპორციაა 2:3.



დამტკიცებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №15 დადგენილებით, 21.07.2011 წ.

მესტიის მუნიციპალიტეტის გერბი



გერბის ფარი გაკეთილი-გადაკეთილია 4 ნაწილად (ველად). I მენამულ (ნითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) შუბოსანი, ვერცხლის ფარიანი, ქვეითი წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. II — ლაშვარდოვან ველს კვეთს სამი ვერცხლის სარტყელი, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ოქროს ვერძის ტყავი. III — ველი გადაკეთილია ვერცხლის ტეხილით, რომლის ზურმუხტის ველზე გამოსახულია ოქროს დათვი აღჭურვილი წითელი ენით, ხოლო ზედა ნაწილი ლაშვარდის ფერია. IV ნაწილის მენამულ ველზე ცენტრში გამოსახულია ვერცხლის სახლი და კოშკი, რომლის მარჯვნივ გამოსახულია ოქროს კვერთხი, ხოლო მარცხნივ — ზეალმართული ოქროს ხმალი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაშვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი “მესტია”.

მესტიის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა მენამულ-ოქროსფერია. მენამულ ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) შუბოსანი, ვერცხლის ფარით, ქვეითი წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით, რომელიც დროშის 7/9-ია. დროშა ბოლოვდება ორი ტოლფერდა ოქროს სამკუთხედით, რომელთა წვერები მიდის დროშის სიგრძის შუამდე. დროშის პროპორციაა 2:3

დამტკიცებულია მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 ნოემბრის № 43 დადგენილებით.

სენაკის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი სამად არის გაყოფილი — მარჯვნიდან და მარცხნიდან ნახევრად, ირიბად, ქონგურისებურადაა გადაკეთილი, ქვემოთ კი გაკეთილი. I ნაწილი — ვერცხლის ველზე მენამული ჯვარი. II ნაწილი ნარმოადგენს მწვანე ველს. III ნაწილი — ლურჯ ველს. მწვანე და ლურჯი ველების ცენტრში მოთავსებულია ოქროს ხოხობი, ქვემოთ კი კვეთს შემცირებული სამი ვერცხლის სარტყელი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლურჯი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი “სენაკი”.

სენაკის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ჰორიზონტალურადაა გაყოფილი ორ ნაწილად. ზედა ნაწილი ლურჯი ფერისაა, ქვედა — მწვანე. ლურჯსა და მწვანე ნაწილებში დროშის ტარიდან შექრილია სამკუთხედი თეთრი ველით, რომლის ცენტრში გამოსახულია მენამული ჯვარი. დროშის პროპორციაა 2:3.

დამტკიცებულია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №29 დადგენილებით, 27.05.2011 წ.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გერბი



გერბის ფარის ლაქვარდის ველი წმინდა ანდრიას ვერცხლის ჯვრით გაყოფილია 4 ველად. პირველ ნაწილზე გამოსახულია ოქროს საწმისი. ფარის ცენტრში მოთავსებულია მცირე ფარი. მცირე ფარის მენამული ველი ვერცხლის სამი ტალღოვანი სარტყელით გაყოფილია ორ ველად. მცირე ფარის პირველ ველზე მოთავსებულია ოქროს გვირგვინი, მეორე ველზე — ოქროს ციხესიმაგრე ღია კარიბჭით. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის ლაქვერდის ველზე ცენტრში მოთავსებულია წალენჯიხის გერბის მცირე ფარი. მცირე ფარის მენამული ველი ვერცხლის სამი ტალღოვანი სარტყელით გაყოფილია ორ ველად. მცირე ფარის პირველ ველზე მოთავსებულია ოქროს გვირგვინი, მეორე ველზე ოქროს ციხესიმაგრე ღია კარიბჭით. დროშის პროპორციაა 2:3.

დამტკიცებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №8 დადგენილებით, 31.03.2009წ.

ხობის მუნიციპალიტეტის გერბის აღწერილობა

ხობის მუნიციპალიტეტის გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს, რომელიც გაკვეთილია და იყოფა 2 ნაწილად. პირველ ნაწილს უჭირავს ფარის 2/3, ხოლო მეორე ნაწილს – ფარის 1/3. გერბის ფარის პირველი ნაწილი წარმოადგენს ვერცხლის ველს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ლურჯი მცირე ფარი. მცირე ფარის ლურჯ ველზე გამოსახულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ვერცხლის კვართი. გერბის ფარის მეორე ნაწილი წარმოადგენს ლურჯ ტალღოვან ველს, რომლის ზედა ნაწილი გადაკვეთილია ვერცხლის ორი ტალღოვანი სარტყელით. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია დევიზის ვერცხლ-ლურჯი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია დევიზი - "ხობი".

ხობის მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობა

ხობის მუნიციპალიტეტის დროშა წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის ქსოვილს, რომელიც პორიზონტალურად არის გაყოფილი ორ ნაწილად – თეთრ და ლურჯ ველებად. პირველ ნაწილს უჭირავს დროშის 2/3, მეორე ნაწილს – დროშის 1/3. დროშის პირველ ნაწილში თეთრ ველზე, ცენტრში, მოთავსებულია ლურჯი მცირე ფარი. მცირე ფარის ლურჯ ველზე გამოსახულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ტალღოვანი ველი კვართი. დროშის მეორე ნაწილი წარმოადგენს ლურჯ ველს. დროშის პროპორცია 2/3.

დამტკიცებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17 დადგენილებით, 14.04.2011 წ.





იაპონური ჰერალდიკის მოპლე მიმოსილვა (ნაწილი მეორე)

იაპონური ჰერალდიკა, წმინდა ევროპული ტრადიციული გაგებით, ერთი შეხედვით თითქოს არ არსებობს, მაგრამ მსგავსი წარმოდგენა შეიძლება ითქვას, ინფორმაციის სიმწირთაა გამოწვეული. აღნიშნულ შეხედულებას ხელს უწყობდა საუკუნეების განმავლობაში შოგუნატის (იაპონური სამხედრო მმართველობა) ე.წ. კარჩაკეტილობის პოლიტიკა.

რეალურად, ამომავალი მზის ქვეყნის ჰერალდიკური ტრადიცია ევროპულზე უად-

რესია და მან საკმაოდ საინტერესო გზა გაიარა – ფერადი საგერბე გამოსახულებიდან, მონოქრომატულ, უალრესად ლაკონიურ, თანამედროვე ავანგარდული ხელოვნების თანაფარდ საგერბე ნიშნამდე (მონი).


მონის ანუ საგვარეულო საგერბე ნიშნის გამოყენება (უპირატესად საბრძოლო მოქმედებების დროს), უკვე VIII-XII საუკუნეებიდან (ჰეიიანის ეპოქა) ფიქსირდება, ხოლო XIII-XV საუკუნეებში უკვე ხდება მონების კატალოგიზირება და



პირველი ილუსტრირებული კატალოგებიც ამ პერიოდს მიეკუთვნება.

მონების ანუ საგერბე ნიშნების ძირითადი მომხმარებელი, იაპონიაში, ისევე როგორც ევროპაში, სამხედრო ელიტა და არისტოკრატია იყო და მან კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა საიმპერატორო ხელისუფლების სამხედრო მმართველობით შეცვლის შემდეგ, შოგუნატის დამყარების პერიოდიდან.

საიმპერატო შტოს მონი
(თექვსმეტფურცლიანი ქრიზანთემა)



სამურაების ხელისუფლებამ, რომელიც მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ძველ არისტოკრატიაზე, გააგრძელა მონის მეტყვიდრეობითობის არსებული ტრადიცია და მონი პრივილეგირებულობის ერთ-ერთ საპატიო და უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად გადააქცია.

მონის არსებობისა და განვითარების

მასვე დაეკისრა გვარის შიგნით ურთიერთმიმართების გადმოცემაც – მმართველი სახლისა და მასთან გასაღურ დამოკიდებულებაში მყოფი განაყოფი გვარების სტატუსის ასახვა.

იაპონური საზოგადოების განვითარებასთან ერთად დაიხვეწა და განვირცო მონების სისტემა, მან უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

XVI საუკუნის დასაწყისისთვის მოქმედი იყო ორას ორმოცდაათი საგვარეულო და მათგან ნაწარმოები გვარ-შტოების 4000-ზე მეტი მონი.



ერთი საგერბე ნიშნით ნაწარმოები ორი სხვადასხვა შტო-გვარის მონი

საგვარეულო საგერბე ნიშნებში, მონებში, გამოყენებული საგერბე გამოსახულებები, როგორც ადრე მოგახსენეთ (“პეროლდი” №2, გვ. 78. 2013) იყოფა ექვს ძირითად თემატურ ჯგუფად:

მცენარეები (ყვავილები, ხეები, ფოთლები, ნაყოფები, ხილი, ბოსტნეული და ბალახები);

ცხოველები და მწერები (გარეული ბატები, წეროები, იხვები, ყვავი, მერცხალი, მტრედი, პეპლები, ნემისიყლაპია, ცხენი, ირმები, კიბორჩხალა, კატა, კურდლელი, კუ);

ბუნების მოვლენები და ლანდშაფტი (მთები, მდინარე, ტალღები, ნიშანდობლივი ქვები, ქვიშის დიუნები, ელვა, მზე და მთვარე);

ადამიანის დამზადებული საგნები (120 და-სახელება);

აბსტრაქტული ფიგურები და იეროგლიფები.



სოციალურ საფუძვლებს ქმნიდა ფეოდალური წყობა, რომელიც ემყარებოდა გვარს, ოჯახს და მისი ცვალებადობის კვალად განიცდიდა ტრანსფორმაციას.

არსებული სიმბოლოების სისტემა უმთავრესად ფეოდალურ ურთიერთდამოკიდებულებებს ასახავდა – სუზერენი-ვასალი. ასევე

როგორც აღვნიშნეთ, მონების მოხმარების ძირითადი სოციალური ფენა იაპონურ საზოგადოებაში სამხედრო ელიტა, სამურაები იყენება.

მონი, როგორც ამოსაცნობი ნიშანი და საშუალება საბრძოლო მოქმედებების დროს, ჯარების ეფექტისა, მართვისა, მართლაც რომ უმიშვნელოვანესი იყო.

სანიმუშოდ გამოდგება სეკიგაჰარას ბრძოლის ამსახველი სხვადასხვა მხატვრის შესრულებული აქ წარმოდგენილი ნახატები.

თითოეული მეომარი სახლის არმიაში ყველა სხვადასხვა საეხეობის ჯარი აღჭურვილი იყო შესაბამისი დროშაკით ან სხვა რაიმე ინსიგნიით, რომელიც ასევე შესაძლებელს ხდიდა ამა თუ იმ ქვეგანაყოფის სუზერენის სტატუსიც ადვილად

გასარჩევი ყოფილიყო.

ბრძოლის დროს ყველა ვასალი სამურაი ვალდებული იყო სუზერენის მონით გამოესახა თავის საჭურველზე.

შოგუნატის მმართველობა იმდენად დიდ ყურადღებას აქცევდა მონების მოწესრიგებას, რომ XVII საუკუნიდან, ყოველწლიურად ხდებოდა კატალოგების დაზუსტება და გამოცემა.

სეკიგაჰარას ბრძოლა. 1600 წელი. ბრძოლის ველის პანორამა





სეკიგაჰარას ბრძოლა.
ფრაგმენტი



მონის მოხმარების სფერო XVII საუკუნიდან გაფართოვდა. დაწყებული სამხედრო ინსიგ-ნიებიდან საყოფაცხოვრებო ნივთებამდე. ასევე მონების მოხმარება, აქტიურად დაიწყო სამოქა-ლაქო საზოგადოებამაც (საყოველთაოდაა ცნო-ბილი კაბუკის თეატრის ცნობილი მსახიობების მონები).




კაპუკის მსახიობი მონით კიმონზე




იგივე საგერბე გამოსახულება სამოსზე

აქ შევეცდებით მოგანოდოთ რამდენიმე ცნობილი ისტორიული კლანის/გვარის საგრძე გამოსახულება (მონი) და იაპონური ჰერალდი-კის სრული ხედვისთვის ქვემოთ წარმოგიდგენთ მონებმი გამოყენებულ სიმბოლოთა მცირე კატ-ალოგს.




დატე მასამუნეს კლანის გერბი

ცნობილი ისტორიული კლანების საგვარეულო მონების ნიმუშები



მინამოტოს კლანი




თდას კლანი



ასაკურის კლანი



მინამოტოს კლანი



ტოკუგავას კლანი



ტაკედას კლანი




ასაკურას კლანი




ასოს კლანი




მაცუმოტოს კლანი



ტაკედას კლანი




მაცუმოტოს კლანი




ასაკურას კლანი

იაპონური ჰერალდიკური საგერბე ნიშვნების,
მონების, მონოერომატული
მცირე კატალოგი


მცირე კატალოგი და ყვავილები




მცენარეები და ყვავილები




მცენარები და ყვავილები




მცენარეები და ყვავილები




მცენარეები და ყვავილები



მცენარეები და ყვავილები




სამოქალაქო ნივთები და ფურნიტურა




სამოქალაქო ნივთები და ფურნიტურა



სამოქალაქო ნივთები და ფურნიტურა




ცხოველები და მცენებები



ცხოველები და მცენაები




ცხოველები და მცენებები




ინკალი და სამსედრო ფურნიტურა




იარაღი და სამხედრო ფურნიტურა




ძველი პერალდიკური სიმბოლოები



ქველი ჰერალდიკური სიმბოლოები



გუცეპის მოვლენები



მირიან კიქნაძე
Mirian Kiknadze

ახალი ქართული ფულის შექმნის ისტორიისათვის

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკას, ცხადია, საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ძალოვანი უწყებები, არ გააჩნდა უნიფორმა თუ სხვა სახელმწიფო სიმბოლოები. სწორედ მაშინ, 1991 წელს დაიწყო მუშაობა ქართული პოლიციის, ჯარის, ეროვნული გვარდიის, სახელმწიფო სიმბოლიკის და, რაც მთავარია, ეროვნული ვალუტის შექმნაზე (სურ. 1).

პირველი ეროვნული ხელისუფლება, ისევე როგორც ყველა შემდგომი ხელისუფლება, მოწოდებული იყო შეეცვალა 1918-1921 წლების სახელმწიფო სიმბოლიკა.

ამ პერიოდში სათანამშრომლოდ მიმიწვიეს უზენაესი საბჭოს უშიშროებისა და უსაფრთხოების კომისიაში. კომისიის მუშაობის დროს, ახალი სიმბოლოების განხილვებში ჩართული იყო საქართველოს პრეზიდენტიც.


კომისიის წევრთან, ბატონ მიხეილ მაყაშვილთან ერთად, ხშირად უშუალოდ ზვიად გამსახურდიასთან გვარდა შეხვედრები ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

1991 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა რუბლი იყო მიმოქცევაში და საქართველოს მოსახლეობა ხელფასს თუ პესისას მოსკოვიდან იღებდა. მე მომხრე ვიყავი შეძლებისდაგვარად დაჩქარებულიყო ქართული ვალუტის შექმნა. პარალელურად მიმდინარებდა საქართველოს ეროვნული ბანკის ჩამოყალიბება, რომლის მმართველადაც დაინიშნა ბატონი გია თოფურია.

ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, დაგვევალა ახალი ქართული ფულადი ნიშნების მომზადება.

მიუხედავად იმისა, რომ მანეთს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მოუქებნეს თავისი “ეროვნული” სახელი, მაგალითად, რუსეთში – რუბლი, აზერბაიჯანში – მანათი, უზბეკეთში – სომი და ა.შ. საქართველოს ხელისუფლებამ შუალედური გადაწყვეტილება მიიღო, მკვეთრი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყდა, ახალ ქართულ ფულს კვლავ მანეთი დარქმეოდა, როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო დადგენილი.

მასსენდება რამდენიმე შეხვედრა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, რომლებიც თავიდან უფრო მოსაზრებების ურთიერთგაცვლას ემსახურებოდა. მოგვიანებით მისი თხოვნით დაგვევალა სოციალური გამოკითხვის ჩატარება. გამოკითხვა ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან არსებული ერთ-ერთი კვლევითი ჯგუფს დაბმარებით ჩატარდა, რომელმაც დაახლოებით ასახა, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებას ახალი ქართული ფულის მიმართ. ეროვნული მოძრაობის წლებში, გარკვეულწილად, საზოგადოებრივი აზრი ზედმეტად ჰიპერბოლიზებული იყო და რადიკალურ ეროვნულ განწყობას ამჟღავნებდა. კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებაში მდგრადობის განცდა დაკავშირებული იყო ისფერ და მწვანე ფერებთან. კვლევის მასალებზე დაყრდნობით შედგა ჩამონათვალიც (სხვადასხვა მიმართულებით), თუ ვინ და რა უნდა გამოსახულიყო მომავალ ქართულ



სურ. 1



სურ. 2

ფულზე, რომელშიც პირველ სამ ადგილს იკავებდნენ (რიგითობის მიხედვით): 1. ქართველი მწერლები, პოეტები და საზოგადო მოღვაწეები, 2. პოლიტიკური მოღვაწეები, 3. ქართული მითოსი.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ზვიად გამსახურდიამ
თქვა, რომ დიდი ქართველი მოღვაწების
უმრავლესობა ეკლესიის მიერ წმინდანად
იყო შერაცხული და მათი ფულზე გამოსახვა
შეიძლება არ ყოფილიყო სწორი, რაც მაშინდელი
კომისიის წევრთა უმრავლესობამ გაიზიარა,
თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან,
პრეზიდენტის მოსაზრება ალბათ არ იყო
პოლომდე გამართლებული. მოგეხსენებათ,
რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულ მონეტებზე იყო
გამოსახული წმინდანები, გოლგოთის ჯვარი
თუ სხვა რელიგიური ატრიბუტები. ხანგრძლივი
მსჯელობის შემდეგ, საერთო აზრი უფრო

საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლებისკენ
გადაიხარა...

პრეზიდენტმა გვირჩია, გამოგვეყენებინა
საბერძნეთის მაგალითი და ფულად ნიშნებზე
მითოლოგიური თემატიკა გამოგვესახა.
ეროვნული ბანკიდან მოგვწოდეს სხვადასხვა
ქვეყნის ვალუტის ნიმუშები, რაც ძალიან
დაგვეხმარა მუშაობაში, რადგან იმ წლებში
საჭირო მასალების მოპოვება ძალიან ჭირდა.

ბერძნული დრაპეტის ნიმუშებზე დაყრდნობით, ქართული ფულის ღიზანის შესაქმნელად შეირჩა ქართული მითოლოგიური სახეები — ამირანი (**სურ. 2**), აიეტი და ისტორიული სახეები — ქართული დამწერლობის შემქმნელი მეფე ფარნავაზი და მეფე კახტათგ გორგასალი.

იყო ვერსია - ბანკოტებზე გამოგვესახა
საქართველოს ხედები და ციხესიმაგრეები
(სურ.3).



სურ. 3

მაგალითად, ხუთმანეთიანის ესკიზზე გამოსახული იყო ეროვნული ბანკის შენობა (სურ. 4), თბილისის ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლი, რომელიც უნდა შევსებულიყო ქართული ორნამენტით და ა.შ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ითვლებოდა. განვიხილავდით, ხომ არ აგველო ლათინურის საფუძველზე შექმნილი აფხაზური შრიფტიც, როგორც ერთ-ერთი ვერსია აფხაზური



სურ. 4

ქართული ფულის შექმნის პროცესი საკმაოდ მძიმე ტენირით აღმოჩნდა, პირველ ეტაპზე მოვამზადეთ ზოგადი ესკიზები და მიმდინარეობდა თემების დამუშავება-დეტალიზაცია. აქვე მინდა გავიხსენო ბათონი ზვიად გამსახურდას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება (რომელსაც ის დაბეჭიოთებით მოითხოვდა), რომ ეროვნულ ვალუტაზე წარწერები ქართულის და რომელიმე საერთაშორისო ენის (რუსულის, ინგლისურის ან ფრანგულის) გარდა, აფხაზურ ენაზეც უნდა დაგვეტანა, ვინაიდან აფხაზური ენა საქართველოს სახელმწიფო ენად უნდა გამოცხადებულიყო. მით უმეტეს, რომ აფხაზური საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით,

დამწერლობისთვის (მოგეხსენებათ, რომ 30-იან წლებში აფხაზური ენა დაფუძნებული იყო ლათინურ დამწერლობაზე) და ვაპირებდით მოლაპარაკებას აფხაზეთის ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ჩანაფიქრის განხორციელება არ დაგვცალდა. პრეზიდენტი თანახმა იყო, გამოგვეყნებინა უკვე მოქმედი აფხაზური შრიფტი, რაც ფულის პირველად ნიმუშებში აისახა კიდეც (შევნიშნავ, რომ ესკიზებზე პირველად გამოსახული აფხაზური წარწერები სწორი არ არის და მხოლოდ მიმანიშნებელ ხასიათს ატარებდა).

ბანკნოტების მეორე მხარეს უნდა დაგვეტანა ძველი ქართული ანბანი. (სურ. 5)



სურ. 5

მოგვიანებით, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას აღნიშნული წინადადება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის დახმარებით მანც განვახორციელეთ. 2006 წელს, როდესაც იქმნებოდა 200-ლარიანი ბანკნოტი, ეროვნულ ბანკში შექმნილმა კომისიამ და ბანკის პრეზიდენტმა ბატონმა რომან გოცირიძემ დადებითად გადაწყვიტეს საკითხი. ხსენებული ბანკნოტის რევერსის შესაქმნელად კონკურსის პირობებში აფხაზური წარჩერა ჩაიდო, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა, რაც

მნიშვნელოვანია, რა მოხდა სინამდვილეში (რაც რეპროდუქციებშიც შეიმჩნევა).

სამხედრო გადატრიალების შემდეგ თბილისში საპროტესტო აქციები იმართებოდა, საზოგადოება ორად იყო გახლეჩილი. 1992 წლის 2 თებერვლის მიტინგის დარბევას საქმაოდ დიდი მსხვერპლიც მოჰყვა, მოკლედ, ამ დროს საქართველოში საქმაოდ დამთრგუნველი ატმოსფერო შეიქმნა და ქვეყანა სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა. სწორედ ამ ამბებამდე რამდენიმე



სურ. 6

უდავოდ დადებითი მოვლენა იყო. (სურ. 6)

როგორც აღვნიშნე, 1991 წელს გაკეთდა პირველადი მონახაზები. ეროვნულ ბანკში ოფიციალურად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ბანკის თანამშრომლებისა და მხატვართა ჯგუფის შემადგენლობით). გვქონდა მიწვევა დიდი ბრიტანული ფირმისაგან “დელარუ” (De La Rue), რომელიც XVII საუკუნეში დაარსდა და რომელსაც სურდა საქართველოში აეშენებინა მცირე სანარმო, რომელიც იმუშავებდა არა მარტო კავკასიაზე, არამედ შუა აზიაზეც. იყო სხვა კონკურენტი სანარმოც, ფრანგული ფირმა „ობერტური“ (Oberthur). მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომლებსაც ვესწრებოდი მხატვრის რანგში. გადაწყდა, რომ ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან ერთად გავმგზავრებულიყოთ ჯერ დიდ ბრიტანეთში, შემდეგ საფრანგეთში, რათა გავცნობოდით მათ ტექნიკურ შესაძლებლობებს და ორი ფირმიდან ერთ-ერთი შეგვერჩია.

1991 წლის მინურულს დაიწყო თბილისის ომი. არეულობა დიდხანს გაგრძელდა და პროექტიც ჩავარდა. ალბათ ისტორიისთვის ძალიან

დღით ადრე დამირეკა ბატონმა მიხეილ ჯიბუტიმა, რომელიც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მუშაობდა ეროვნულ ბანკში და მეითხა, ხომ არ ვიცოდი აღნიშნული ფირმების მისამართები. უფთხარი, რომ ზუსტი მისამართები არ მქონდა და საქმის კურსში ჩავაყენე უკვე განეული სამუშაოების შესახებ. მან შემომთავაზა, დავსწრებოდი პირველი კომისიის სხდომას, როგორც იმ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც მუშაობდა ფულზე. სხდომა უნდა გამართულიყო მთავრობის კანცელარიაში.

დავთანხმდი, ვფიქრობდი, რომ აუცილებელი იყო საქვეყნო საქმის კეთება. სხდომას თავმჯდომარეობდა თენგიზ სიგუა, ესწრებოდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები, მათ შორის თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი, რომელიც მოგვიანებით შემოგვიერდა.

ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, თავი შევიკავე ჩემ ხელთ არსებული მონაცემები სრულად გადამეცა ჯერ ჩამოუყალიბებელი მმართველობისთვის. ბოლომდე ცხადი არ იყო, რა შედეგები მოჰყვებოდა ამ ინფორმაციის განდობას, ან რა

მიზნით იქნებოდა გამოყენებული. შესვენებაზე ბატონი რომან გოცირიძის და მიხეილ ჯიბუტის სხვა შემოთავაზებისა და თხოვნის მიუხედავად, ხსენებული სხდომა დავტოვე. ამ გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილება ნაჩეარევად მივიღე და ალბათ აუცილებელი იყო, ქვეყანაში შექმნილი საერთო ვითარების მიუხედავად, საქმის გაგრძელება. არსებული მდგომარეობა ქართულ სახელმწიფო სიმბოლოებზეც აისახა.

მომავალში გაკეთდა პირველი ე.ნ „ეროვნული ბანკის კუპიურები“. დაიბეჭდა კუპონები, რომელთა დიზაინსაც არავითარი მხატვრული თუ სიმბოლური ღირებულება არ ჰქონდა და გამოხატავდა ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობას.

1992 წლიდან მონაწილეობა აღარ მიმიღია ახალი ქართული ფულის დიზაინის შექმნაში. თუმცა, მუშაობა აღნიშნული მიმართულებით არასოდეს შემიწყვეტია.

დღესაც მაქვს ჩამოყალიბებული კონცეფცია, როგორი უნდა იყოს ქართული ფული, რა უნდა იყოს მასზე გამოსახული და იმედი მაქვს, შევძლებ დავარწმუნო გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომ აუცილებელია შეიქმნას ისეთი ქართული ფული, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს ისტორიასთან, კულტურასთან, საზოგადოებრივ აზრთან. იგი უნდა იყოს ისეთი, რომ ამაყად ვთქვათ – ეს არის ქართული ფული.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფულის დღევანდელი სახე ბევრი თვალსაზრისით სახელმწიფოებრივი წყვეტის, არეულობისა და იმ შეხვედრის გამოძახილია, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

თუ თანამიმდევრობით დავალაგებთ ქართული ფულის ნიშნების ყველა ნომინალს

და მოვაცილებთ ქართულ წარწერებს, ისინი ძნელი აღსაქმელი გახდება, როგორც ერთი სახელმწიფოს ფულადი ნიშნები. ბანკონოტების სახე ეკლექტიურია, გაუმართავია მხატვრული და შინაარსობრივი მხარე. მაგალითად, ავილოთ თუნდაც ბორჯდალი. საერთოდ, გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო ქართულ ფულზე ბორჯდალი, როცა საქართველოს ჰქონდა თავისი სახელმწიფო გერბი.

ფულად ნიშნებზე გამოსახულ ბორჯდალს (რომელიც ასევე გამოსახული იყო საქართველოს მოქალაქის პასპორტზეც), არავითარი იურიდიული სტატუსი არ გააჩნდა და არც ახდა გააჩნია. დღეს ქართული ფულის ნიშნებზე ბორჯდალის გამოსახვას არავითარი გამართლება არ მოექებნება. მხატვრული თვალსაზრისით, იგი არ არის საქართველოს ისტორიის, კულტურისა და საზოგადოების შესაფერისი.

აღსანიშნავია ის, რომ საბოლოოდ ქართულ ვალუტას, ნაცვლად მანეთისა, ძალიან ლამაზი სახელი – ლარი ეწოდა, რასაც 1991 წელს ვერ შევძლებდით, მაშინ საუბარი იყო მანეთზე და სხვა სახელებზე.

მოგეხსენებათ, ახლახან გაკეთდა ლარის სიმბოლო, რომლის შესახებაც მინდა ორიოდე სიტყვით მოგითხოვთ.

როცა ქართულ ფულზე დავიწყეთ მუშაობა, მაშინ პარალელურ რეზიმში ვმუშაობდი ქართული ფულის სიმბოლოზეც. როგორც ზემოთ აღნიშნე, იმდროინდელი გადაწყვეტილებით, ქართულ ფულს უნდა დარქმეოდა მანეთი და პირველი სიმბოლოს ესკიზიც გავაკეთე, როდესაც ლარი შემოვიდა. სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, 1991 წლის რეპროდუქციების ავერსებზე გამოსახულია



ძველი ქართული ასომთავრული “ქმ” (სურ. 7) — ქართული მანეთი, ეს იყო პირველი სიმბოლო. სხვადასხვა დროს ვაგრძელებდი სიმბოლოზე მუშაობას.

2006 წელს, როდესაც განვაახლე საქმიანი ურთიერთობა ეროვნულ ბანკთან, ოფიციალური ნერილით გავაცანი მათ საკუთარი ვერსია (სურ. 8), მაგრამ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო და ამ მიმართულებით რეალური მუშაობა არ დაწყებულა.

უკვე 2013 წელს ეროვნულმა ბანკმა გამოაცხადა კონკურსი, სიმბოლო შეირჩა და, ვფიქრობ, რომ კონცეფტუალურად არასწორად.

აღნიშნული სიმბოლო ჯერ კიდევ 2006 წელს

მოვამზადე და მოგვიანებითაც ვაგრძელებდი დახვენას, მაგრამ განსაზღვრული დროის შემდეგ მივედი აზრამდე, რომ მიღომა სწორი არ იყო, რადგან ემბლემა “ემბლემა” უნდა იყოს და არა ანბანის ასო-ნიშანი. არც ერთი სიმბოლო, რომელიც მსოფლიოში ფულის აღსანიშნავად არსებობს, პირდაპირ არ იმეორებს ასო-ნიშანს, და თუ იმეორებს, ის პირველი ასოა. ემბლემას კი თავისი ისტორია, თავისი გრაფიკული გამოხატულება უნდა ჰქონდეს და მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს ანბანის ჩვეულებრივი ასო-ნიშნისაგან.


მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციის ავტორი პირადად გახლავართ, რაც საავტორო უფლებით მაქვს დადასტურებული, მიმაჩნია, რომ მიღებული სიმბოლო არ უნდა ყოფილიყო ლარის სიმბოლო.

კონკურსზე წარდგენილი ლარის სიმბოლოს ჩემი ვერსია (სურ. 9) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქართული მხედრული ასო-ნიშან ლასისგან და გამართული კონცეფცია ჰქონდა, არა მარტო თემატური განსხვავებულობის გამო, არამედ გრაფიკულადაც უფრო მტკიცე იყო და ნებისმიერ წარწერასა თუ გამოსახულებაში, ინარჩუნებდა სიმბოლოს ნიშანთვისებებს.

თუ დააკვირდით, ლარის დღევანდელი



სურ. 8



სურ. 9

სიმბოლო ყველა შემთხვევაში იკითხება როგორც ქართული ასო-ნიშანი ლასი, რაც იმთავითვე გამორიცხავს სიმბოლურობას.

იმედი მაქვს, რომ მომავალში აუცილებლად მოხდება მისი დახვეწა.

ამ მცირე მონათხრობში შევეცადე, ქართული ფულის ახალი ისტორიის მიმოხილვა უფრო შემეცნებითი ყოფილიყო, მკითხველი არ გადავტვირთე ბონისტიკური, ნუმიზატიკური და სხვა მეცნიერული წიაღსვლებით.

ამავე დროს, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოებაში იყოს სწორი გაგება, მსჯელობა, სახელმწიფო სიმბოლოები იყოს საზოგადოების ცოცხალი ნაწილი, გამოხატავდეს ქართული სახელმწიფოს, ერის როგორც თანამედროვე სულისკვეთებას, ისე ისტორიულ გზას,

მემკვიდრეობას. ამ მიმართულებით საზოგადოების ჩართულობა უნდა გაიზარდოს.

მამუკა გონგაძე
Mamuka Gongadze

მხატვარი-ჰერალდიკოსი

ქართული სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდოები







„ეროვნული გმირის“ ორდენი

2005

Order “National Hero”
2005

1:1









Summaries in English

Oldest depiction of territorial Coat of arms of Georgia

Zachary Kiknadze

Before the evidence presented in this article, most scholars believed that the oldest depicted territorial Arms attributed to the Georgian Kingdoms and lands were those depicted in the “State Book” or “Titularnik” of the Tsar and Great Duke of Muscovy, Aleksey Mikhailovich, which was published in 1672. Now we have solid proof that the first examples of Georgian territorial heraldry, studied by Georgian Heraldist Zachary Kiknadze, are depicted in “Wappenbooh” by Konrad von Grunenberg. In this work, which was finished in 1483, Grunenberg depicted several arms attributed to Georgian lands. Among them, the coat of arms of Lazika written as “Lasya” in Grunenberg’s work, depicts an “Inflamed mountain.” It is the only one among arms attributed to Georgian lands that has been proven to be actually used in Georgia. The western Georgian territorial term “Lasya” in medieval times often was used to describe all of western Georgia, known to westerners as the ancient Kingdom of Colchis or Lazika of the later Roman period. In later centuries, this coat of arms was attributed to different parts of Georgia, including the ancient Kingdom of Iberia, known as Kartli in Eastern Georgia of the later medieval period.

Emblems of Georgia according to Henri Abraham Chatelain’s “Historical Atlas” (Early 18th century)

George Lobzhanidze

Henri Abraham Chatelain’s “Atlas Historique” is an encyclopedic work of 18th century. It is not solely Henri Abraham’s work, but a work of whole Chatelain family, including his father Zacharie and brother Zacharie Junior. Although, the main focus of the seven volumes folio was geography, the work also included some historical, political, heraldic and genealogical information. It is believed, that maps were primarily based on Guillaume De L’Isle’s works, and the texts were provided by Nicholas Gueudeville. The first volume was published in Amsterdam in 1705, and the rest of 6 volumes between 1706 and 1720.

The emblems of Georgia are represented on chart 32 of the volume 4. This chart is focused on Russian Empire and the surrounding countries. There are 3 emblems here that relate to Georgia: emblem of Kartli (Cartalinsk), emblem of Northern provinces (Severie) and emblem of Iveria (Iweria).

These emblems resemble of the Georgian emblems from Russian Tsar’s “Tituliarnik” (c. 1672) and the ones from Austrian diplomat Korbi’s document (c. 1698). The main difference here is a shape of the heraldic shields (so-called modern shields). Similarly to above-mentioned documents, none of the emblems in “Atlas Historique” name Georgia itself, but its indigenous name Kartli, Northern provinces (Severie), and an ancient name of Georgia - Iveria (Iweria). The map, which takes the central part of the chart 32, places Georgia south of Russian Empire, between the Black and Caspian seas, divided into its eastern and western kingdoms.

The emblem of Kartli (Cartalinsk), represents the image of a knight (presumably Saint George) killing the dragon. The image of St. George has long been attributed to Georgia and is documented in many Georgian documents of the time.

The emblem of Severie, or Northern provinces (Russian: Sever = North), represents a rearing horse with two stars. It is believed, the name was attributed to Georgia in early middle centuries, when it stood as a northernmost Christian country. The same emblem appears in 19th century Emblem of Russian Empire as an emblem of Iveria (as part of the emblem of Georgian Kingdom). Alternatively, this could be an emblem of province Kakheti, as 18th century Georgian historian and mapmaker Vakhushti Bagrationi gives its depiction as a winged horse (Pegasus).

The Emblem of Iveria (Iweria), which was a name of ancient Georgian Kingdom (Iveria=Iberia), represents a fire mountain with two crossed arrows. It is believed, that this image symbolizes a popular myth of Prometheus, who brought fire to mankind and was chained to rock in the Caucasus Mountains of Georgia. In mid 19th century the emblem was attributed to Kartli and appeared in the Emblem of Russian Empire as part of the emblem of Georgian Kingdom.

Volume 5 of “Atlas Historique” gives some general information about Georgia and Georgians, as well as engravings of Tbilisi and a local lady in national costume. These images are based on Claude Aubriet’s (1651—1743) works, who accompanied Joseph Pitton de Tournefort in his journey to Georgia.

Speaking Stones

David Goguadze

Georgia is located on the crossroads of ancient civilizations. Many Petroglyphs are found in the mountainous regions of Georgia. The author states his opinion about the connections of ancient Egyptian civilization, Sumer and Georgian language and archeological artifacts.

Contemporary Heraldry of Lithuania

Agnė Railaitė-Bardė

Heraldry of Lithuania is a treasure of Lithuanian history and culture. It played an important role after Lithuania regained independence in 1990. The main features of it are respect and preservation of the old Lithuanian and European heraldry traditions, their adoption in nowadays matters, simplicity and originality. Lithuanian civic coats of arms usually demonstrate just one or two charges.

The Heraldry Commission of the Republic was established under the Ministry of Culture in 1966. This date could be considered as the birth of contemporary civic heraldry in Lithuania. In 1968–1970 it confirmed 46 city and town coats of arms. The use of coats of arms in Lithuania was abolished in 1970 by the Soviet government. The Heraldry Commission of the Republic was reinstated in 1987. Currently, the Lithuanian Heraldry Commission is responsible for Lithuanian heraldry matters. The Lithuanian Heraldry Commission confirmed about 370 restored and newly created cities and towns' coats of arms and the same amount of flags and seals proposals.

In 1994 the Lithuanian State was divided into ten counties. The implementation of County heraldry began in 1999, and each county had its own coat of arms. In order to distinguish county arms, it was decided to incorporate into their field an azure bordure with ten golden double crosses. The figure indicates the number of counties, and the double cross of the State arms showed that the county was subordinated to administration at a State level.

Fantastic/mythical elements are one group of more than ten groups of the motives in creating coats of arms. They are: allegory of Victory, cornucopia, devil, dragon, Genius, Hypocenter, Mercury, Pegasus, Unicorn and various fantastic creatures. The fusion of two animals or one animal and one plant into one fantastic being is quite popular in the contemporary Lithuanian heraldry when it is decided to create the coat of arms using fantastic elements. The other large group of motives in heraldry is animals. They are: mammals, birds, reptiles, fishes, insects and crustaceans. Animals written in red colour are enrolled into the Red Book of Lithuania. Next two groups of motives are plants and religious elements. There are various flowers (some of them are enrolled into the Red Book of Lithuania as well, various trees and fruits and other kinds of plants like corn, laurel, vine etc. We can find even eleven saints' various depictions and other religious elements as Heavenly Eye of Providence, cross etc. Three groups of motives are: architecture, weapons and vehicles. Speaking about architecture, it must be noticed that not even large buildings as churches or fortresses are shown, but and small ones like roadside pole with a statuette of a saint as well. We can find various kinds of weapons in our contemporary heraldry: from small arrows till big cannons. Speaking about vehicles, there are water and overland vehicles. Other group of motives are: musical instruments, for example, bagpipes and a stringed ancient Lithuanian folk musical instrument kanklės also known as psaltery; bodies of the sky and human beings, for example knights and people of various occupations.

Symbolism of Lithuanian civic coats of arms can show name of locality, traditions, multiculturalism, militancy / defence, crafts and trades of local citizenry, richness of nature in general, religiosity, architecture, science / education / creation and particular rare animals and plants. Unlike during Soviet period, nowadays creating coats of arms, damasked shield, a “speaking” and honourable heraldic charges are used. It is worth of mention that sometimes people don't want to create coat of arms with honourable heraldic charges because of their laconism.

The two fragments of the royal scepter

Natalia Beruchashvili

The Treasury of the National Museum of Georgia contains two golden enamel items, which are currently considered as fragments of “archbishop's crosier”. These two elements are a multifaceted top and a part of a scepter' handle decorated with painted enamel. The surface of the top depicts 5 images: Jesus Christ and the biblical prophets that are surrounded by inscriptions in Georgian language in the form of quotations from the Holy Writ. These artifacts cause a great deal of interest, since their provenance represents a detective story on the one hand and requires attribution on the other hand.

Initially, they were kept in the sacristy of the Svetitskhoveli Cathedral and were listed as fragments of the royal scepter, but according to the treasury's inventory dated 1856, they are referred to as the upper part of archbishop's crosier. This circumstance was caused by an important event in the Russian Empire history- coronation of Alexander III in the 80s of the 19th century. The coronation ceremony was carefully prepared and each country, part of the Empire, was required to present its royal regalia. Georgia was among these countries. At the moment, the Armory Chamber of Russian Empire possessed the coronation crown of King Giorgi XII, but they also needed a scepter. G. Filimonov, the Actual Privy Councilor, who arrived to the Tiflis 5th Archaeological Congress (1881), joined the search and promptly reported to the higher authorities on the above-mentioned fragments discovered by him during inspection of Georgian churches and monasteries. Shortly after that, the Georgia-Imereti Synodal Office received a peremptory written order on selling these fragments to the Russian Armory Chamber. And, despite the objection of the Archpriest of Mtskheta Cathedral, the fragments were sold and taken to Moscow, where they were exhibited

in the showcase #14 at the Crown Hall of the Russian Armory Museum/Chamber, up to the October revolution (1917). After the October revolution these fragments came into attention of Georgian historians and in 1922, by the initiative of the People's Commissariat of Education of Georgia, the Soviet government was faced with the issue of returning to Georgia the manuscripts and other museum exhibits taken out to Russia and kept in Russian museums. The Soviet government found it possible to meet the request. After protracted negotiations and as a result of activity of various committees, a number of Georgian antiquities, including the coronation crown of King Giorgi XII and the above-mentioned fragments of the royal scepter were returned to Georgia in 1923.

As for the attribution of the fragments (definition of the owner and customer, the time and place of making), we can say the following: based on the personalized similarities, encrypted in the form of biblical images and their narrative didactic meaning, the scepter belongs to King Teimuraz II (1695-1762); it could be ordered for King by the Catholicos Anthony I as a gift "on the Death of Nadir Shah" (1747), after which Kartli and Kakheti kingdoms finally became free from Iranian bondage.

Taking into account the quality of enamel, sophistication, the unity and particularity of the color palette of these two elements, the application of different techniques of enameling, the engraving of Georgian nuskha-khutsuri ligature in Persian style, the type of images and high level of craftsmanship, it can be concluded: the scepter was created in Iran in the mid-18th century.

Most Ancient Examples of Currently Used State Coats of Arms

Zachary Kiknadze

This article describes the state coat of arms of European States, particularly those arms which were created in the early stages of heraldry and are still in use today. We will elaborate on the "lions passant guardant," the history of the "Danish leopards" and, in association with this, the history of the "Estonian leopards." Additionally, we will speak on the creation of the coats of arms of the Pyrenean kingdoms, of Navarra, Aragon, Castile, Leon and the eagles of the Holy Roman Empire and Germany. Lastly, we will also tell of the legends about the creation of the coat of Arms of Austria and "the white eagle of Poland." Besides detailing these legends, the article will provide historical proof of the significant age of these arms.

The origins of social symbols

David Kldiashvili

The world historic events left its mark on the national Heraldic rules. Beside the traditional coat of arms appear republican arms. The origins of social and republican ideas lie in the Hussite movement and German Peasants' War. Despite the fact that so-called German Revolt in the XVI century failed, it inspired and paved the way for many following European Revolutions, from the heraldic point of view.

First republican flag is the Dutch Flag, the flag of people fighting for independence against Spanish, which was orange-white-blue. It was followed by the state republican flags of America and, then France. The symbols of republican flag became Phrygian cap (Fr. Bonnet rouge, Bonnet Phrygian) and Bundles of the Lictors the allegoric images of state and republic.

Russian October Socialist Revolution of 1917, which was conducted under the red flag, essentially transformed Heraldry. The Socialist state of arms of the Soviet-socialist states looked like landscapes. The symbols of European Revolutions were denied and changed by the symbols of the Russian revolution - Red Star and Hammer and Sickle.

In 1991 after the disintegration of the Soviet Union, former member-states began to restore their historic way of Heraldic traditions.

The Portolan of 1367 by Domenico and Francesco Pizzigano

George Lobzhanidze

The Portolan by Domenico and Francesco Pizzigano, drawn in 1367 in Venice. It is interesting for us, as it contains the composition of five cross flags on the top of Tbilisi.

Bonds of the Georgian Soviet Socialist Republic

Niko Javakhishvili

This article is the third part of the cycle: "Georgian Bonistics". This time we speak about the bonds of the Georgian Soviet Socialist Republic (1921-1922). After compulsorily becoming a socialist republic, Georgia's self-styled bolshevist government, the so-called "Revcom" not only didn't cease the circulation of the Georgian Democratic Republic's bonds, but during the whole of 1921 kept on emitting 5.000 manetis (roubles) bills.

In 1922 10.000 manetis bills of the Georgian Soviet Socialist Republic were emitted. On 31 may of the same year, the

National Bank of Georgia issued obligations to the nominal value of 100.000, 500.000, 1 and 5 million manetis.

It was possible to get the denoted sum in Georgian bonds when cashing the obligations in a bank. The Article provides the detailed examination of each denomination, the design, colors, charges and proportions thereof. Attention is attached to the significance and the role of notes of the bonds of the Georgian Soviet Socialist Republic.

Flag of the Imereti kingdom in the first half of XVII century

Temo Jojua

Very few sources exist about the flag of the Imereti Kingdom. First evidence of the flag is seen in 1620s, during the battle between the king of Imereti Giorgi III and principal of Odishi Levan II Dadiani. After the defeat of Imeretians the royal flag (“Kianouri Drosha”) was sacrificed to the Icon of Our Savior in Tsalenjikha Cathedral. The story is given on the script of St. George’s Icon from Ilori Monastery. Script was studied by Constantine Grigolia and later more thoroughly by Saba Barnaveli, but still the main question is, what color was the royal flag of Imereti Kingdom?

The most valuable source is Arcangelo Lamberti’s “Colchide Sacra” (Sacred Colchis), the work of catholic priest published in 1654. Lamberti describes the battlefield and mentions that the flag of Imereti Kingdom was Red, if more precisely purple. In 1639 the ambassadors of Russian Tsar Mikhail Fyodorovich, visited Tsalenjikha Cathedral and verified that the royal flag was still preserved there. In 1657 after the death of Levan II Dadiani the king of Imereti Alexandre III conquered Odishi and brought back the royal flag to Imereti. Since then there is no facts about the flag. In second half of XVIII century the flag of Imereti Kingdom was “Solomon I’s flag”.

Short summeryof Japaneze Mon system. Part 2

Mirian Kiknadze

The short history of Japanese Symbols - Mons.

To the history of the new Georgian Currency

Mamuka Gongadze

In 1991 Georgia restored its independence. From the first days of independence Georgian government began to create Georgian monetary system and national currency. Civil unrest and wars in early 90s badly influenced not only the development of Georgian statehood, but also the design of its money – Georgian Lari. The author of the article is the collaborator and witness of the process and the short reminiscence, together with his understanding of the issues (the symbol of Georgian currency, design of Georgian Lari) is a very valuable position.